პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 მაისი ორშაბათი 2013
№116 (14 032) ფასი 80 თეთრი





13

მარცხნიდან: კოტე მიქაუტაძე, ლევან ჩილაჩავა, ბრუკ ჯეიმსი და დავით ქუბრიაშვილი

# ქუბრიაშვილმა ზირაქაშვილს ევროპის ჩემპიონობა აართვა

# დინამო ბრწყინდა

## ხუთი წლის შემდეგ



2-4

დინამოელებმა ჩემპიონის თასი ფანებთან მიიტანეს

ფოტო: www.fcdinamo.ge

# სანიკიძის 23-ე დუბლი

12



## გიორგი ჭანტურია:

# ალბათ ჰოლანდიაში დაბრუნება მომიწევს

რუსეთის ჩემპიონატის 29-ე ტურის მატჩში „ალანიასა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის, იჩხუბა ქართველმა ფეხბურთელმა გიორგი ჭანტურიამ, რომელმაც ალექსანდრ კოკორინის დარტყმას უპასუხა.

ჩვენებური მსაჯმა მოედნიდან გააძევა. მატჩის შემდეგ მან რუსულ „სპორტ ექსპრესთან“ ისაუბრა მომხდარ ინციდენტზე:

**- რატომ გამოჩნდით „ალანიას“ შემადგენლობაში მხოლოდ ბოლოსკენ?**

- ასეთი იყო მწვრთნელის ხედვა. მე მიმაჩნია, რომ თავიდანვე კარგ ფორმაში ვიყავი. თუმცა ალბათ მწვრთნელი მიიჩნევდა, რომ სხვები უკეთ იყვნენ მომზადებულნი. მე დავამტკიცე, რომ საჭირო ვარ, მაგრამ სეზონი უკვე მთავრდება.

**- დღევანდელი მატჩით კმაყოფილი ხართ?**

- გააჩნია, როგორ შევხედავთ. მოვიგეთ, მაგრამ საწყენია, რომ ისეთი გუნდი ვარდება პრემიერლიგიდან, რომელსაც შეუძლია მოუგოს პრიზიორს და ევროპალიგის მომავალ მონაწილეს. წინა მატჩებში არ გვეყო მოტივაცია, იღბალი და კონცენტრაცია. შეთამაშებას დიდ დროს მოვუნდით. ახლა კარგად ვართ მომზადებულნი, მაგრამ გვიანია.

**- თქვენ გაძევებაზე რას იტყვით?**

- ჩხუბი „დინამოს“ მე-9 ნომერმა წამოიწყო. მან მორიგი უხეშობა გამოავლინა და ველარ მოვითმინე. არ ვარ მართალი, ემოციები უნდა ვაკონტროლო.

**- შემდეგ სეზონში „ალანიაში“ რჩებით?**

- რომ შემეძლოს, დავრჩებოდი, აქ ძალიან თბილად მეპყრობიან გულშემატკივრები. გავხდი სასტარტო შემადგენლობის წევრი. მაგრამ აქ მე იჯარით ვარ და „ვიტესს“ ვეკუთვნი. ალბათ, ჰოლანდიაში დაბრუნება მომიწევს. მაგრამ ვლადიკავკაზში გატარებულ დროს ყოველთვის თბილად გავიხსენებ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## ქართული ლეგიონის ამბები

5

# დაჯილდოებების და დამშვიდობებების ტური



ბარსამ ტიტული ჩაიბარა



პარიზში დევიდ ბექჰემი გააცილეს

# პრემიერლიგა, ბუნდესლიგა და სერია A დასრულდა

5-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. ბოლო ტური

I-VI ადგილები

18.05. თბილისი. დინამო არენა
800 მაყურებელი

დინამო (თბ) 6
ზესტაფონი 1

1:0 გრაიციარი (16), 2:0 დვალი (18), 2:1 დემელი (37), 3:1 უსტარიცი (41), 4:1 გრაიციარი (62), 5:1 ჩისკო (66), 6:1 ჩისკო (75)

| დინამო (თბ) 4-2-3-1 | ზესტაფონი 4-2-3-1 |
|---|---|
| გ. ლორია | მეშველიანი |
| სითერიძე | თორ. გრიგალაშვილი |
| გ. კვარაცხელია | პეტკოვი |
| უსტარიცი | გაგოშიძე |
| გლიშიჩი | კუტალია |
| გრაიციარი | ბაბუნაშვილი |
| ხმალაძე | შარიქაძე |
| ძარია | სარდალიშვილი |
| მერებაშვილი | აფციაური |
| ჩისკო | კვერნაძე |
| დვალი | დემელი |
| მწვრთნელი დ. უჭრინი | მწვრთნელი გ. მიქაძე |

**დინამო (თბ)**

69. ხმალაძე – **პაპავა**
74. მერებაშვილი – **კოტო**
78. გრაიციარი – **მილხრაუში**

*სათადარიგოები: ზარქუა, ხოჭოლავა, გველესიანი, მენდი*

**ზესტაფონი**

46. კვერნაძე – **ჭანკოტაძე**
72. სარდალიშვილი – **გაჩეჩილაძე**
76. კუტალია – **რობაქიძე**

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, გორგიაშვილი, ნ. შალამბერიძე, ბ. კვარაცხელია*

გაფრთხილება: პეტკოვი (68), გ. კვარაცხელია (79)

არბიტრი: დ. სანოძე

# გოლებით გალამაზებული საჩემპიონო საღამო



ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები ჩისკო და ჯაბა დვალი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

"დინამო", რომელიც საქართველოს ჩემპიონი ხუთწლიანი პაუზის შემდეგ გახდა, მატჩის დასრულების შემდეგ ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასითა და მედლებით დააჯილდოვეს. ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა მორიგი საჩემპიონო წოდება "ტორპედოს" ძლევით მოიპოვა, ზეიმი კი გასულ შაბათს, ნამატჩევს გაიმართა.

მატჩს კი საზეიმო ელფერი ნაკლებად დაჰკრავდა. იყო იმის საშიშროებაც, რომ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი "ზესტაფონი" თბილისში საერთოდ არ ჩასულიყო, თუმცა ბოლო მომენტში საამისო სახსრები ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა გამოყო და "დინამო არენაზე" საქართველოს ექსჩემპიონი შესუსტებული შემადგენლობით, რამდენიმე დღის უვარჯიშებელი გავიდა.

თავის მხრივ, დინამოელებმა ერთგული გულშემატკივრების გასახარებლად თავი არ დაზოგეს და აქედან გამომდინარე, ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში განსაკუთრებული სიურპრიზი არ ყოფილა.

ვფიქრობთ, მსგავსი შინაარსის მატჩის პერიპეტიების აღწერა აზრს მოკლებულია, ანგარიში თავისთავად ყველაფერზე მეტყველებს. თუკი პირველ ტაიმში "ზესტაფონმა" დედაქალაქელებს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა გაუწია, შესვენების შემდეგ "დინამოს" საერთოდ ველარაფერი დაუპირისპირა. **დუშან უჰრინის** გუნდს საგოლე მომენტები ორივე ტაიმში მრავლად ჰქონდა და მასპინძლებს შანსების რეალიზების უკეთესი მაჩვენებელი რომ გამოევლინათ, ორბურთიანი სხვაობითაც გაიმარჯვებდნენ.

როგორც ოქმიდან ხედავთ, "ზესტაფონმა" მთავარი მწვრთნელის გარეშე ითამაშა. **კახა კაჭარავასა** და მისი ასისტენტის, **კახა გოგიჩაიშვილის** არყოფნაში გუნდის თავკაცის ფუნქციები დუბლშემადგენლობის მწვრთნელმა **გიორგი მიქაძემ** შეასრულა.

თავისი საგოლე მონაგარი კიდევ ორი ბურთით შეავსო **ჩისკომ.** "დინამოს" ესპანელი შემტევი სრულიად დამსახურებულად გახდა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. მის ანგარიშზე 24 გოლია. სნაიპერთა დავაში მეორე ადგილი გაიყარა მისმა თანაგუნდელმა **ჯაბა დვალმა,** რომელმაც თავი 20 გოლს მოუყარა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩისკომ გასულ ჩემპიონატში სამი ბურთი თერთმეტმეტრიანით გაიტანა, დვალს კი პენალტი არ დაურტყამს.

"რევანში, რევანში" – გარკვეული ხნის განმავლობაში "დინამოს" ფანკლუბი ასე სკანდირებდა და მხედველობაში უთუოდ წინა სეზონში "ზესტაფონში" განცდილი 1:5 ჰქონდა.

ჩემპიონი "დინამო" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** და გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** დააჯილდოვეს. "დინამოს" წინ თასის ფინალი ელის, "ზესტაფონისთვის" კი სეზონი დასრულებულია. ისღა დაგვრჩენია, დედაქალაქელებს ევროთასებზე წარმატება, ხოლო ფეროელებს ბრძოლისუნარიანი გუნდის შენარჩუნება ვუსურვოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**I-VI ადგილები**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 32 | 24 | 6 | 2 | 88 | 23 | 78 |
| 2 | დილა | 32 | 22 | 2 | 8 | 60 | 26 | 68 |
| 3 | ტორპედო | 32 | 19 | 7 | 6 | 57 | 30 | 64 |
| 4 | ჩიხურა | 32 | 17 | 6 | 9 | 49 | 38 | 57 |
| 5 | ზესტაფონი | 32 | 12 | 6 | 14 | 35 | 38 | 42 |
| 6 | ზუგდიდი | 32 | 10 | 6 | 16 | 31 | 52 | 36 |

**ევროტურნირებზე ითამაშებენ**

| | |
|---|---|
| ჩემპიონთა ლიგა | დინამო (თბ) |
| ევროპალიგა | დილა |
| | ტორპედო |
| | ჩიხურა |

*თასის ფინალისტი, ფინალში ეთამაშება თბილისის დინამოს)*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 24 |
| დვალი (დინამო თბ) | 20 |
| ს. ლომია (მერანი) | 16 |
| ალვარო (დინამო თბ) | 14 |

18.05. გორი. თ. ბურჯანაძე.
2000 მაყურებელი

დილა 4
ჩიხურა 0

1:0 ჟუნიორი (10), 2:0 ლეონარდო (30), 3:0 ჟუნიორი (34. კვირკველიას პასით), 4:0 გოგუა (76).

| დილა 4-4-2 | ჩიხურა 4-5-1 |
|---|---|
| მამალაძე | სომხიშვილი |
| ალადაშვილი | ოდიკაძე |
| კვახაძე | რეხვიაშვილი |
| თომაშვილი | გუშარაშვილი |
| კვირკველია | შ. კაშია |
| ლეონარდო | დილმელაშვილი |
| ი. მაისურაძე | დ. ბოლქვაძე |
| გვალია | ზაბახიძე |
| გოგუა | კირკიტაძე |
| ჟუნიორი | დეკანოიძე |
| მოდებაძე | გოცირიძე |
| მწვრთნელი ვ. ივანაუსკასი | მწვრთნელი ს. ფრუიძე |

**დილა**

46. მოდებაძე – **ილურიძე**
46. ლეონარდო – **გორელიშვილი**
64. ალადაშვილი – **გოგინაშვილი**

*სათადარიგოები: ზუროშვილი, ნ. ჯიშკარიანი, ლომიძე, აბურჯანია*

**ჩიხურა**

46. შ. კაშია – **ჩიკვაიძე**
46. ზაბახიძე – **ლომაშვილი**
59. ბოლქვაძე – **ქიმაძე**

*სათადარიგოები: მნყერაშვილი, ბერიანიძე, ჭელიძე, საჯაია*

გაფრთხილება: გუშარაშვილი (32), რეხვიაშვილი (80)

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

# ვერცხლის ფინიში, ჯერაც ბუნდოვანი, მაგრამ იმედიანი მომავლით

ამ საფეხბურთო სეზონში „დილას" და „ჩიხურას" ერთმანეთთან თამაში დაებედათ. მეექვსედ დაუპირისპირდნენ ეს გუნდები ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ფორმატში, თუმცა ამ შეხვედრების უმრავლესობაზე სიტყვა „დაპირისპირების" თქმა ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, რადგან მათ მატჩებს დაძაბულობა აკლდა, განსხვავებით გოლებისგან, რომელიც 20-ჯერ გაუტანეს გუნდებმა ურთიერთს. დაძაბულობის სიმცირე კი იმან მოიტანა, რომ ერთს ქვეყნის თასის მოპოვებაზე ჰქონდა განსაკუთრებული აქცენტი გადატანილი, ხოლო მეორეს პირიქით თასი არ აინტერესებდა, იქ ძირითად შემადგენლობას ასვენებდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ანიჭებდა უპირატესობას. საბოლოოდ „დილა" ან დუბლიორებით ეთამაშებოდა „ჩიხურას" (საქართველოს თასზე), ან გოლები წყვილ-წყვილად გაჰქონდათ. მათ პირველ შეხვედრაში **მათე ვაწაძემ** შეასრულა დუბლი, მეორეში **გულვერდ თომაშვილმა,** ბოლოს წინ **ირაკლი მოდებაძემ,** ახლა კი **ნათან ჟუნიორმა.**

შაბათის მატჩში ჟუნიორმა პირველი გოლი მე-10 წუთზე გაიტანა — დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ადვილად აჯობა გოლკიპერს. აქამდე ორიოდ წუთით ადრე **გოგიტა გოგუას** შეეძლო ეხეირა. გოლიდან რამდენიმე წუთში კი საპირისპირო კართან **რევაზ გოცირიძესაც** მიეცა საგოლე შანსი, თუმცა **ზურაბ მამალაძემ** იხსნა მასპინძლები, კარგად დარტყმული თავური კუთხურზე გადააგდო. ასეთმა დასაწყისმა მაყურებელს ლოგიკურად თავიდანვე შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ უხვგოლიანი შეხვედრის მოწმე გახდებოდა და არც შემცდარა. თუმცა მხოლოდ „დილამ" გაამართლა პუბლიკის ვარაუდი. გორელებმა ოთხჯერ გაუტანეს გამოცდილ **გიორგი სომხიშვილს,** ხოლო საჩხერელებმა ერთხელაც ვერ აიღეს მასპინძლების კარი. არადა, მაგალითად, 57-ე წუთზე მეტად სახეირო მომენტი ვერ გამოიყენა **ბესიკ დეკანოიძემ.** თავის მხრივ „დილას" ფეხბურთელებს მიზანი „გასწორებული" ჰქონდათ და ჯერ **რამოსმა** გაზრდა ანგარიში, შემდეგ ჟუნიორმა **კვირკველიას** მიერ ჩაწოდებულ ბურთს ბადეში მიუჩინა ადგილი. ვერცხლის მედლის ფაქტობრივმა მფლობელებმა, გატანილი გოლებით, საზეიმო დაჯილდოების წინ ეფექტური ფონის შესაქმნელად კიდევ ჩათვალეს საჭიროდ ანგარიშში სხვაობის გაზრდა და გოგუამ მეოთხეც გაიტანა. მატჩის მიწურულს კი **გიორგი ილურიძეს** საოცარი მომენტი რომ არ გაეფლანგა გორელების გამარჯვება კიდევ უფრო შთამბეჭდავი გამოვიდოდა. თუმცა კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგი ხომ „დილას" უამისოდაც უკვე განაღდებული ჰქონდა. სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტები **ალექსანდრე ჩივაძე** და **გია ფირცხალავაც** უკვე მზად იყვნენ მათ დასაჯილდოებლად. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ „დილას" ვერცხლის მედლებით დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ტაშით და ოვაციებით გადაუხადეს მადლობა ისტორიული შედეგის შემოქმედ ფეხბურთელებს და მწვრთნელებს განვლილი სეზონისთვის. გუნდის ფანკლუბის ჭაბუკი წევრები კი დაჯილდოების მერე კარგა ხანს „ნადირობდნენ" საყვარელი ფეხბურთელების მაისურების მოსაპოვებლად.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**მატჩის შემდეგ**

**დავით კვირკველია** ("დილას" კაპიტანი): "იქიდან მოყოლებული, რაც მე „დილაში" გადმოვედი, უკმაყოფილო ვერ ვიქნები. შარშან ევროტურნირებზე ნორმალურად გამოვედით, წლეულს უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძოდით. მართალია, მას ვერ მივაღწიეთ, რადგან „დინამოსთან" კონკურენცია ცოტა არ იყოს ძნელია, მაგრამ ჩვენ ღირსეულად ვიბრძოლეთ და მიუხევადავად იმისა, რომ ბოლოს პრობლემები დაგროვდა გუნდში, მაინც საკმაოდ კარგი შედეგი ვაჩვენეთ. ვულოცავ გორის „დილას" თითოეულ გულშემატკივარს ამ წარმატებას! მოგეხსენებათ, სახელმწიფო დაგვპირდა თანადგომას, იმედი გვაქვს, რომ გუნდს არ მიატოვებენ და ევროტურნირებზეც წარმატებით გამოვალთ."

**ვალდას ივანაუსკასი** ("დილას" მთავარი მწვრთნელი):

— **პირველ რიგში, გილოცავთ ვერცხლის მედლებს. საინტერესოა, როგორ შეაფასებთ თქვენ მიერ გაწეულ სამუშაოს გორის „დილაში"?**

— ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენი შესაძლებლობებიდან და არსებული პრობლემებიდან გამომდინარე. ვფიქრობ, მთლიანობაში შესანიშნავი სეზონი გამოვიდა. დავამტკიცეთ, რომ ქართული ფეხბურთი ერთ ადგილზე არ დგას. არიან ტალანტები და პერსპექტიული ფეხბურთელები. კმაყოფილი ვარ სამწვრთნელო შტაბის მუშაობითაც. მეტის სურვილიც გვქონდა, მაგრამ არსებული პრობლემებიდან გამომდინარე ეს მაქსიმუმი იყო რაც მოხერხდებოდა. მთელ გუნდს ვულოცავ წარმატებას. საქართველომ უნდა იამაყოს ამ კლუბით.

— **გუნდის ევროტურნირებისთვის სამზადისზე რას გვეტყვით?**

— მომავალზე ვერაფერს გეტყვით, რადგან პრობლემები სულ რაღაც გუშინ გადაიჭრა. ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ახლა გამიჭირდება იმაზე საუბარი, თუ რა და როგორ იქნება მომავალში.

— **თქვენი კავშირი „დილასთან" სამომავლოდ თუ გაგრძელდება?**

— ამაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. გუნდის პრობლემაც ამაშია, რომ ასეთი საკითხები ჯერ არაა გარკვეული. მე და ფიზმომზადების მწვრთნელმა თომას კლიმეკმა ყველაფერი გავაკეთეთ და დანარჩენს ჩვენ არ ვწყვეტთ.

— **რეალური წინადადების შემთხვევაში თუ დარჩებოდით „დილაში"?**

— ამ კითხვას კომენტარის გარეშე დავტოვებ.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

### 18.05. განმუხური. 300 მაყურებელი

ზუგდიდი **1**
ტორპედო **4**

0:1 ტულუში (17), 0:2 ფირცხალავა (44), 0:3 გავაშელიშვილი (56), 1:3 გაბედავა (66), 1:4 დოლიძე (79)

| ზუგდიდი 4-2-3-1 | ტორპედო 4-4-2 |
|---|---|
| ძაგანია | მიგინეიშვილი |
| ქვარცხავა | ზ. ჯელიძე |
| აფაქიძე | რიგვავა |
| რ. ონიანი | გ. გურული |
| ჯანაია | ფირცხალავა |
| გ. ხუბუა | გ. დათუნაიშვილი |
| სიხარულია | დოლიძე |
| წურწუმია | ე. გრიგალაშვილი |
| ეხვაია | კუხიანიძე |
| შ. ლომია | ტულუში |
| გაბედავა | ბერიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | გ. გეგუჩაძე |

**ზუგდიდი**

30. ქვარცხავა – აქუბარდია
58. ლომია – ბერიშვილი
63. სიხარულია – მალანია

*სათადარიგოები: მაქაცარია, ხუხია, ფარჯიკია, ქანთარია*

**ტორპედო**

53. ბერიაშვილი – მ. გავაშელიშვილი
58. ფირცხალავა – გიგაური
77. ე. გრიგალაშვილი – ბ. კაკუბაძე

*სათადარიგოები: ქვილითაია, მამასახლისი, ცინცაძე, გოგიჩაიშვილი*

გაფრთხილება: ტულუში (68), წურწუმია (74), აქუბარდია (76)
გაძევება: რ. ონიანი (54)
არბიტრი: ხ. გაგნიძე

### 18.05. რუსთავი. ფოლადი. 200 მაყურებელი

მეტალურგი **0**
დინამო (ბთ) **1**

0:1 ქორიძე (90, მუჯირის პასით)

| მეტალურგი 4-2-3-1 | დინამო (ბთ) 4-1-4-1 |
|---|---|
| ალავიძე | ტაკიძე |
| ჯაფარიძე | ფარტენაძე |
| მახვილაძე | ზ. ლობჟანიძე |
| ინწკირველი | გ. ჭვანია |
| სუხიაშვილი | გაბუნია |
| დობროვოლსკი | მახარაძე |
| გავაშელიშვილი | დიასამიძე |
| დ. საჯაია | თევდორაძე |
| სიხარულიძე | მუჯირი |
| გეწაძე | ჯიანაველიძე |
| ვ. კვარაცხელია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. ყიფიანი | გ. გურული |

**მეტალურგი**

60. გავაშელიშვილი — მიქაბერიძე
66. კვარაცხელია — ახალკაცი
72. საჯაია — კორღალიძე

*სათადარიგოები: ბედიაშვილი, განუგრავა, ზ. ლობჟანიძე, ხაბელაშვილი*

**დინამო (ბთ)**

41. მახარაძე — ქორიძე
46. დიასამიძე — მაკარიანი

*სათადარიგოები: გორგოშაძე, რამიშვილი, ბაჯელიძე*

გაფრთხილება: ზ. ლობჟანიძე (22), გავაშელიშვილი (59)
არბიტრი: ლ. სილაგავა

VII-XII ადგილები

# პარალელური რეჟიმით, ანუ რა ხდება მარტვილში?..

...არ ვიცით „მეტალურგის" სატურნირო სიტუაციას „დავაბრალოთ" თუ სხვა ფაქტორ(ებ)ს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: რუსთავში გულშემატკივართა რიცხვი ტურიდან ტურამდე კლებულობს! გამონაკლისი არც ეს მატჩი იყო: სეზონის დასკვნით შეხვედრას რუსთავის კვალობაზე უჩვეულოდ ცოტა ქომაგი ადევნებდა თვალს და „ფოლადის" ტრიბუნებიდან ხანდახან ხმაური თუ გაისმოდა, ესეც ბათუმელთა ათკაციანი გულშემატკივართა ჯგუფის დამსახურება გახლდათ. ჰო, მასპინძელთაგან განსხვავებით ბათუმის „დინამოს" ხომ უმნიშვნელოვანესი მატჩი ელოდა: **გია გურულის** გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად „მეტალურგიც" უნდა დაემარცხებინა და ამავდროულად იმის იმედზეც უნდა ყოფილიყო, რომ მისი უშუალო კონკურენტი „სიონი" მარტვილში ქულებს დაკარგავდა. არადა, ბათუმის „დინამოს" თავისუფლად შეეძლო საქმე არ გაერთულებინა და არც სხვა გუნდებზე ყოფილიყო დამოკიდებული, მაგრამ ჩემპიონატის ფინიშზე კონკურენტებთანაც წაიფორხილა („ვიტ ჯორჯიასთან" — წააგო, „სიონთან" — ფრედ ითამაშა) და, რაც ყველაზე მოულოდნელ-უცნაური იყო, ბოლოსწინა ტურში შინ ვერ შეძლო მოტივაციადაკარგული „კოლხეთის" დამარცხება. ისე, რთული წარმოსადგენია, თუ როგორი „შინაარსის" შეხვედრა ჩატარდებოდა რუსთავში, ბათუმის „დინამო" სხვაზე რომ არ ყოფილიყო დამოკიდებული: მოიგებდნენ სტუმრები და მაშინათვე ერთი ამბავი ატყდებოდა, აქაოდა, მასპინძლებმა მატჩი შეგნებულად დათმესო; საპირისპირო შემთხვევაში კი, ალბათ, ბათუმის „დინამოს" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ექნებოდათ პრეტენზია — თქვენ ქულები არაფერში გჭირდებათ და ჩვენ რაღას გვწირავთო. ჰო, მართლა დამაინტრიგებელი სიტუაცია იქნებოდა და თამაშიც, ალბათ, ბევრად უფრო საინტერესო გამოდგებოდა, ვიდრე ახლა, რაც ვნახეთ...

...ბოლო ტურის მატჩს ორივე გუნდი სერიოზული საკადრო პრობლემებით შეხვდა: მასპინძლებმაც და სტუმრებმაც ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო არაერთი ფეხბურთელი მოისაკლისეს; დისკვალიფიცირებული გახლდათ და ტრიბუნებიდან ადევნებდა თამაშს თვალს „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი ყიფიანიც**. თუმცა, პირველი ტაიმი რომ მეტად და მეტად მოსაწყენი გამოდგა, სხვა ფაქტორით იყო განპირობებული: სტუმრებმა მალე შეიტყვეს, რომ „სიონმა" ადრეული გოლი გაიტანა და მათი უემოციო თამაშიც ამას უნდა დავაბრალოთ; მასპინძლებსაც არ შეუწუხებიათ დიდად თავი, თუმცა საწყისი 90 წუთი მათი უპირატესობით მიმდინარეობდა. აი, რასაც სახიფათო მომენტი ჰქვია, პირველ ტაიმში „მეტალურგმა" მხოლოდ ერთხელ შექმნა: სტუმართა ახალგაზრდა მეკარემ **რომან ტაკიძემ** პოზიტიური შეცდომა დაუშვა, მაგრამ **ვახტანგ კვარაცხელიამ** ძალიან მახვილი კუთხიდან დაუცველი კარის დალაშქვრა ვერ მოახერხა; რაც შეეხება სტუმრებს, იმათგან ყველაზე აქტიური **ბესიკ ჩიკამაძე** გახლდათ, შორი მანძილიდან ორჯერ სახიფათოდ რომ დაარტყა. ერთ ეპიზოდში კი **მიხეილ ალავიძემ** იყოჩაღა: 39 წლის **ამირან მუჯირმა** ჩვეულ სტილში შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ „მეტალურგის" მეკარემ დიდი გაჭირვებით მაინც შეძლო ბურთის მოგერიება.

მეორე ტაიმი კვლავაც მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ **ირაკლი სიხარულიძემ** ახლო მანძილიდან ზუსტად ვერ დაარტყა. მატჩის ბოლომდე სიხარულიძე კიდევ ორჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ — უშედეგოდ. ამასობაში კი ცნობილი გახდა, რომ მარტვილში ანგარიში შეიცვალა: „მერანის" გოლი ხომ ბათუმელებს შანსს უტოვებდა და სტუმრებიც ერთობ გააქტიურდნენ; მალე ვნახეთ ეფექტური კომბინაციაც, ამირან მუჯირმა და **კარენ მაკარიანმა** რომ გაითამაშეს, თუმცა ბესიკ ჩიმაკაძის საბოლოო დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ისე, მართლაც უცნაური სიტუაცია იყო შექმნილი: პარალელურ მატჩში ბათუმელთათვის სასურველი ანგარიში ფიქსირდებოდა, თუმცა თავად ვერ ახერხებდნენ უმოტივაციო მასპინძლების დამარცხებას. ამასობაში კი დრო იწურებოდა და გოლი თუ ვინმეს უნდა გაეტანა, უპირველეს ყოვლისა, მასპინძლებზე ითქმის: **რევაზ გეწაძის** შესრულებული საჯარიმოს მერე ბურთი სრულიად უმეთვალყურეოდ მყოფ **ლევან კორღალიძეს** მიუვიდა, მაგრამ ტრავმამომუშებული ნახევარმცველი ასეთ საჩუქარს ნამდვილად არ ელოდა. ამ მართლაც უცნაური მატჩის კულმინაცია კი ბოლო წუთზე დადგა: ამირან მუჯირმა კუთხურიდან ბურთი ახლო კუთხესთან ჩააწოდა, სადაც ყველას **ვაჟა ქორიძემ** დაასწრო და ზუსტი თავური დარტყმით თავის გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენა გაუნაღდა! თუმცა, სტუმრები სულ ტყუილად ზეიმობდნენ ამ გოლს: მოედანზე მყოფებმა არ იცოდნენ, რომ „სიონი" უკვე იგებდა თავის მატჩს და ბათუმელთა გამარჯვებასაც ყველანაირი აზრი ეკარგებოდა. ასეც მოხდა: მარტვილში შეხვედრა ცოტა უფრო ადრე დამთავრდა და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ბათუმელთა რეაქცია, როცა „სიონის" გამარჯვების შესახებ ინფორმაცია შეიტყვეს...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

## დილამ ვალები გაისტუმრა და ევროპული გარანტიებიც მიიღო

გორის „დილას" ამბავი გეხსომებათ - შარშან მოლოიერებულ გუნდს წლეულს ფინანსური პრობლემები შეექმნა და ამ ყველაფერს გაურკვევლობაც დაემატა - რა იქნება შემდეგ? ამ კითხვაზე პასუხი არ ჩანდა.

ახლახან კი გორელებს იმედი მიეცათ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ „დილას" 270 000 ლარი გადაურიცხა, აქედან 250 ათასი ლარი „დილას" იმიტომ ეკუთვნოდა, რომ გუნდი 2012/13 წლების ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო 20 ათასი ლარი სუპერთასის მატჩში მონაწილეობისთვის. ამ თანხით კლუბმა სახელფასო დავალიანება გაისტუმრა.

რაც შეეხება მომავალს, როგორც კლუბში გვითხრეს, გორის მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება, რომ „დილა" დამდეგ ევროსარბიელზე ღირსეულად გამოვიდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ „დილას" ექნება უცხოური შეკრება და იმის საშუალებაც, რომ ფეხბურთელები შეინარჩუნოს.

როგორც ჩანს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი „დილას" ორი თვე დააფინანსებს, სამერმისოდ კი „დილა", სხვა საბიუჯეტო კლუბები და კერძო გუნდებიც იმას ელოდებიან, თუ რა პროექტს შეიმუშავებენ და განახორციელებენ ფეხბურთის ფედერაცია და სპორტის სამინისტრო ქართული საკლუბო ფეხბურთისთვის.

დამდეგი ევროტურნირების კენჭისყრა 24 ივნისს გაიმართება, ივლისის დასაწყისში კი უკვე თამაშებიც დაიწყება.

**დავით თავართქილაძე**

### 18.05. მარტვილი. ცენტრალური. 700 მაყურებელი

მერანი **1**
სიონი **2**

0:1 სვანიძე (8. მანწკავას პასით), 1:1 ტორონჯაძე (61), ახალაია (72)

*70-ე წუთზე ს. ლომიამ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი*

| მერანი 4-5-1 | სიონი 4-2-3-1 |
|---|---|
| შეროზია | მერლანი |
| მონიავა | ფოფხაძე |
| ქარქუზაშვილი | სვანიძე |
| იობაშვილი | ქემოალიძე |
| ზაქრაძე | ელიავა |
| დიდავა | ჰაიდუჩეკი |
| ლურსმანაშვილი | ჩივაძე |
| გეგია | მანწკავა |
| ტორონჯაძე | ბიბილეიშვილი |
| ს. ლომია | მიკუჩაძე |
| კუჭუხიძე | ახალაია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| მ. ჟვანია | ა. ჯელაძე |

**მერანი**

30. დიდავა - ბუკია
46. კუჭუხიძე - შარვაძე
70. ზაქრაძე - მელიავა

*სათადარიგოები: მუჯრიშვილი, ხუბუა, ღონღაძე, კრისი*

**სიონი**

58. ჩივაძე - ისიანი
72. ჰაიდუჩეკი - საფირი
78. ახალაია - უგულავა

*სათადარიგოები: ბოპლიაშვილი, ლექვთაძე, გოგატიშვილი, ორბელაძე*

გაფრთხილება: ჰაიდუჩეკი (25), მერლანი (70)
არბიტრი: ა. კრიჟაშვილი

# პროგრამა შესრულებულია

ამ ტურამდე მეტოქეები რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციაში იმყოფებოდნენ, თუ "მერანს" უკვე "თავი ქუდში" ჰქონდა, ამას ვერ ვიტყოდით "სიონზე", რომლისთვისაც მარტვილში არ



სიონმა მარტვილში მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო — ავტორის ფოტო

გამარჯვება საბედისწერო შეიძლება გამომდგარიყო. შეხვედრას რაც შეეხება, თამაში უფერული და საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა. მასპინძლები ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოცდაზე იყვნენ ორიენტირებულები. ამ მიზნით **მალხაზ ჟვანიამ** თავიდანვე ძირითადში დააყენა **გიორგი გეგია, თედო ლურსმანაშვილი** და **ცოტნე მონიავა**. თავიდანვე ცხადი იყო, რომ მათ გაუჭირდებოდათ მოწინააღმდეგის გამოცდილი მცველების წინააღმდეგ თამაში. რაშიც ახალგაზრდა მერანელებს ვერავინ გაამტყუნებს. შეტევაში თავქუდმოგლეჯილი არც სტუმრები გარბოდნენ, ისინი თავიანთ შანსს ელოდნენ. შანსი კი მალევე მიეცათ: ფაქტობრივად, სტუმართა პირველი დარტყმა "მერანის" კარის მიმართულებით გოლით დასრულდა: **დავით სვანიძემ** შორი მანძილიდან მოსინჯა ძალები, **ჯონი შეროზიამ** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და 0:1.

ტაიმის შუაწელს მარტვილელები შედარებით გააქტიურდნენ, მომენტიც შექმნეს: **საბა ლომიამ** ხელსაყრელი პოზიციიდან გაისროლა, თუმცა ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა მეტოქის კარს. აქვე იყო არასასიამოვნო ეპიზოდიც, **ჰაიდუჩეკისა** და **დიდავას** ორთაბრძოლა მოედნის ცენტრის სიახლოვეს, ამ უკანასკნელის მიკროტრავმით დასრულდა.

ულიმღამო პირველი ნახევრის შემდეგ, არავის შექმნია იმის ილუზია, რომ მეორე ტაიმში საინტერესო და უშელავათო დაპირისპირებას ვიხილავდით. თამაში იმავე ტემპში გაგრძელდა, მცირე უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. და მაინც: ჯერ სვანიძეს მიეცა თავისიანების უპირატესობის განმტკიცების საშუალება, მოგვიანებით კი **აკაკი მიკუჩაძის** შორეული დარტყმა შეროზიამ მოიგერია. ამას მოჰყვა მერანელთა საპასუხო შეტევა, რომელიც გოლით დაგვირგვინდა. **მამუკა ტორონჯაძემ** საკმაოდ შორიდან დაარტყა, **მირზა მერლანი** მოუმზადებელი აღმოჩნდა და ანგარიშიც გათანაბრდა. ამის შემდეგ, "სიონი" რეალური საშიშროების წინაშე დადგა, შეცვლაზე შემოსული **შარვაძე** მოულოდნელად მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მერლანმა ის თამაშის წესებით შეაჩერა, რისთვისაც გუნდი თერთმეტმეტრიანით, თვითონ კი ყვითელი ბარათით დაისაჯა. პენალტის შესრულება ამ სეზონის ერთ-ერთმა აღმოჩენამ საბა ლომიამ ითავა (მის ანარიშზე 16 გატანილი გოლია), თუმცა ბურთი კარს ააცილა. ორიოდე წუთში სტუმრებმა საპასუხო კონტრშეტევა წარმატებით განახორციელეს, **ლადო ახალაიას** მიერ საშუალო დისტანციიდან დარტყმულ ბურთს შეროზიამ ვერ აუღო ალღო — 1:2.

**მატჩის შემდეგ**

**მალხაზ ჟვანია (მერანი):** "როგორც იცით, წინა ტურში მოვახერხეთ ამოცანის შესრულება და უმაღლესში ადგილი შევინარჩუნეთ. ამ თამაშში ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოვცადეთ, გვქონდა საშუალება და რატომ არ უნდა გამოგვეყენებინა? ეს ევროპაში აპრობირებული მეთოდია... სეზონი წარმატებით დავასრულეთ, ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ".

**არმაზ ჯელაძე (სიონი):** "ეტყობა, სეზონმა ბიჭები დაღალა, რაც თამაშიდან ნათლად ჩანდა. მეორე ტაიმში გაგვიმართლა, რომ მეტოქემ თერთმეტმეტრიანის გამოყენება ვერ მოახერხა, ამან ჩვენ ხელფეხი გაგვიხსნა და მართალია, რთული, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. ბედნიერი ვარ, რომ მომავალ სეზონს უმაღლეს ლიგაში გავატარებთ. გპირდებით, რომ უკეთესი შედეგებისთვის ვიბრძოლებთ".

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

**VII-XII ადგილები**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მეტალურგი | 32 | 12 | 8 | 12 | 29 | 35 | 44 |
| 8 | მერანი | 32 | 10 | 4 | 18 | 31 | 51 | 34 |
| 9 | სიონი | 32 | 8 | 9 | 15 | 31 | 51 | 33 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 32 | 8 | 9 | 15 | 25 | 42 | 33 |
| 11 | დინამო (ბთ) | 32 | 8 | 7 | 17 | 39 | 55 | 31 |
| 12 | კოლხეთი | 32 | 3 | 8 | 21 | 22 | 56 | 17 |

**ბათუმის დინამო** და **ფოთის კოლხეთი** უმაღლესი ლიგიდან პირველ ლიგაში დაქვეითდნენ

● საქართველოს ჩემპიონატი. ბოლო ტური

18.05. ფოთი. ფაზისი.
200 მაყურებელი

კოლხეთი **2**

ვიტ ჯორჯია **0**

1:0 ქორჩილავა (47. წაბრიას პასით),
2:0 ნ. სიჭინავა (55)

| კოლხეთი 4-1-4-1 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| ბუბუტეიშვილი | დაუშვილი |
| გ. კილასონია | იაშვილი |
| ჩადუნელი | გოგიაშვილი |
| ფარულავა | ტეტუნაშვილი |
| ლ. კაკულია | მჭედლიშვილი |
| ხოშტარია | გახარია |
| წაბრია | დავლაშელიძე |
| კრასოვსკი | გაგნიძე |
| ჯანაშია | ლიბრაძე |
| ქორჩილავა | სოფრომაძე |
| კვანტალიანი | კუხალეიშვილი |
| მწვრთნელი ს. ფილია | მწვრთნელი ზ. ბერიძე |

**კოლხეთი**

46. კრასოვსკი - **ნ. სიჭინავა**
60. ხოშტარია - **გოგონაია**
77. კვანტალიანი - **კახიძე**

*სათადარიგოები:* ჩიქოვანი, ბუხაიძე, ცხვიტარია, გულუა

**ვიტ ჯორჯია**

57. გაგნიძე - **ბუაჩიძე**
63. დავლაშელიძე - **ბუნტური**
69. მჭედლიშვილი - **გეთიაშვილი**

*სათადარიგოები:* ჩალიგავა, გაბრიჭიძე, ე. ლობჯანიძე

*გაფრთხილება:* კუხალეიშვილი (29), ლიბრაძე (39), წაბრია (43), ტეტუნაშვილი (55), კახიძე (85)

*არბიტრი:* გ. ვადაჭკორია

# ფოთის 100

## საიუბილეო მილოცვას კოლხეთი და ბესელია სფფ-სგან ელიან

შაბათს, ფოთელებმა საკუთარ მოედანზე კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავთ და რომ არა ჩაგდებული პირველი ეტაპი, „კოლხეთი-1913"-ს საიუბილეო წელს ელიტლიგის დატოვება არ მოუწევდა. ნამდვილად ცოდოა ეს გუნდი ქვედა ლიგაში დასაქვეითებლად. **სოსო ფილიას** შეგირდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეორე ეტაპზე უმოტივაციოდ დარჩენილებმა სეზონი მხოლოდ „ფორმალურად" არ ჩაამთავრეს და ყველას რომ ეგონა, იოლი გასეირნება ექნებოდათ, ქულები ქვედა ექვსეულის ყველა გუნდს დააკარგვინეს.

მათი მორიგი „მსხვერპლი" „ვიტ ჯორჯია" აღმოჩნდა - ფოთელებმა მეტოქე თითქმის პირწმინდად დაჩაგრეს, ყოველ შემთხვევაში, დედაქალაქელებზე გაცილებით მეტი ხიფათი შექმნეს და მათთვის 3 ქულა ალალიც იყო.

მართალია, მასპინძლების უპირატესობა დასაწყისიდანვე გამოიკვეთა, მაგრამ პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერც ერთმა გუნდმა შეძლო. თუ სტუმრებს ამის შანსი, ფაქტობრივად, არც ჰქონიათ, კოლხებს ტაიმის შუაში ორჯერვე შეეძლოთ ეხეირათ და ორივეჯერ **ალექსანდრე ქორჩილავას** აქტიურობის ხარჯზე. პირველად 22-ე წუთზე ფოთელთა 22-ე ნომერი ცენტრფორვარდის პოზიციაზე ჩინებულ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ ახლო მანძილიდან ისე, რომ ხელს არავინ უშლიდა, **ნიკა დაუშვილს** აუღებელი კი დაურტყა, მაგრამ ბურთი ხარიხის გავლით კარს გადასცდა.

აქედან ზუსტად ერთ წუთში, კოლხთა მარცხენაფლანგელი მეკარეს პირისპირ შეჰყარეს, მაგრამ ბოლო მომენტში დასწრებაზე ჩინებული თამაშით დაუშვილმა თავისიანები გადაარჩინა.

თუმცა ვეტერინარები მატჩის უდავოდ გამორჩეული მობურთალის გოლს მაინც ვერ გადაურჩნენ — მეორე ტაიმი ორიოდ წუთის დაწყებული იყო, როცა **ამირან წაბრიამ** მარჯვენა ფლანგზე გაილალა და ზედიზედ მეორე ტურში საგოლე პასის ავტორად მოგვევლინა — თუ ბათუმის „დინამოსთან" **შალვა კვანტალიანს** გაატანინა, ამჯერად მის გამჭოლ გადაცემას ცენტრფორვარდი ვერ გამოეხმაურა, თუმცა მარცხნიდან შემოჭრილ ქორჩილავას გატანა არ გასჭირვებია, 1:0. აქვე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მასპინძელთა მარჯვენაფლანგელმა **გიორგი მჭედლიშვილი** დიდი ალბათობით წესების დარღვევით ჩამოიტოვა, რის გამოც მსაჯებმა სტუმრების რისხვა დაიმსახურეს.

ხუთიოდ წუთში „თემიდელები" კიდევ ერთხელ მოექცნენ ყურადღების ცენტრში, როცა კვლავ წაბრიას პასის შემდეგ **ნიკა სიჭინავა** კარგად გადიოდა, მაგრამ მცველთან ბრძოლაში დაეცა — მასპინძლები პენალტს რომ ითხოვდნენ, ლაინსმენმა შემტევი დააჯარიმა.

თუმცა სიჭინავამ თავისი მაინც გაიტანა, როცა ვიტელთა მეკარე, ალბათ, შეცდა — საჯარიმოს მიღმა თამაშში ჩართვა რომ გადაწყვიტა, პირველად თავით კი მოიგერია, მაგრამ შეცვლაზე შესულმა კოლხმა ბურთი დაუცველი კარისკენ გაგზავნა — **ბადრი ტეტუნაშვილს** „მეკარეობა" არ გამოუვიდა, გოლიც გავიდა და ხელით თამაშისთვის ყვითელიც დაიმსახურა.

ამ გოლამდე წამებით ადრე თბილისელებს შეხვედრაში საუკეთესო შანსი მიეცათ, როცა **ანდრო სოფრომაძის** მოწოდებულს **ირაკლი ლიბრაძემ** თავი თითქმის აულებლად დაჰკრა, მაგრამ კოლხმა მცველმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

ბოლოსკენ ვეტერინარები ერთი ბურთის გაქვითვას მაინც ეცადნენ, მაგრამ ამისგან ხეირი ვერ მიიღეს. მეტიც, ერთხელ საკუთარ მეკარეს კინაღამ გაუტანეს — **გიორგი გეთიაშვილის** დარტყმა კარს მიღმა რომ არ წასულიყო, დაუშვილი რეაგირების მომხდენი ვერ იყო.

საბოლოოდ, 2:0 და პირველ ლიგაში დაქვეითებულმა „კოლხეთმა" კარი ასე გაიჯახუნა. თუმცა ფოთელებს იმედი აქვთ, სფფ პრემიერლიგაში გუნდების რაოდენობას გაზრდის. ამასვე იმედოვნებს მათი მაჟორიტარი **ეკა ბესელია**, რომელიც შეხვედრას დაესწრო და „კოლხეთს" მხურვალედ უქომაგა.

**მათე ბურული**
ფოთიდან



ფოთის კოლხეთი პირველ ლიგაში დაქვეითდა

● მოლოდინი



კოლხეთი-ვიტ ჯორჯიას ეკა ბესელია დაესწრო

**მთავრობა ფოთში სტადიონს ააგებს, სფფ-ისგან კეთილ ნებას ელიან**

## ეკა ბესელია

# იმედი მაქვს, კოლხეთის 100 წლის იუბილეს პირველ ლიგაში არ შევხვდებით!

**გასულ შაბათს აწ უკვე გასრულებული ჩემპიონატის ბოლო შეხვედრას „ფაზისზე" ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბესელია დაესწრო. თამაშის შემდეგ „კოლხეთთან" დაკავშირებით მას რამდენიმე შეკითხვა დავუსვით.**

**— ქალბატონო ეკა, რა ელის „კოლხეთს," რომელსაც წლეულს 100 წლის იუბილე აქვს და სამწუხაროდ, ქვეყნის მთავარი ლიგა დატოვა?**

— უპირველესად, მინდა გითხრათ, რომ ძალიან ვგულშემატკივრობ „კოლხეთს", ფეხბურთის დიდი მოყვარული გახლავართ და ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება, კლუბს გვერდში დავუდგე. სამწუხაროდ, დიდი შანსია, თუ უკვე გადაწყვეტილი არაა, რომ „კოლხეთმა" უმაღლესი ლიგა დატოვოს. თუმცა მე ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ მთავარ ლიგაში შესაძლოა დაამატონ გუნდები, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ასეთი ტრადიციული კლუბის ქვედა ლიგაში დაქვეითება ავიცილოთ. თან კლუბს 100 წელი უსრულდება. „კოლხეთი" მართლაც ისტორიული კლუბია, იუბილესთვის ვემზადებით და ლიგიდან გავარდნა ნამდვილად უსიამოვნო იქნება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შევცვლით სპორტულ შედეგს და ზოგადად პოლიტიკა ვერ ჩაერთვება სპორტში, რადგან ამან, რაც მოგვიტანა წინა ხელისუფლების პირობებში, კარგად გამოჩნდა. ახლა მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის კეთილ ნებაზე ვართ დამოკიდებულები. ამ ორგანიზაციის საქმიანობაში, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ვერ ჩავერევით, რადგან ეს არ არის პოლიტიკის საქმე, ეს საფეხბურთო ოჯახის გადასაწყვეტია. სპორტი პოლიტიზირებას ვერ იტანს. არავის აქვს უფლება მწვრთნელს უთხრას, თუ ვინ ათამაშოს და ვინ — არა. ასეთი რამ „კოლხეთში" არ მოხდება, გამორიცხულია.

საიუბილეო წელთან დაკავშირებით მე პირადად, რაც შემეძლო ის გავაკეთე. მთავრობას ვთხოვე სტადიონისთვის თანხის გამოყოფა. როცა ფინანსთა მინისტრი გვსტუმრობდა, ჩვენ დავამტკიცეთ ფოთის სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი. გამოიყოფა 2,5 მილიონი ლარი და მალე „კოლხეთს" კოხტა სტადიონი ექნება. 21-ე საუკუნეში თამაშები შესაფერის არენებზე უნდა იმართებოდეს.

**— ეს პროექტი იმ შემთხვევაშიც იმუშავებს, კლუბს ლიგის დატოვებაც რომ მოუხდეს?**

— რა თქმა უნდა! არ ვაპირებთ კლუბის მიტოვებას, ანუ დავრჩებით თუ არა მთავარ ლიგაში, ეს კლუბის მხარდაჭერაზე არ იმოქმედებს. ის დაფინანსება, რაც დღეს კლუბს ეძლევა, არაა საკმარისი. ამასთან, არც პირობებია შესაბამისი და მოგეხსენებათ, თუ პირობები არ იქნება, სპორტსმენს წარმატებას ვერ მოთხოვ.

**— დაფინანსება ახსენეთ, ფოთის პორტი ისევ ხომ არ დაეხმარება კლუბს?**

— ვერ გეტყვით, ეს საკითხი გასარკვევია. რა თქმა უნდა, პორტს და ვერც ვერავის ვერაფერს დავაძალებთ, ეს უნდა იყოს ორმხრივი სურვილი. ის დრო დასრულდა, როცა ძალით აფინანსებინებდნენ კლუბს. ამას შედეგი არც მოჰქონდა. აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა სურვილი, „კოლხეთს" ფინანსურად დაეხმაროს და ეს მისასალმებელია.

კარგი იქნება, თუ გამოსავალი გამოინახება და მთავარ ლიგაში დავრჩებით, თუმცა ეს საკმაოდ პრობლემატურია. კლუბის ქომაგებს ვპირდები, რომ ყველანაირად გვერდში დავუდგები „კოლხეთს" — ფოთი კარგ გუნდს იმსახურებს.

**— ქალბატონო ეკა, როგორც ვიცით, ლაპარაკია ფოთში სპორტკომპლექსის მოწყობაზეც?**

— დიახ, ვაპირებთ სპორტკომპლექსი გვქონდეს ქალაქში, თუმცა ის ადგილი, სადაც საძირკველი ჩაყრილია, სპორტისთვის არ არის სტრატეგიული. ამიტომ, ვფიქრობთ, იქ გაკეთდეს ქალაქისთვის რაიმე სხვა ობიექტი, ხოლო სპორტკომპლექსისთვის აქვე, სტადიონთან ახლოს გამოინახება ადგილი.

**მათე ბურული**
ფოთიდან

● იდეა

# რეფეხბურთი: რეალური ფეხბურთი ხელით თამაშის უფლების გარეშე

რეფეხბურთის იდეის დაბადების მიზეზი - 150-წლიანი არსებული პარადოქსის, ხელით თამაშის დასრულება და ბრწყინვალე თამაშ ფეხბურთში არსებული ყველა საჩინო ნაკლის ნიველირებაა და სამართლიანობის დეფიციტის ბუნებრივი აღმოფხვრაა.

რეფეხბურთში ბურთის, მოედნის, კარების ზომები და მონაწილეთა ჩაცმულობა იდენტურია (ცხადია, მეკარე ცალკე სუბიექტს არ წარმოადგენს).

განსხვავებები: რეფეხბურთში არ არსებობს არავინ, ვისაც აქვს ხელით თამაშის უფლება, გვერდითი ხაზიდან ბურთი თავისუფალი დარტყმით ბრუნდება თამაშში, არ არსებობს პენალტი, არ არსებობს თამაშგარე მდგომარეობა, დღეს არსებული „მეკარის მოედანი" მიიჩნევა „ზონად", რომელშიც სტანდარტული სიტუაციების (კუთხური, ჯარიმები, თავისუფალი დარტყმები) შესრულების მომენტამდე შეტევაში მყოფი გუნდის ფეხბურთელთა შესვლა აკრძალულია, ამ წესის დარღვევისათვის ინიშნება თავისუფალი დარტყმა „პენალტის" წერტილიდან. ამავე წერტილიდან სრულდება დარტყმა ბურთის უკანა ხაზის გადაკვეთის შემთხვევაში. გვერდითი ხაზის გადაკვეთისას ბურთი თამაშში ბრუნდება გადაკვეთის წერტილიდან თავისუფალი დარტყმით. წითელი ბარათი არ არსებობს, ნებისმიერი ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევაში დამრღვევი გუნდი ისჯება ჯარიმით საჯარიმო რკალის ნებისმიერი წერტილიდან. ორი ყვითელი ბარათი არ ნიშნავს არც ფეხბურთელის მოედნიდან დაუყოვნებლივ გაძევებას და შემდეგი მატჩის ავტომატურად გამოტოვებას, ნებისმიერ დისკვალიფიკაციას სპეციალური კომისია განიხილავს, განსაკუთრებული უხეშობის შემთხვევაში, ფეხბურთელი თუნდაც ერთი ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ, თუ მოედნის მსაჯი ჩათვლის ამ ფეხბურთელის მოედნიდან გაყვანის აუცილებლობას, სპეციალური ჟესტით მსაჯი ანიშნებს გუნდის მწვრთნელს, გამოცვალოს აღნიშნული ფეხბურთელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გუნდის მხრიდან ნებისმიერი, თუნდაც მცირე წესის დარღვევა ამ ფეხბურთელის გამოცვლამდე დაისჯება ჯარიმით საჯარიმო მოედნის რკალიდან. საჯარიმო მოედანში „პენალტის" ღირებული ტოლფასი დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა სრულდება ან დარღვევის წერტილიდან, ან საჯარიმოს რკალის ნებისმიერი წერტილიდან (არჩევანი თავისუფალია). ხელით განზრახ თამაშის შემთხვევაში, ფეხბურთელის დასჯის წესი არ იცვლება.

ფეხბურთელთა შეცვლის წესი მთლიანად იცვლება, ძირითად შემადგენლობაში მყოფი ფეხბურთელის შეცვლა და მეორედ მოედანზე დაბრუნება ნებადართულია, სათადარიგო ფეხბურთელებს ორჯერ თამაშში დაბრუნების უფლება არ აქვთ, შეცვლას აწარმოებს ასისტენტი მსაჯი, მთავარი მსაჯი შეცვლაში არ მონაწილეობს, ასევე მსაჯის ასისტენტი აბრუნებს თამაშში დროებით დაშავებულ ფეხბურთელს, შეცვლა შეიძლება მოხდეს თამაშის მიმდინარეობის დროსაც, პაუზების გამოყენება შეცვლისათვის აუცილებელი არ არის. გვერდითი მსაჯები მოძრაობენ გვერდითი ხაზის მთელ პერიმეტრზე. მოედნის მთავარი მსაჯის გარდა არსებობს მთავარი ვიდეომსაჯი, რომელიც გუნდებიდან თითო წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილავს და ატარებს ყველა მნიშვნელოვანი მომენტის ექსპერტიზას (ვთქვათ დარღვევით გატანილი გოლი, თუ სხვა შეცდომით დაფიქსირებული სათამაშო სიტუაცია) და ამტკიცებს თუ აუქმებს მოედნის მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებებს. რეფეხბურთში ფრე არ არსებობს, წაგებული გუნდი იღებს 1 ქულას, მოგებული - 3 დამატებითი მონაცემებით და კენჭისყრით გამოვლენილი გამარჯვებული - 2-ს.

დამატებით მონაცემში ითვლება, მეტოქის კარს მოხვედრილი ბურთი რომელიც ისევ მოედანს ან ფეხბურთელს შეეხო და თამაშში დაბუნდა, აღირიცხება ცალკე 0,5 ქულად ( ნახევარგოლი ) ბურთის კარებს მოხვედრის შემთხვევაში მოედნის მსაჯი სპეციალური ჟესტით აფიქსირებს ნახევარგოლს. ეს მონაცემი გამოიყენება მხოლოდ თამაშის ძირითადი თუ დამატებითი დროის ამოწურვის შემდეგ დაფიქსირებული თანაბრობის შემთხვევაში. გოლებისა და ნახევარგოლების თანაბრობის შემთხვევაში ჩატარდება კენჭისყრა, რომელშიც მიიღებს მონაწილეობას თამაშის ბოლოს არსებული შემადგენლობის ყველა 22 ფეხბურთელი.

რეფეხბურთში გატანილი გოლის შემდეგ გადაჭარბებული ზეიმი მიღებული არ არის, გოლის დაფიქსირების შემდეგ გატანილი ბურთის შეხების უფლება არც ერთი გუნდის ფეხბურთელს არ აქვს ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მსაჯს ეძლევა უფლება დასაჯოს დამრღვევი ფეხბურთელი. მსაჯი საშუალო ნაბიჯით მიდის ბურთთან და ათავსებს მას მოედნის ცენტრში, რის შემდეგაც აძლევს ნიშანს თამაშის განახლების (ზეიმის არ დასრულების პრობლემა მსაჯს არ ეხება).

გოლის დაფიქსირების წესი არ იცვლება. კარში დარტყმული გარდაუვალი გოლის ხელით მოგერიების შემთხვევაში, გოლი ითვლება გატანილად და დამრღვევი ფეხბურთელი ისჯება ყვითელი ბარათით (ე.ი. საჯარიმოს რკალიდან ჯარიმით). ფეხბურთელის მიერ სიმულაციით მოპოვებული (თუნდაც გოლი) უქმდება ვიდეომსაჯის მიერ. სიმულანტი ღებულობს ყვითელ ბარათს (ე.ი. საჯარიმოს რკალიდან ჯარიმას). სიმულიაციის დაბრალებისგან მიღებული შედეგიც შესაძლებელია გაუქმდეს ვიდეო მსაჯის მიერ. გამარჯვების აღნიშვნა მხოლოდ წაგებული გუნდის მოედნიდან გაცილების შემდეგ არის მიღებული.

**რეფეხბურთის იდეის ავტორი**
**ერეკლე ფაცაცია.**

*შენიშვნა: რეფეხბურთის კონცეფციაში გამოყენებული ცნებები და ტერმინები არსებითად აღებულია დღეს მოქმედი ფეხბურთის წესებისაგან, (ყველასათვის გასაგებობის გამო). პირველი საჩვენებელი მატჩი რეფეხბურთში თბილისელ „ცოლიანებსა" და „უცოლოებს" შორის უახლოს ხანში იგეგმება, რის შესახებაც დამატებით გეცნობებათ.*

®

ლეგიონის უქმეები



ჩხუბი „ალანიასა“ და მოსკოვის „დინამოს“ მატჩისას. ეპიცენტრში გიორგი ჭანტურია

# ჭანტურიამ რუსეთი გაძევებით დაასრულა

## დვალიშვილი თითქმის ჩემპიონია

**გიორგი ჭანტურია** რუსული პრემიერლიგის გასული ტურის უმთავრესი სკანდალის მოქმედი გმირია. ვლადიკავკაზის "ალანიასა" და მოსკოვის "დინამოს" მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა დინამოელი **ალექსანდრ კოკორინი** ერთ-ერთ ალანიელს ეუხეშა. მას ჭანტურია მიეჭრა და კოკორინისგან ალიყური მიიღო. ქართველმა კოკორინს საპასუხო დარტყმა მიაყენა და შეაფურთხა. კონფლიქტი გუნდურ ჩხუბში გადაიზარდა და არბიტრმა ორი ალანიელი და ორი დინამოელი გააძევა, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, კოკორინი და ჭანტურიაც იყვნენ.

*"არ ვიყავი მართალი, მაგრამ კოკორინი მთელი მატჩის განმავლობაში უხეშობდა და ემოციები ველარ მოვთოკე"*, - უთხრა ნამატჩევს "ალანიას" ქართველმა ფორვარდმა "სპორტ-ექსპრესს". ჭანტურიას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ "ალანია" პრემიერლიგიდან უკვე გავარდა და გიორგი რუსეთის დატოვებას აპირებს, მკაცრი სასჯელი მას არ უნდა შეეხოს.

ჭანტურიამ "ალანიას" სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა. ფლანგიდან იგი სისტემატურად ამწვავებდა თამაშს. "ალანიას" შემადგენლობაში კვლავ არ უთამაშია **მამუკა კობახიძეს**, რომელმაც მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

**აკაკი ხუბუტიას** "მორდოვიამ", რომელმაც "ალანიას" მსგავსად, უკვე დაკარგა პრემიერლიგაში დარჩენის შანსი, გროზნოს "ტერეკს" უმასპინძლა და ფრედ, 1:1 ეთამაშა. ქართველმა მცველმა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა; მოსკოვის "სპარტაკის" ძირითადში ითამაშა **ჯანო ანანიძემ**, რომელიც "კრასნოდართან" სტუმრად 1:0 მოგებულ შეხვედრაში მოედანზე 53-ე წუთამდე იმყოფებოდა; "კრილია სოვეტოვმა" "რუბინი" მიიღო და 3:1 მოუგო. მასპინძელთა რიგებში **ალექსანდრე ამისულაშვილმა** სრულად ითამაშა. "კრილიას" აქვს იმის შანსი, რომ პლეიოფს თავი აარიდოს და პრემიერლიგაში გადათამაშების გარეშე დარჩეს. რუსეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი.

უკრაინის პრემიერლიგაში ქართველები ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ "კრივბასისა" და "კარპატის" მატჩში, რომელიც "კრივბასმა" 3:2 მოიგო. ჩვენს თანამემამულეებს საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ. კრივბასელმა **უჩა ლობჟანიძემ** და კარპატელმა **მურთაზ დაუშვილმა** მოედანზე 90-90 წუთი დაჰყვეს, დაუშვილის თანაგუნდელი **ლევან ყენია** კი მოედანზე 62-ე წუთზე შევიდა.

"ქართული დერბი" შედგა მარიუპოლშიც, სადაც "ილიჩევეცმა" "ზარიას" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. "ილიჩევეცი" რიგებში **დავით თარგამაძემ** და **თორნიკე ოქრიაშვილმა** სრულად ითამაშეს, ზარიელი **ჯაბა ლიპარტია** კი თამაშში მხოლოდ 90-ე წუთზე ჩაერთო.

"დნიპრო" "მეტალისტს" ეწვია და 1:2 დამარცხდა. დნეპროპეტროვსკელთა შემადგენლობაში სრული მატჩი ჩაატარა **ჯაბა კანკავამ**, ხოლო მისი თანაგუნდელი **ალექსანდრე კობახიძე** თადარიგში იყო.

დასრულდა თურქეთის ჩემპიონატი, სადაც **ზურაბ ხიზანიშვილის** "ქაისერისფორმა" ბოლო ტურში შინ "ბეშიქთაშს" 2:0 სძლია და სუპერლიგა მე-5 ადგილზე დაასრულა. ეს შეხვედრა ხიზანიშვილმა სრულად ჩაატარა. **შოთა არველაძის** მიერ გაწვრთნილი "ქაშიმფაშა" მე-6 პოზიციაზე გავიდა. ბოლო ტურში "ქაშიმფაშამ" სტამბოლურ დერბიში სტუმრად "ისთანბულს" 2:1 აჯობა.

**ლადო დვალიშვილს** პოლონეთის ჩემპიონობამდე სულ ცოტაღა აშორებს. მისმა "ლეგიამ" შინ უშუალო კონკურენტ "ლეხს" 1:0 სძლია და ექსტრაკლასას დასრულებამდე სამი ტურით ადრე მას უკვე ხუთი ქულით უსწრებს. აღნიშნული მატჩი ვარშაველთა ქართველმა თავდამსხმელმა შეუცვლელად ჩაატარა.

დასრულდა გერმანიის პირველი და მეორე ბუნდესლიგა. ბერლინის "ჰერტამ", რომელმაც რამდენიმე ტურის წინ დაიბევა ელიტაში დაბრუნება, "კოტბუსს" უმასპინძლა და დაუზავდა – 1:1. **ლევან კობიაშვილმა** დედაქალაქელთა შემადგენლობაში მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

"ბოხუმის" რიგებში ერთბაშად ორ ქართველს დიდი ხანია, ნათამაშები არ ჰქონდა და ეს ბოლო ტურში მოხდა. "ბოხუმმა" ბერლინის "უნიონს" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. **ალექსანდრე იაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო მისი თანაგუნდელი **ნიკოლოზ გელაშვილი** საქმეში მე-60 წუთიდან ჩაერთო. "ბოხუმი" მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნაზ ბეწვზე გადაურჩა – სახიფათო ზონას მხოლოდ ერთი ქულით გაუსწრო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავი ქუდში წინა ტურში დაიგულა.

ლევან ჯანეზაშვილი



ლევან კობიაშვილის „ჰერტას“ მეორე ბუნდესლიგაში გამარჯვების აღსანიშნავად ვერცხლის სინი გადაეცა

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXVI ტური

# სენტ ეტიენი თუ ლიონი, სოშო თუ ტრუა: გასარკვევი მხოლოდ ესაა

**ნანსი–ბასტია 1:2**

გოლები: 0:1 ილანი (48), 1:1 პუიგრენიე (60), 1:2 მოდესტი (72).

**სტ. ეტიენი–მარსელი 2:0**

გოლები: 1:0 პერენი (25), 2:0 ბრანდაო (43).

**ტრუა–ბორდო 1:0**

გოლი: 1:0 კამიუ (56).
გაძევება: ფობერი (65. ბორდო).

**ევიანი–ვალანსიენი 2:0**

გოლები: 1:0 ხელიფა (2), 2:0 ერე (12).

**სოშო–ტულუზი 1:2**

გოლები: 0:1 სილა (12), 0:2 აკპა აკპრო (21), 1:2 სიო (42).
გაძევება: კაპუ (77. ტულუზი).

**მონპელიე–ლილი 0:0**

გაძევება: პედრეტი (90. ლილი).

**პსჟ–ბრესტი 3:1**

გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი (5), 2:0 მატუიდი (31), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (36), 3:1 ბენშოპი (81).

**რეიმსი–ლორიანი 1:0**

გოლი: 1:0 კრიხოვიაკი (33-პენ).

**რენი–აიაჩო 1:1**

გოლები: 0:1 ფ. დიავარა (5), 1:1 ერდინჩი (45).

**ნიცა–ლიონი 1:1**

გოლები: 1:0 ცვიტანიჩი (47-პენ), 1:1 გრენიე (76).
გაძევება: გონალონი (73. ლიონი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 37 | 24 | 8 | 5 | 66-22 | 80 |
| 2. მარსელი | 37 | 21 | 7 | 9 | 42-36 | 70 |
| 3. ლიონი | 37 | 18 | 10 | 9 | 59-38 | 64 |
| 4. სტ. ეტიენი | 37 | 16 | 14 | 7 | 59-31 | 62 |
| 5. ლილი | 37 | 16 | 13 | 8 | 58-39 | 61 |
| 6. ნიცა | 37 | 17 | 10 | 10 | 55-46 | 61 |
| 7. ლორიანი | 37 | 14 | 11 | 12 | 56-55 | 53 |
| 8. მონპელიე | 37 | 15 | 7 | 15 | 54-49 | 52 |
| 9. ბორდო | 37 | 12 | 16 | 9 | 38-33 | 52 |
| 10. ტულუზი | 37 | 12 | 12 | 13 | 47-47 | 48 |
| 11. რენი | 37 | 13 | 7 | 17 | 48-57 | 46 |
| 12. ბასტია | 37 | 13 | 7 | 17 | 50-66 | 46 |
| 13. ვალანსიენი | 37 | 11 | 12 | 14 | 47-52 | 45 |
| 14. რეიმსი | 37 | 10 | 12 | 15 | 33-42 | 42 |
| 15. ევიანი | 37 | 10 | 10 | 17 | 45-51 | 40 |
| 16. აიაჩო | 37 | 9 | 15 | 13 | 39-49 | 40 |
| 17. სოშო | 37 | 10 | 10 | 17 | 41-57 | 40 |
| 18. ტრუა | 37 | 8 | 13 | 16 | 42-59 | 37 |
| 19. ნანსი | 37 | 8 | 11 | 18 | 36-57 | 35 |
| 20. ბრესტი | 37 | 8 | 5 | 24 | 31-60 | 29 |

შენიშვნა: „აიაჩოს“ - 2 ქულა

**ბომბარდირები:** 29 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 19 - ობამეიანი (სენტ ეტიენი); 17 - ცვიტანიჩი (ნიცა); 16 - გომისი (ლიონი); 15 - ალიადიერი (ლორიანი), მოდესტი (ბასტია).

**საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მთავარი შეხვედრა კვირას, ნიცაში გაიმართა, სადაც სტუმრად მესამე ადგილზე მყოფი „ლიონი“ ჩავიდა. იქამდე, შაბათს, „ლიონის“ და „ნიცას“ კონკურენტებმა ითამაშეს და ერთ-ერთმა მათგანმა უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა...**

## ლილის დაკარგული შანსი

მოგების შემთხვევაში, „ლილი“ დროებით მესამე ადგილზე გადავიდოდა და თუ „ნიცა“ „ლიონს“ მოუგებდა, ბოლო ტურის წინ მესამეზე იქნებოდა, რაც მათ უდიდეს უპირატესობას მისცემდა. „ძაღლები“ ამ ტურში ექსჩემპიონ „მონპელიეს“ ესტუმრნენ, რომელიც **რენე ჟირარს** ემშვიდობება - ადამიანი, რომელმაც სტუდენტური ქალაქის გუნდი გააჩემპიონა, ბოლო საშინაო შეხვედრას მართავდა.

გამარჯვება სტუმრებს უფრო სჭირდებოდათ, მაგრამ უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში „მონპელიე“ ფლობდა. **იუნეს ბელჰანდამ** ორჯერ ბურთი ძელს გაარტყა, **რემი კაბელიას** დარტყმული კი „ლილის“ მეკარე **ბარემ მუკომ** მოიგერია. სტუმრები მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთებზე გააქტიურდნენ და რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიც შექმნეს. გოლის გატანა **დიმიტრი პაიეს** და **ლუკას დინიეს** შეეძლოთ, თუმცა მათი მცდელობები უშედეგო იყო. ბოლო წამებზე წითელი ბარათი მიიღო **ბენუა პედრეტიმ** და **რუდი გარსიას** გუნდმა მატჩი კაცნაკლულებმა ჩაამთავრეს.

საბოლოოდ, 0:0 და ამ ფრის გამო, „ლილმა“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი მკვეთრად შეიმცირა.

## სენტ ეტიენის იოლი გამარჯვება

„ლილი“ ბოლო ტურში „სენტ ეტიენს“ ხვდება, რომელმაც „ძაღლებს“ სატურნირო ცხრილში გადაასწრო. „მწვანეებმა“ „მარსელს“ უმასპინძლეს და იოლი გამარჯვება მოიპოვეს. სტუმრებს მეორე ადგილი განაღდებული ჰქონდათ და ამ შეხვედრის წინ განსაკუთრებული მოტივაცია არ გააჩნდათ, რაც მათ ასპარეზობაზეც აისახა. **კრისტოფ გალტიეს** გუნდის მხრიდან გოლები **ლოიკ პერენმა** (**ბრანდაოს** პასით) და ბრანდაომ გაიტანეს.

„სენტ ეტიენმა“ 3-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და „ლილს“ გადაასწრო. „მწვანეებს“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი აქვთ, ოღონდ ყველაფერი მათზე დამოკიდებული არ არის.

## ნანსი გავარდა, ტრუა იბრძვის

მოულოდნელი მარცხი განიცადა „ნანსიმ“ და ლიგა 2-ში დაქვეითდა. მასპინძლებმა უმოტივაციო კორსიკელებთან 1:2 წააგეს და ქვედა დივიზიონის საგზური გაიფორმეს. ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „ტრუამ“, ვინც შინ „ბორდოს“ სძლია. ეს გუნდები ერთმანეთს რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის თასის 1/2-ფინალში შეხვდნენ. იმ მატჩში, „ტრუამ“ რამდენიმე ლიდერი დაასვენა და 1:2 წააგო. ამჯერად, ძირითადი შემადგენლობით მოთამაშე მასპინძლებმა 1:0 მოიგეს და 37 ქულა დააგროვეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი **ფაბიენ კამიუმ** გაიტანა. 28 წლის ტუნისელი ფეხბურთელი იმდენად კარგად თამაშობს, რომ თუ „ტრუა“ გავარდა, ის გუნდში ნამდვილად არ უნდა დარჩეს.

მოიგეს „რეიმსმა“ („ლორიანთან“) და „ევიანმა“ („ვალანსიენთან“) და ორივე გუნდმა ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. მართალია, „ტრუას“ „ევიანის“ დაწევის შანსი აქვს, მაგრამ ბურთების სხვაობა „ევიანს“ გაცილებით უკეთესი აქვს და საოცრება უნდა მოხდეს, ეს გუნდი რომ გავარდეს. სტუმრად, „რენთან“ ქულა აიღო „აიაჩომ“, რომელიც ასევე არ გავარდება და მიზეზი აქაც იგივეა - კორსიკელებს ბურთების სხვაობა -10 აქვთ, „ტრუას“ კი -16.

ერთადერთი გუნდი, რომელსაც „ტრუამ“ შესაძლოა გადაასწროს, არის „სოშო“, ვინც ამ ტურში უმოტივაციო და 10-კაციან „ტულუზთან“ 1:2 წააგო. ლიგა 1-ში ყველაზე მეტი წლის გამტარებელმა „სოშომ“, 4-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა და მდგომარეობა გაირთულა. უკანასკნელ ტურში „სოშო“ სტუმრად „ბასტიას“ ხვდება და უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად მინიმუმ ქულის აღება სჭირდება.

## ბექჰემი გააცილეს

ფეხბურთიდან გააცილეს **დევიდ ბექჰემი**, რომლის პსჟ-მაც ბოლო საშინაო მატჩი გამართა და „ბრესტს“ 3:1 მოუგო. დუბლი შეასრულა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**, ერთი ბურთი კი **ბლეზ მატუიდიმ** გაიტანა. „ბრესტმა“ ზედიზედ მე-10 თამაში წააგო და ბოლო ადგილი გაინაღდა.

## ნიცა-ლიონი

ტურის მთავარი მატჩი კი კვირას გაიმართა და ის ფრედ დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ **დარიო ცვიტანიჩისი** გოლის წყალობით იგებდა, ხოლო მეტოქე **მაქსიმ გონალონის** გაძევების შემდეგ 10 კაცით იყო, „ნიცამ“ ერთბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა. **კლოდ პუელის** გუნდი მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების ყველანაირი შანსი დაკარგა.

„ლიონს“, მას შემდეგ, რაც „ლილმა“ ვერ მოიგო, ამ შეხვედრის წაგებაც შეეძლო, რადგან სიტუაცია მაინც ანალოგიური იქნებოდა. ფრეს და წაგებას **რემი გარდის** გუნდისთვის ერთი ფასი ჰქონდა. ახლა, „ლიონი“ ბოლო ტურში „რენს“ მასპინძლობს და თუ მოიგებს, ერთწლიანი პაუზის შემდეგ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირს დაუბრუნდება.

ტატო ბაციკაძე

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVI ტური



მადრიდში მატჩს „ვალენსიას" ქომაგები მრავლად დაესწრნენ

# ვალენსია თუ სოსიედადი?

## დეპორტივოს გადამწყვეტი გაბრძოლება?

**ესპანეთის თასის ფინალის გამო, რომელიც პარასკევს მადრიდის „ატლეტიკოს" გამარჯვებით დასრულდა, 36-ე ტურის ორი მატჩი ადრე გაიმართა: „რეალმა" და „ატლეტიკომ" ადრევე ითამაშეს და 3-3 ქულა იოლად მოიპოვეს. ამიტომაც მივიღეთ ნაკლული ტური. ყველაზე საინტერესო ჩემპიონთა ლიგის დარჩენილი საგზურისთვის და მზის ქვეშ ადგილის დაბევებისთვის ბრძოლაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში სტატუს-კვო შენარჩუნდა.**

### ფრანგის გოლით

„ვალენსია" მადრიდის გარეუბანში „ხეტაფეს" ესტუმრა. მიუხედავად იმისა, რომ მადრიდული კლუბი ევროპალიგის საგზურისთვის იბრძვის, მატჩს დიდი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, „ვალენსიას" ფანები სტადიონზე არანაკლებნი ისხდნენ. მატჩის ერთადერთი გოლი საჯარიმოს მისადგომიდან ფრანგმა მცველმა **ჟერემი მატიომ** გაიტანა ტაიმის მიწურულს. „ვალენსია" აგრძელებს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას და ელის „რეალ სოსიედადის" ფეხის დაცდენას.

**ერნესტო ვალვერდე** (ვალენსია): *„ახლა ჩემი კონტრაქტის გაგრძელება-არ გაგრძელება მეორეხარისხოვანი მგონია. მთავარია, მოვუგოთ „გრანადას".*

**ლუის გარსია** (ხეტაფე): *„ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს 0:1 კი არა, 0:3 წავაგეთ".*

### ოცნებასთან ახლოს

„ვალენსია" ამაოდ ელოდა, რომ **ფილიპ მონტანიეს** გუნდს „სანჩეს პისხუანზე" ფეხი დაუცდებოდა - „რეალ სოსიედადმა" „სევილიასთან" დაპირისპირებაში უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა და ახლა 6 ქულაღა აშორებს სანუკვარ ჩემპიონთა ლიგას. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა, პირველი ორი კი ხორვატ პლეიმეიქერ **ივან რაკიტიჩს** ეკუთვნის. მან ჯერ კუთხურის გათამაშების შემდეგ მეტოქის კარი აიღო, შემდეგ კი უნებლიედ თავით საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. გამარჯვების გოლი **იმანოლ აგირეჩემ** გაიტანა, მან **კარლოს მარტინესის** ბრწყინვალე პასი მიიღო და დაუმუშავებლად გაიტანა **ბეტოს** კარში. ეს აგირეჩეს მე-13 გოლია ლა ლიგაში. მეორე ტაიმში „სევილიამ" გაათანაბრა, მაგრამ მსაჯმა **გარი მედელზე** შეცდომით დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა.

**უნაი ემერი** (სევილია): *„სხვას არაფერს დავაბრალებ. სჯობს, ვიყოთ თვითკრიტიკულები და ასე უფრო გავიზრდებით, როგორც გუნდი. როგორც კი ხელს ვინმესკენ გავიშვერთ, იქ დასრულდება პროგრესი".*

**ფილიპ მონტანიე** (რეალ სოსიედადი): *„ძალიან, ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დარჩენილი ორი მატჩის მოგებაც".*

### 6-ქულიანი გრანადამ მოიგო

„გრანადა" და „ოსასუნა" ლა ლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან, მაგრამ ასეთი თამაშით ნავარელებს ძალიან გაუჭირდებათ. ჩვენ ვიხილეთ ნამდვილი ცალკარა: **იასინ ბრაიმის** და **ნოლიტოს** წყალობით, „გრანადა" ერთი თავით სჯობდა მეტოქეს. ანგარიში **იუსეფ ელ-არაბიმ** გახსნა ახლო მანძილიდან დარტყმით. შემდეგ ბრაიმის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ბრაზილიელმა **სიკეირამ პანენკას** სტილში შეასრულა, ბოლოს **დიეგო ბუონანოტემ** შორი მანძილიდან ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა - 3:0. ამ მოგებით „გრანადა" თითქმის სამშვიდობოსაა.

**ლუკას ალკარასი** (გრანადა): *„ნუ ჩავთვლით, რომ ყველაფერი მორჩა. წინ ორი ტურია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ყურადღებით უნდა ვიყოთ".*

**ხოსე ლუის მენდილიბარი** (ოსასუნა): *„ნაგებაზე მეტად მაფიქრებს ბიჭების განწყობა. მომავალი ვარჯიშიდან დავიწყებთ ამის გამოსწორებას".*

### დეპორი იბრძვის

„რაიო ვალეკანომ" ხუთგოლიანი თრილერი მოუგო სტუმრად „ლევანტეს", თუმცა ევროსაგზურს ალბათ მაინც ვერ შეწვდება, რადგან ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამ კლუბს ევროლიცენზია ჩამოართვა. „ელვები" ამას გაასაჩივრებენ, თუმცა... გამარჯვებულთაგან ორი გოლი **პიტის** ანგარიშზეა, შემტევ ნახევარმცველს უკვე 17 გოლი დაუგროვდა სეზონში!

„დეპორტივომ" ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, გოლები „ესპანიოლის" კარში პორტუგალიელებმა გაიტანეს, **ბრუნო გამამ** და **ნელსონ ოლივეირამ**. „სარაგოსა" შინ „ბილბაოსთან" დამარცხდა და თავი განსაცდელში ჩაიგდო.

### მეოთხედი საუკუნის შემდეგ

„ელჩემ" ნაადრევად მოიპოვა პრიმერადივიზიონის საგზური. ვალენსიის მხარის ქალაქის გუნდი ელიტას 24-წლიანი განშორების შემდეგ უბრუნდება. „ელჩეს" ყველაზე დიდი მიღწევა 1969 წლის ესპანეთის თასის ფინალში გასვლაა. სხვათა შორის, ვალენსიურმა კლუბმა პრიმერაში გადასვლა თამაშამდე გაინაღდა, თამაშით კი „ალმერიასთან" 1:2 წააგო.


ელჩე ზეიმობს

## პორტუგალია

### ლიგა საგრეში. ბოლო ტური

| | |
|---|---|
| ბეირა მარი-სპორტინგი | 1:4 |
| ბენფიკა-მორეირენსე | 3:1 |
| ფერეირა-პორტუ | 0:2 |
| ჟილ ვისენტე-ეშტორილი | 1:3 |
| გიმარაეში-რიუ ავე | 0:1 |
| ნასიონალი-აკადემიკა | 2:1 |
| ოლანენსე-მარიტიმუ | 0:0 |
| სეტუბალი-ბრაგა | 0:1 |

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 30 | 24 | 6 | 0 | 70-14 | 78 |
| 2. ბენფიკა | 30 | 24 | 5 | 1 | 77-20 | 77 |
| 3. ფერეირა | 30 | 14 | 12 | 4 | 42-29 | 54 |
| 4. ბრაგა | 30 | 16 | 4 | 10 | 60-44 | 52 |
| 5. ეშტორილი | 30 | 13 | 6 | 11 | 47-37 | 45 |
| 6. სპორტინგი | 30 | 11 | 9 | 10 | 36-36 | 42 |
| 7. რიუ ავე | 30 | 12 | 6 | 12 | 35-42 | 42 |
| 8. ნასიონალი | 30 | 11 | 7 | 12 | 45-51 | 40 |
| 9. გიმარაეში | 30 | 11 | 7 | 12 | 36-47 | 40 |
| 10. მარიტიმუ | 30 | 9 | 11 | 10 | 34-45 | 38 |
| 11. აკადემიკა | 30 | 6 | 10 | 14 | 33-45 | 28 |
| 12. სეტუბალი | 30 | 7 | 5 | 18 | 30-55 | 26 |
| 13. ოლანენსე | 30 | 5 | 10 | 15 | 26-42 | 25 |
| 14. ჟილ ვისენტე | 30 | 6 | 7 | 17 | 31-54 | 25 |
| 15. მორეირენსე | 30 | 5 | 9 | 16 | 30-51 | 24 |
| 16. ბეირა მარი | 30 | 5 | 8 | 17 | 35-55 | 23 |

ბომბარდირები: 26 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 20 - ლიმა (ბენფიკა); 17 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა).

### ხეტაფე-ვალენსია 0:1

**გოლი:** 0:1 მატიო (44)

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, ფ. ფერნანდესი, რაფა, ესკუდერო - ლასენი (68. გავილანი), ხ. ტორესი - პედრო ლეონი, ბარადა (65. სარაბია), დ. კასტრო - კოლუნგა (19. ლაფიტა).

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ჟ. პერეირა, რ. კოშტა, მატიო, სისოკო - ალბელდა (85. რუისი), პარეხო - ჟონასი (69. ფეგული), ბანეგა (89. ვიერა), გუარდადო - სოლდადო.

**გაფრთხილება:** ვალერა, ლაფიტა - კოშტა

**კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 4-16 (1-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 9 000

### გრანადა-ოსასუნა 3:0

**გოლები:** 1:0 ელ-არაბი (23), 2:0 სიკეირა (80-პენ), 3:0 ბუონანოტე (93)

**გრანადა (4-4-2):** რობერტო - ნიომი, დიახატე, მაინსი, სიკეირა - ბრაიმი (83. ორტისი), რესიო, მ. რიკო, ნოლიტო - ელ-არაბი (73. ბუონანოტე), არანდა (62. იგჰალო).

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, რუბენი, არიბასი, დამია (69. ნანო) - ოიერი, ფ. სილვა - არმენტეროსი, ნინო (81. ლო), დე ლას კუევასი - კიკე სოლა (87. ხ. ლორენტე).

**გაფრთხილება:** არანდა, რესიო, ბუონანოტე - ოიერი, ბერტრანი

**გაძევება:** ნანო (79)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 11-16 (4-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 25 000

### სევილია-სოსიედადი 1:2

**გოლები:** 1:0 რაკიტიჩი (10), 1:1 რაკიტიჩი (16. ს.კ.), 1:2 აგირეჩე (24)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტო - კოკე (65. სისინიო), კალა, ფ. ნავარო, მორენო - მედელი (88. სტევანოვიჩი), კონდობია - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი, პეროტი (65. ბ. დიავარა) - ნეგრედო.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, კადამურო, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ბერგარა, ილარამენდი (87. ხავი როსი) - ველა (79. ესტრადა), ჩაბი პრიეტო, გრიზმანი (87. გ. კასტრო) - აგირეჩე.

**გაფრთხილება:** კონდობია, ნავარო, დიავარა - ველა, აგირეჩე, კადამურო

**გაძევება:** რეიესი (სევილია) სათადარიგოთა სკამიდან

**კუთხური:** 12-6; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 20-13 (4-6); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 17 000

### ლევანტე-ვალეკანო 2:3

**გოლები:** 0:1 პიტი (20), 1:1 აკვაფრესკა (52), 1:2 ფ. ვასკესი (56), 1:3 პიტი (72), 2:3 იბორა (86)

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - ლელი (73. როდასი), ვინტრა, დ. ნავარო, კარაბელასი - სიმაო, იბორა - რიოსი, მიჩელი (60. ვალდო), ელ-ზარი (46. რუბენ გარსია) - აკვაფრესკა.

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - არბილია, გალვესი, ფიგერასი, ნაჩო - ფუეგო (82. ამატი), ადრიანი (67. ტრაშორასი) - პერეა (56. ხოსე კარლოსი), ფ. ვასკესი, პიტი - ა. დომინგესი.

**გაფრთხილება:** ლელი - ადრიანი, გალვესი, ფუეგო, რუბენი, დომინგესი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 24-13; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 12-18 (4-7); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 11 500

### დეპორტივო-ესპანიოლი 2:0

**გოლები:** 1:0 გამა (50), 2:0 ოლივეირა (91)

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, აიტამი, ზე კაშტრო, სილვიო - აგილარი (64. ბერგანტინიოსი), ხ. დომინგესი - გამა, ვალერონი (75. კაკა), პიცი - რიკი (79. ოლივეირა).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კ. ალვარესი - ხ. ლოპესი, კოლოტო, რ. როდრიგესი, ვ. ალვარესი - ბაენა (71. სიმაო), ტეხერა (58. კ. გომესი) - სტუანი, ვერდუ (84. პეტროვი), ვაკასო - ს. გარსია.

**გაფრთხილება:** პაბლო, აგილარი, ვალერონი - ტეხერა, ბაენა, ალვარესი, ლოპესი, კოლოტო

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 11-25; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 17-7 (5-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 31 000

### სარაგოსა-ბილბაო 1:2

**გოლები:** 1:0 პოშტიგა (14), 1:1 ფ. ლორენტე (80), 1:2 ი. გომესი (92)

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ხ. ფერნანდესი, სეპუნარუ, ალვარო, აბრაამი - აპონიო, პინტერი - ვ. როდრიგესი (76. ბიენვენუ), როდრი (57. როჩინა), მონტანიესი (67. მოვილია) - პოშტიგა.

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - რამალიო (72. ჩ. კასტილიო), გურპეგი, სან ხოსე, აურტენეჩე (46. ი. გომესი) - იტურასპე, ანდერი - სუსაეტა, დე მარკოსი, მუნიაინი - ადურისი (46. ფ. ლორენტე).

**გაფრთხილება:** სეპუნარუ, ალვარო, პინტერი, აპონიო, ბიენვენუ - დე მარკოსი, ლორენტე

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 21-14; **თამაშგარე:** 0-8; **კარში დარტყმა:** 14-10 (3-4); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 27 000

### ბარსელონა-ვალიადოლიდი 2:1

**გოლები:** 1:0 პედრო (21), 2:0 ვალიენტე (42 ს.კ.), 2:1 ვ. პერესი (89-პენ)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - მონტოია, პიკე, მასკერანო, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი (63. ტ. ალკანტარა), ინიესტა (75. ჯონ. დოს სანტოსი) - პედრო, ფაბრეგასი (82. ტელიო), ვილია.

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაიმე - ბალენსიაგა, რუედა, ვალიენტე, პენია - რუბიო (84. სასტრე), ვ. პერესი - ლარსონი, ოსკარი (67. ბუენო), ომარი - გერა (76. მანუჩო).

**კუთხური:** 14-2; **ჯარიმა:** 3-6; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 16-5 (4-2); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 78 000

### 20 მაისი

| | |
|---|---|
| მალიორკა-ბეტისი | ?:? |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 36 | 30 | 4 | 2 | 109-39 | 94 |
| 2. რეალი | 36 | 25 | 6 | 5 | 96-37 | 81 |
| 3. ატლეტიკო | 36 | 22 | 6 | 8 | 62-30 | 72 |
| 4. სოსიედადი | 36 | 17 | 11 | 8 | 66-46 | 62 |
| 5. ვალენსია | 36 | 18 | 8 | 10 | 63-50 | 62 |
| 6. მალაგა | 36 | 15 | 9 | 12 | 49-45 | 54 |
| 7. ბეტისი | 35 | 15 | 7 | 13 | 52-54 | 52 |
| 8. ვალეკანო | 36 | 15 | 4 | 17 | 46-63 | 49 |
| 9. სევილია | 36 | 13 | 8 | 15 | 53-49 | 47 |
| 10. ხეტაფე | 36 | 13 | 8 | 15 | 42-53 | 47 |
| 11. ესპანიოლი | 36 | 11 | 11 | 14 | 43-49 | 44 |
| 12. ბილბაო | 36 | 12 | 8 | 16 | 42-62 | 44 |
| 13. ვალიადოლიდი | 36 | 11 | 10 | 15 | 47-52 | 43 |
| 14. ლევანტე | 36 | 11 | 9 | 16 | 38-56 | 42 |
| 15. გრანადა | 36 | 10 | 9 | 17 | 35-53 | 39 |
| 16. ოსასუნა | 36 | 9 | 9 | 18 | 29-45 | 36 |
| 17. დეპორტივო | 36 | 8 | 11 | 17 | 46-66 | 35 |
| 18. სარაგოსა | 36 | 9 | 7 | 20 | 36-55 | 34 |
| 19. სელტა | 36 | 8 | 7 | 21 | 34-52 | 31 |
| 20. მალიორკა | 35 | 7 | 8 | 20 | 38-70 | 29 |

ბომბარდირები: 46 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 34 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 21 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 20 - ალვარო ნეგრედო (სევილია).

### მომდევნო ტური

26 მაისი: ბილბაო-ლევანტე, ატლეტიკო-მალიორკა, ბეტისი-სარაგოსა, ესპანიოლი-ბარსელონა, ხეტაფე-რაიო ვალეკანო, მალაგა-დეპორტივო, ოსასუნა-სევილია, რეალ სოსიედადი-რეალი, ვალენსია-გრანადა, ვალიადოლიდი-სელტა.

### სეგუნდა დივიზიონი.

### XXXIX ტური

**ხერესი-სპორტინგი 0:2**

გოლები: 0:1 კასკერო (31), 0:2 კასკერო (74)

**ლას პალმასი-უელვა 0:0**

**რეალი II-ლუგო 3:1**

გოლები: 1:0 ბ. გარსია (25), 2:0 მორატა (38), 2:1 ი. პერესი (41), 3:1 მორატა (87)

**ბარსელონა II-ალკორკონი 1:1**

გოლები: 1:0 ს. გომესი (33), 1:1 ლაგუარდია (90)

**ვილიარეალი-ჟირონა 4:1**

გოლები: 1:0 უჩე (3), 1:1 მორალი (50), 2:1 პერბე (71), 3:1 პერბე (78), 4:1 უჩე (90)

**პონფერადინა-ნუმანსია 1:1**

გოლები: 0:1 ბედოია (54), 1:1 ფონსეკა (57)

**კორდობა-უესკა 2:2**

გოლები: 1:0 ჩისკო (44), 1:1 ტარიქი (54), 2:1 ჩისკო (65), 2:2 ნოვო (89)

**ალმერია-ელჩე 2:1**

გოლები: 1:0 კ. ფერნანდესი (9), 1:1 კორომინასი (32), 2:1 ფ. სორიანო (40)

**ერკულესი-მირანდესი 1:0**

გოლი: 1:0 პორტილიო (90)

**საბადელი-რასინგი 0:2**

გოლები: 0:1 სამპერიო (45), 0:2 კრესპი (53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 39 | 22 | 11 | 6 | 50-25 | 77 |
| 2. ვილიარეალი | 39 | 18 | 14 | 7 | 61-36 | 68 |
| 3. ალმერია | 39 | 20 | 8 | 11 | 67-48 | 68 |
| 4. ჟირონა | 39 | 20 | 7 | 12 | 71-53 | 67 |
| 5. ალკორკონი | 39 | 20 | 6 | 13 | 53-48 | 66 |
| 6. ლას პალმასი | 39 | 17 | 12 | 10 | 60-52 | 63 |
| 7. პონფერადინა | 39 | 18 | 7 | 14 | 51-46 | 61 |
| 8. ბარსელონა II | 39 | 15 | 12 | 12 | 75-65 | 57 |
| 9. სპორტინგი | 39 | 15 | 10 | 14 | 58-49 | 55 |
| 10. რეალი II | 39 | 16 | 6 | 17 | 74-60 | 54 |
| 11. კორდობა | 39 | 15 | 9 | 15 | 53-50 | 54 |
| 12. საბადელი | 39 | 14 | 9 | 16 | 54-63 | 51 |
| 13. ერკულესი | 39 | 13 | 11 | 15 | 41-45 | 50 |
| 14. უელვა | 39 | 14 | 7 | 18 | 44-56 | 49 |
| 15. ნუმანსია | 39 | 11 | 16 | 12 | 48-51 | 49 |
| 16. ლუგო | 39 | 13 | 10 | 16 | 41-52 | 49 |
| 17. გვადალახარა | 38 | 11 | 13 | 14 | 42-48 | 46 |
| 18. მირანდესი | 39 | 10 | 13 | 16 | 30-49 | 43 |
| 19. მურსია | 38 | 10 | 11 | 17 | 39-51 | 41 |
| 20. რასინგი | 39 | 11 | 8 | 20 | 33-49 | 41 |
| 21. უესკა | 39 | 9 | 11 | 19 | 41-56 | 38 |
| 22. ხერესი | 39 | 6 | 9 | 24 | 33-67 | 27 |

ბომბარდირები: 23 - შარლესი (ალმერია); 21 - ხესე როდრიგესი (რეალი II); 18 - ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II), ფონსეკა (პონფერადინა), ორიოლ რიერა (ალკორკონი).

● კოპა დელ რეი

# რონალდო 4 მატჩით?



ესპანეთის თასის ფინალში **კრიშტიანო რონალდოს** საქმეს სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს. თუ რონალდოს ქმედებაში აგრესიას დაინახავენ, მაშინ ფეხბურთელს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის. ეს იპიზოდი 21 მაისს უნდა განიხილონ.

შეგახსენებთ, რომ რონალდოზე ატლეტიკოელი **გაბი** დაჯარიმდა, ხოლო პორტუგალიელმა მას სახეში ფეხი უთავაზა. დისკვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში, რონალდოს ჩემპიონატის მატჩების გამოტოვება მოუწევს.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● გერმანია. ბუნდესლიგა. ბოლო ტური

# დრამატული ბოლო ტური

## შალკე ლიგაზე, ფორტუნა გავარდა...

**ბუნდესლიგის ბოლო ტური დრამატული და საინტერესო გამოვიდა. ჩემპიონთა ლიგის საგზური, მოლოდინისამებრ, „შალკეს“ დარჩა, ევროპალიგაში „ფრაიბურგი“ და „აინტრახტი“ ითამაშებენ, გადარჩენისთვის ბრძოლაში კი დიდი ამბები დატრიალდა.**

### შალკე მეოთხეზე, შტრაიხს გული ცუდს უგრძნობს

მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური, როგორც მოსალოდნელი იყო, „შალკეს“ დარჩა. ფრაიბურგელებმა გელზენკირხენელებთან კარგად იბრძოლეს, მაგრამ დამარცხდნენ და ევროპალიგის საგზურს დასჯერდნენ. მწვრთნელ **იენს კელერთან** და ტალანტ **იულიან დრაქსლერთან** კონტრაქტების გაგრძელების შემდეგ, „შალკესთვის“ მეოთხე ადგილის დაკავება არასტაბილური სეზონის იდეალური გვირგვინია.

არადა, თავიდან „ფრაიბურგი“ „შალკეს“ სჯობდა. **კრისტიან შტრაიხის** გუნდი აგრესიულად უტევდა, კელერის ბიჭები კი ზედმეტად პასიურობდნენ. თუმცა, „შალკემ“ პირველივე საგოლე მომენტი გამოიყენა და წინ გავიდა: მე-20 წუთზე ანგარიში სწორედ დრაქსლერმა გახსნა - **ბაუმანის** კარი მან 17 მეტრიდან დალაშქრა. ამის შემდეგ შტრაიხმა და მისმა შეგირდება ყველაფერი გააკეთეს თამაშის შესატრიალებლად და 54-ე წუთზე **ჯონათან შმიდმა** ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ ზუსტად ოთხ წუთში შალკე ისევ წინ გავიდა და თანაც როგორ - **იულიან შუსტერის** ავტოგოლით, რომელსაც ბურთი თანაგუნდელმა **იმანუელ ჰიონმა** მოარტყა. ამის შემდეგ გელზენკირხენელებმა ბრაისგაუელებს აღარაფერი გააბედვინეს და თამაში მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

საფინალო სასტვენის შემდეგ შალკელები ემოციურად ზეიმობდნენ, „ფრაიბურგის“ თავკაცმა კი ძალიან საინტერესო, პესიმისტური განცხადება გააკეთა: *„მომდევნო სეზონში შეიძლება სულაც მეორე ბუნდესლიგაში გავვარდეთ, რადგან მთელი გუნდი იცვლება. წინა ხაზის ყველა ფეხბურთელი მიდის, ახლები ჯერ მოსაძებნია, შემდეგ კი გუნდში ინტეგრირება დასჭირდებათ. მოკლედ, „ფრაიბურგს“ ზაფხულის მერე ძალიან რთული სეზონი ელის.“*

არადა, „ფრაი“ ევროპალიგაში ითამაშებს და აქვე ვთქვათ, რომ „ფრაისთან“ ერთად, ამ მეორეხარისხოვანი ევროტურნირის საგზურები ფრანკფურტის „აინტრახტმა“ (მე-6 ადგილი ბუნდესლიგაში) და „შტუტგარტმა“ (გერმანიის თასის ფინალისტი ჩემპიონ ბაიერნთან ერთად) გაინაღდეს.

### დიუსელდორფი შოკშია, აუგსბურგი გადარჩა, ჰოფენჰაიმი რელეგაციაზე

თუკი ზემოთ მშვიდობა იყო, გასავარდნ ზონაში დიდი ამბები დატრიალდა და ამოტრიალდა. „ფიურტთან“ ერთად მეორე ბუნდესლიგაში პირდაპირ დაქვეითებას პირველ რიგში „ჰოფენჰაიმისგან“ ველოდით, მაგრამ „სოფლელებმა“ დორტმუნდში მოგება (2:1, თანაც, თამაშის შეტრიალებით) მოახერხეს და მე-16 სარელეგაციო ადგილზე აღმოჩნდნენ, „აუგსბურგმა“ „ფიურტთან“ იოლი გამარჯვება მოიპოვა და გადარჩა, მეორე ბუნდესლიგისკენ კი გეზი ბევრისთვის მოულოდნელად „ფორტუნამ“ აიღო! დიუსელდორფელები ჰანოვერში 0:3 დამარცხდნენ და ერთწლიანი ელიტელობის შემდეგ პირველ ბუნდესლიგას ისევ დაემშვიდობნენ.

*„იმდენი თამაში წავაგეთ, რომ თავის მართლების უფლება არ გვაქვს. საშინელ ხასიათზე ვარ, ყველანი დაცარიელებულები ვართ. ახლა უკვე ვიცი, ვისაც ვუქომაგებ ჩემპიონთა ლიგის ფინალში...“* - ეს „ფორტუნას“ კაპიტან **იენს ლანგენეკეს** სიტყვებია, რომელიც ლიგის ფინალში აუცილებლად „ბაიერნს“ უქომაგებს, რადგან „დორტმუნდზე“ ახლა მთელი დიუსელდორფი ნაწყენია იმის გამო, რომ „ჰოფენჰაიმს“ სამი ქულა აჩუქა.

ტურის წინ დიუსელდორფელები არ ნერვიულობდნენ, რადგან უმოტივაციო „ჰანოვერთან“ ფრეც ჰყოფნიდათ მინიმუმ იმისათვის, რომ სარელეგაციო მე-16 ადგილი დაეკავევებინათ. შესაბამისად დიდი იყო იმედგაცრუება - მატჩის შემდეგ „ფორტუნას“ ფანებმა ჰანოვერის ქუჩებში არეულობა მოაწყვეს და პოლიციასთან რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ. ოფიციალური ინფორმაციით, ათი პოლიციელი დაშავდა და აქედან ორი იმდენად მძიმედ, რომ პოლიციაში მუშაობას ველარ გააგრძელებენ. სამართალდამცავებმა 19 დიუსელდორფელი ფანი დააკავეს.

ქაოტური იყო უშუალოდ საფინალო სასტვენის შემდგომი წუთებიც: „ფორტუნას“ ფეხბურთელები და 6 200 ფანი „დორტმუნდისა“ და „ჰოფენჰაიმის“ მატჩის დამთავრებას ელოდებოდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ „ბორუსია“ „ჰოფეს“ ანგარიშს გაუთანაბრებდა. აღსანიშნავია, რომ „დორტმუნდმა“ მართლაც შეძლო გათანაბრება, რამაც დიუსელდორფელთა სიხარული გამოიწვია, მაგრამ გოლი არ ჩათვალეს, „ჰოფენჰაიმმა“ მოიგო, „ფორტუნა“ კი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა.

არავინ იცის, დატოვებენ თუ არა პოსტზე დიუსელდორფელთა თავკაც **ნორბერტ მაიერს**. თავად 54 წლის სპეციალისტი ამბობს, მუშაობის გაგრძელება მინდაო, მაგრამ დიდი შანსია, რომ „ფორტუნას“ ხელმძღვანელებს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეთ. მოკლედ, დიუსელდორფული კლუბი გავარდა და აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რაოდენ უსამართოდ მოიპოვა „ფორტუნამ“ შარშან ამ დროს პირველი ბუნდესლიგის საგზური - გეხსომებათ ბერლინის „ჰერტასთან“ სარელეგაციო დუელები და სკანდალური საპასუხო მატჩი, რომელსაც „ჰერტას“ დაქვეითება და **ლევან კობიაშვილის** უსამართლო ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მოჰყვა. თანაც, სწორედ დიუსელდორფში მომხდარი სკანდალის გამო ვერ შეძლო კობიმ ბუნდესლიგის რეკორდის დამყარება, თუმცა ლევანს ამის შანსი ჯერ კიდევ აქვს - „ჰერტა“ ხომ ელიტაში ბრუნდება. სარელეგაციო დუელები კი ამჯერად „ჰოფენჰაიმს“ მოუწევს - „სოფლელებს“ ორრაუნდიანი დუელი მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსან „კაიზერსლაუტერნთან“ მოუწევთ.

### ზარბაზანი კისლინგს დარჩა

ბუნდესლიგა 2012/2013 წლების სეზონის საუკეთესო ბომბარდირი „ლევერკუზენის“ ფორვარდი **შტეფან კისლინგი** გახდა და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „კიკერის ზარბაზანი“ „ჰამბურგთან“ მატჩში 90-ე წუთზე გატანილი ბურთით გაინაღდა. ეს კისლინგის 25-ე გოლი გახლდათ და შტეფანმა „დორტმუნდის“ გოლეადორ **რობერტ ლევანდოვსკის** (24) ერთი ბურთით გაასწრო. ამრიგად, „ლევერკუზენის“ ფეხბურთელმა საუკეთესო ბომბარდირის წოდება 1997/98 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოიპოვა - მაშინ ეს **ულფ კირსტენმა** მოახერხა 22 გოლით.

*„ძალიან ამაყი ვარ! ეს წოდება მარტო მე კი არა, მთელ გუნდს ეკუთვნის!“* - განაცხადა მატჩის შემდეგ კისლინგმა, რომელიც გერმანიის ნაკრებში კვლავ არაა გამოძახებული.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ლევერკუზენის“ გარემარბმა **ანდრე შიურლემ** თამაშის შემდეგ ოფიციალურად აღიარა, დიდი შანსია, რომ ეს ჩემთვის „ლევერკუზენის“ ფორმით უკანასკნელი მატჩი იყოსო.

### ცრემლიანი ჰაინკესი

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ და „ბაიერნმა“ შესანიშნავი საფეხბურთო სპექტაკლი შემოგვთავაზეს: რეკორდმაისტერმა ბოლო მატჩი 4:3 მოიგო - მიონხენგლადბახელებმა და მიუნხენელებმა **იუპ ჰაინკესი** 7 გოლით გააცილეს, მატჩის შემდეგომ პრესკონფერენციაზე კი „დონ იუპმა“ ცრემლები ვერ შეიკავა. შეგახსენებთ, რომ ჰაინკესი „ბაიერნს“ კიდევ ორ მატჩში უთავკაცებს - ჩემპიონთა ლიგისა და გერმანიის თასის ფინალებში....

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ფორტუნა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა - აქსელ ბელინგჰაუზენის ემოცია

## თურქეთი

### სუპერლიგა. ბოლო ტური

**მერსინი-გაზიანთეფი 1:2**
გოლები: 0:1 ტ. შაჰინი (27), 0:2 თოსუნი (30), 1:2 ბენ იაია (72)

**ქარაბიუქი-ფენერბაჰჩე 3:2**
გოლები: 0:1 თოფუზი (33), 1:1 ლუალუა (48-პენ), 2:1 იოზეკი (50), 2:2 ვებო (75), 3:2 ლუალუა (76)

**ორდუ-ახისარი 0:2**
გოლები: 0:1 ბრუნო მეზენგა (39), 0:2 ბრუნო მეზენგა (50)

**ბუიუქშეჰირი-ქასიმფაშა 1:2**
გოლები: 1:0 კიოსე (2), 1:1 ჯალმა (55), 1:2 ჩოლაქი (89)

**გალათასარაი-ტრაბზონი 2:0**
გოლები: 1:0 რიერა (34), 2:0 ბ. ილმაზი (52)

**ელაზიგი-სივასი 0:0**

**გენჩლერბირლიგი-ბურსა 2:2**
გოლები: 0:1 კირაზი (7), 1:1 ილერი (16), 2:1 ჟეცი (24), 2:2 მ. ილდირიმი (76)

**ქაისერი-ბეშიქთაში 2:0**
გოლები: 1:0 არიჩა (70), 2:0 ბობო (85)

**ესქიშეჰირი-ანთალია 3:1**
გოლები: 1:0 ჩეკი (7), 2:0 ჩეკი (20), 3:0 კამარა (62), 3:1 სისმანოღლუ (82)

#### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 34 | 21 | 8 | 5 | 66-35 | 71 |
| 2. ფენერბაჰჩე | 34 | 18 | 7 | 9 | 56-39 | 61 |
| 3. ბეშიქთაში | 34 | 16 | 10 | 8 | 63-49 | 58 |
| 4. ბურსა | 34 | 14 | 13 | 7 | 52-41 | 55 |
| 5. ქაისერი | 34 | 15 | 7 | 12 | 48-45 | 52 |
| 6. ქასიმფაშა | 34 | 14 | 8 | 12 | 48-37 | 50 |
| 7. ანთალია | 34 | 14 | 5 | 15 | 50-52 | 47 |
| 8. ესქიშეჰირი | 34 | 11 | 13 | 10 | 48-40 | 46 |
| 9. ტრაბზონი | 34 | 13 | 7 | 14 | 39-40 | 46 |
| 10. გაზიანთეფი | 34 | 12 | 10 | 12 | 42-49 | 46 |
| 11. გენჩლერბირლ. | 34 | 10 | 15 | 9 | 46-47 | 45 |
| 12. სივასი | 34 | 12 | 8 | 14 | 42-46 | 44 |
| 13. ელაზიგი | 34 | 10 | 13 | 11 | 31-46 | 43 |
| 14. ახისარი | 34 | 11 | 9 | 14 | 36-44 | 42 |
| 15. ქარაბიუქი | 34 | 11 | 7 | 16 | 41-53 | 40 |
| 16. ბუიუქშეჰირი | 34 | 9 | 9 | 16 | 43-50 | 36 |
| 17. ორდუ | 34 | 6 | 11 | 17 | 35-51 | 29 |
| 18. მერსინი | 34 | 4 | 10 | 20 | 31-53 | 22 |

ბომბარდირები: 24 - ბ. ილმაზი (გალათასარაი); 19 - უჩე (ქასიმფაშა); 17 - ბობო (ქაისერი); 16 - ვებო (ფენერბაჰჩე).

### დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი 1:2

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (6), 1:1 სალიჰოვიჩი (77-პენ), 1:2 სალიჰოვიჩი (82-პენ)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი (69. შიბერი), სუბოტიჩი, ჰუმელსი (77. ფელიპე სანტანა), შმელცერი - გიუნდოგანი, ს. ბენდერი (60. კელი) - ბლაშჩიკოვსკი, როისი, გროსკროიტცი - ლევანდოვსკი.

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-2):** კასტეელსი - ბეკი, აბრაამი, ვესტერგაარდი, ჯონსონი - პოლანსკი, რუდი (46. სარკა) - სალიჰოვიჩი, ოხსი (58. შიპლოკი) - რობერტო ფირმინიო (85. ზიული), ფოლანდი.

**გაფრთხილება:** როისი - რუდი, ვესტერგაარდი, შიპლოკი, რობერტო ფირმინიო

**გაძევება:** ვაიდენფელერი (81. დორტმუნდი)

*ვაიდენფელერის გაძევების შემდეგ დორტმუნდის კარში გროსკროიტცი ჩადგა*

**კუთხური:** 3-0; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 8-6; **კარში დარტყმა:** 21(8)-9(5); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 80 645

### გლადბახი-ბაიერნი 3:4

**გოლები:** 1:0 შტრანცლი (4), 2:0 ჰანკე (5), 2:1 ხავი მარტინესი (7), 3:1 ნორდტვეიტი (10), 3:2 რიბერი (18), 3:3 რიბერი (53), 3:4 რობენი (59)

**გლადბახი (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანჩკე, შტრანცლი, ბრუვერსი, ვენდტი - ნორდტვეიტი, ჯაკა - ჰერმანი (77. იუნესი), არანგო - ჰრგოტა (65. რუპი), ჰანკე (84. ლ. დე იონგი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - რობენი (81. შაჩირი), თ. მიულერი (81. პისარო), რიბერი - მანჯუკიჩი (75. გომესი).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 1-10; **ჯარიმა:** 7-7; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 11(5)-26(13); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 54 010

### შტუტგარტი-მაინცი 2:2

**გოლები:** 0:1 ედე (16), 1:1 ვეტკლო (22-საკ. კარში), 2:1 ბოკა (33), 2:2 ნ. მიულერი (42)

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - გ. საკაი (87. ჰუგლანდი), ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო - გენტნერი, ბოკა - ჰარნიკი, მაქსიმი (77. ჰოლცჰოიზერი), ოკაზაკი (71. მაკედა) - იბიშევიჩი.

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო - პოსპეხი, ბუნგერტი, ბელი, ზაბავნიკი - ბაუმგარტლინგერი - ზიმლინგი, მალი (75. ზალერი) - ედე (68. შ. პარკერი) - ნ. მიულერი, ივანშიტცი (76. სოტო).

**გაფრთხილება:** ულრაიხი, გენტნერი

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 10(3)-15(3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 51 020

### ჰანოვერი-ფორტუნა 3:0

**გოლები:** 1:0 მ. დიუფი (36), 2:0 ია კონანი (61), 3:0 ია კონანი (76)

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჯურუ, ეგიმანი (72. ჰაგი), პანდერი - და სილვა პინტუ (80. ანდრეასენი), ჰოფმანი (65. შტინდლი) - ჰ. საკაი, რაუში - მ. დიუფი, ია კონანი.

**ფორტუნა (4-2-2-2):** გიფერი - ვებერი, ბოძეკი, ლანგენეკე, ვან დერ ბერგი - პაურევიჩი (77. ილსიო), ო. ფინკი (52. რაიზინგერი) - ლამბერტცი, ბელინგჰაუზენი - ბოლი (68. კრუსი), შაჰინი.

**გაფრთხილება:** მ. დიუფი - ლანგენეკე, ვან დერ ბერგი, პაურევიჩი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 15(6)-13(2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 49 000

### ნიურნბერგი-ვერდერი 3:2

**გოლები:** 0:1 დე ბრუინი (37), 1:1 ნილსონი (61), 2:1 პოლტერი (81), 3:1 პეკჰარტი (88), 3:2 დე ბრუინი (89)

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - ბალიჩი, ნილსონი, კლოზე, პინოლა (77. ესვაინი) - სიმონსი, შტარკი (87. დაბანლი) - მენდლერი (59. პოლტერი), მაკი, პლატენჰარდტი - პეკჰარტი.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** მილიტცი - გებრე სელასიე, პრიოდლი, ლუკიმია, იგნიოვსკი - კროოსი (84. ა. სტევანოვიჩი) - ფრიტცი, იუნუზოვიჩი (67. შმიტცი) - დე ბრუინი - აკპალა (86. ფურტცი), პეტერსენი.

**გაფრთხილება:** მენდლერი, კლოზე

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16(5)-18(4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 46 157

### ფრაიბურგი-შალკე 1:2

**გოლები:** 0:1 დრაქსლერი (20), 1:1 შმიდი (54), 1:2 შუსტერი (58-საკ. კარში)

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - მუიჯა (71. ჰედენსტადი), ჰიონი, გინტერი, ზორგი - შუსტერი (77. ფლუმი), მაკიადი - შმიდი, კერკი (64. სანტინი) - როზენტალი, კრუზე.

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, კოლასინაცი - ნოიშტედტერი, ჯონსი - ფარფანი (70. ფლუმი), რაფაელი, დრაქსლერი (80. ჰიოგერი) - ჰუნტელაარი (90. ბარნეტა).

**გაფრთხილება:** გინტერი, მაკიადი - ფარფანი

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 14(3)-12(3); **ბურთის ფლობა:** %-%.

**მაყურებელი:** 24 000

### აუგსბურგი-ფიურტი 3:1

**გოლები:** 1:0 ვერნერი (30), 2:0 კალსენ-ბრაკერი (55), 2:1 ტრინკსი (62), 3:1 ჟი (75)

**აუგსბურგი (4-1-4-1):** მანინგერი - ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ბაიერი - ჰანი, მორავეკი (61. ფოგტი), ჟი, ვერნერი (77. კოო) - მიოლდერსი (89. დე იონგი).

**ფიურტი (4-1-3-1-1):** ჰესლი - მ. ციმერმანი, სობიეხი, მავრაი, ბაბა - გაისი (64. პლედლი) - კლაუსი, პრიბი, პარკი (43. აზემი) - ტრინკსი (79. შტიბერი) - ჯურჯიჩი.

*მე-5 წუთზე პრიბმა (ფიურტი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** მორავეკი, ჰანი - კლაუსი, პარკი, მავრაი

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 19-22; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16(5)-6(2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 30 112

### ჰამბურგი-ლევერკუზენი 0:1

**გოლი:** 0:1 კისლინგი (90)

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ადლერი - დიკმაიერი, ვესტერმანი, რაიკოვიჩი, იანსენი - ბადელი (66. რუდნევსი), რინკონი - ირაჩეკი (81. ილიჩევიჩი), ვან დერ ვაარტი, აოგო (78. ბაისტერი) - სონი.

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - კარვახალი (93. შვააბი), ვოლშაიდი, თოფრაქი, კადლეცი - რაინარტცი - ლ. ბენდერი, როლფესი - ჰეგელერი (68. ჰეგელერი), შიურლე (92. მ. ფრიდრიხი) - კისლინგი.

**გაფრთხილება:** ვესტერმანი, ბადელი, ვან დერ ვაარტი, ილიჩევიჩი - თოფრაქი, რაინარტცი

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 13(1)-15(7); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 57 000

### აინტრახტი-ვოლფსბურგი 2:2

**გოლები:** 0:1 პოლაკი (8), 0:2 დიეგო (19), 1:2 ა. მაიერი (36-პენ), 2:2 როდრიგესი (90-საკ. კარში)

**აინტრახტი (4-2-3-1):** ნიკოლოვი (66. იოზერი) - ს. იუნგი, სამბრანო (59. შვეგლერი), ანდერსონი, ოჩიპკა (46. ჯაპკა) - როდე, რუსი - აიგნერი, ა. მაიერი, ინუი - ლაკიჩი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ჰასებე, ნალდო, კნოხე, როდრიგესი - მედოიევიჩი, პოლაკი - ვიეირინია (89. მადლუნგი), პერიშიჩი (38. ტრეში), დიეგო - ოლიჩი (82. ჰასანი).

**გაფრთხილება:** სამბრანო, როდე, რუსი - დიეგო

**გაძევება:** ჰასებე (35. ვოლფსბურგი)

**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 11(3)-14(4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 51 500

#### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 34 | 29 | 4 | 1 | 98-18 | 91 |
| 2. დორტმუნდი | 34 | 19 | 9 | 6 | 81-42 | 66 |
| 3. ლევერკუზენი | 34 | 19 | 8 | 7 | 65-39 | 65 |
| 4. შალკე | 34 | 16 | 7 | 11 | 58-50 | 55 |
| 5. ფრაიბურგი | 34 | 14 | 9 | 11 | 45-40 | 51 |
| 6. აინტრახტი | 34 | 14 | 9 | 11 | 49-46 | 51 |
| 7. ჰამბურგი | 34 | 14 | 6 | 14 | 42-53 | 48 |
| 8. გლადბახი | 34 | 12 | 11 | 11 | 45-49 | 47 |
| 9. ჰანოვერი | 34 | 13 | 6 | 15 | 60-62 | 45 |
| 10. ნიურნბერგი | 34 | 11 | 11 | 12 | 39-47 | 44 |
| 11. ვოლფსბურგი | 34 | 10 | 13 | 11 | 47-52 | 43 |
| 12. შტუტგარტი | 34 | 12 | 7 | 15 | 37-55 | 43 |
| 13. მაინცი | 34 | 10 | 12 | 12 | 42-44 | 42 |
| 14. ვერდერი | 34 | 8 | 10 | 16 | 50-66 | 34 |
| 15. აუგსბურგი | 34 | 8 | 9 | 17 | 33-51 | 33 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 34 | 8 | 7 | 19 | 42-67 | 31 |
| 17. ფორტუნა | 34 | 7 | 9 | 18 | 39-57 | 30 |
| 18. ფიურტი | 34 | 4 | 9 | 21 | 26-60 | 21 |

ბომბარდირები: 25 - კისლინგი (ლევერკუზენი); 24 - ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 16 - ა. მაიერი (აინტრახტი), იბიშევიჩი (შტუტგარტი), მანჯუკიჩი (ბაიერნი); 14 - როისი (დორტმუნდი); 13 - თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 12 - მ. დიუფი (ჰანოვერი), რუდნევსი (ჰამბურგი), სონი (ჰამბურგი).

### II ბუნდესლიგა. ბოლო ტური

**ჰერტა-კოტბუსი 1:1**
გოლები: 0:1 ფარინა (28), 1:1 ბრუკსი (87)

**კაიზერსლაუტ.-ზანკტ პაული 1:2**
გოლები: 0:1 დაუბე (15), 0:2 გინჩეკი (33), 1:2 ჰოფერი (71)

**მიუნხენ 1860-აალენი 3:0**
გოლები: 1:0 დ. შტალი (35), 2:0 ვუდი (59), 3:0 ლაუთი (75)

**ბრაუნშვაიგი-ფრანკფურტი 2:2**
გოლები: 1:0 კრუპკე (2), 1:1 გიორლიტცი (11), 1:2 კაპლანი (50), 2:2 კრუპკე (73)

**დინამო-რეგენსბურგი 3:1**
გოლები: 0:1 კოკე (47), 1:1 ფორტი (50), 2:1 ფორტი (54), 3:1 ფილი (83-პენ)

**დუისბურგი-პადერბორნი 3:2**
გოლები: 1:0 პერთელი (12), 1:1 კაჩუნგა (20), 2:1 ბაჟიჩი (60-პენ), 2:2 ვრანჩიჩი (70), 3:2 ბრანდი (77)

**ბოხუმი-უნიონი 1:2**
გოლები: 0:1 იოზბეკი (49), 0:2 სკრჟიბსკი (55), 1:2 კრამერი (80)

**ინგოლშტადტი-კიოლნი 0:3**
გოლები: 0:1 როიერი (48), 0:2 ბრუნო ნასიმენტო (76), 0:3 უჯა (77-პენ)

**ზანდჰაუზენი-აუე 0:1**
გოლი: 0:1 ჰოხშაიდტი (79)

#### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 34 | 22 | 10 | 2 | 65-28 | 76 |
| 2. ბრაუნშვაიგი | 34 | 19 | 10 | 5 | 52-34 | 67 |
| 3. კაიზერსლაუტ. | 34 | 15 | 13 | 6 | 55-33 | 58 |
| 4. ფრანკფურტი | 34 | 16 | 6 | 12 | 55-45 | 54 |
| 5. კიოლნი | 34 | 14 | 12 | 8 | 43-33 | 54 |
| 6. მიუნხენ 1860 | 34 | 12 | 13 | 9 | 39-31 | 49 |
| 7. უნიონი | 34 | 13 | 10 | 11 | 50-49 | 49 |
| 8. კოტბუსი | 34 | 12 | 12 | 10 | 41-36 | 48 |
| 9. აალენი | 34 | 12 | 10 | 12 | 40-39 | 46 |
| 10. ზანკტ პაული | 34 | 11 | 10 | 13 | 44-47 | 43 |
| 11. დუისბურგი | 34 | 11 | 10 | 13 | 37-49 | 43 |
| 12. პადერბორნი | 34 | 11 | 9 | 14 | 45-45 | 42 |
| 13. ინგოლშტადტი | 34 | 10 | 12 | 12 | 36-43 | 42 |
| 14. ბოხუმი | 34 | 10 | 8 | 16 | 40-52 | 38 |
| 15. აუე | 34 | 9 | 10 | 15 | 39-46 | 37 |
| 16. დინამო | 34 | 9 | 10 | 15 | 35-49 | 37 |
| 17. ზანდჰაუზენი | 34 | 6 | 8 | 20 | 38-66 | 26 |
| 18. რეგენსბურგი | 34 | 4 | 7 | 23 | 36-65 | 19 |

ბომბარდირები: 19 - კუმბელა (ბრაუნშვაიგი); 18 - გინჩეკი (ზანკტ პაული), რონი (ჰერტა); 17 - იდრისუ (კაიზერსლაუტერნი); 15 - სანოგო (კოტბუსი).

### III ბუნდესლიგა

**პროისენ მიუნსტერი-ბაბელსბერგი 4:1, ხემნიტცი-უნტერჰახინგი 5:0, დარმშტადტი-შტუტკიკერსი 1:1, ჰანზა-ერფურტი 0:0, ვეენი-კარლსრუე 2:4, ჰაიდენჰაიმი-ოფენბახი 0:0, ჰალეშერი-ზაარბრიუკენი 2:1, შტუტგარტი II-დორტმუნდი II 0:1, ოსნაბრიუკი-ალემანია 4:0, ბურგჰაუზენი-არმინია 1:0.**

● ინგლისი. პრემიერლიგა. ბოლო ტური



# დიდი ამბების ტური

**პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში ყველაფერი დალაგდა. უმრავლესობის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი და შეკითხვებზე პასუხს ორიოდე კლუბი თუ ელოდა. გუშინდელი დღე ნამდვილად არ იყო უბრალო ფეხბურთის სამშობლოში. დიდი ასპარეზიდან დიდი ხალხი წავიდა. ალარაფერს ვამბობთ ალექს ფერგიუსონზე, ვისმა გადაწყვეტილებამაც ჩემპიონატს თავისებური ხიბლი მოაკლო. შოტლანდიელის გზას დაადგნენ პოლ სქოულზი, ჯეიმი კარაგერი და მაიკლ ოუენიც. ეს ის ადამიანების არიან, რომელთა გარეშე სპორტის ეს სახეობა ასეთი მდიდარი და პოპულარული ვერ იქნებოდა. მადლობა მათ!**

„არსენალი" „ნიუკასლზე" ძლიერი რომ არის, ამაში არც შეხვედრის დაწყებამდე ეპარებოდა ვინმეს ეჭვი, მაგრამ ტაინსაიდში სეზონის უკანასკნელი მატჩის მოგება მაინც ძნელი აღმოჩნდა. „კაჭკაჭებმა" საქმეს თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და **ვოიცეხ შჩესნის** კარზე იერიშები მიიტანეს, თუმცა კარში დარტყმამდე საქმე პრაქტიკულად არ მიდიოდა. სტუმრებმა მალევე მოახერხეს სიტუაციის გამოსწორება და ბურთზე კონტროლის დაწესება. თავის მხრივ, ვერც ისინი ახერხებდნენ პენსიაზე მიმავალი 38 წლის **სტივ ჰარპერის** შეწუხებას. საერთო ჯამში **ალან პარდიუს** გუნდი ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა.

სტატისტიკის თანახმად, მარტო მეორე ტაიმების შედეგებით ცხრილი რომ შევადგინოთ, „მეთოფეები" პრემიერლიგას ულაპარაკოდ მოიგებდნენ. ასე მოხდა ამჯერადაც. შესვენების შემდეგ სულ რამდენიმე წუთი იყო გასული, როცა **თეო უოლკოტის** ჯარიმის გათამაშებას **ლორენ კოშელნის** აკრობატული ნახტომი და გოლი მოჰყვა. ფრანგ ცენტრალურ მცველს პასი **ლუკას პოდოლსკიმ** გადააწოდა. თამაშის დასრულებას წუთები აკლდა, როცა „სენტ ჯეიმს პარკზე" „ტოტენჰემის". მატჩის ანგარიში შეიტყვეს. „ნიუკასლის" ერთი გოლი **არსენ ვენგერსა** და კომპანიას ჩემპიონთა ლიგის მიღმა ტოვებდა, თუმცა „არსენალმა" გაძლო. *„ყოჩაღ ბიჭებს! ეს არაერთხელ მითქვამს მათთვისაც: ბოლო თვეების განმავლობაში ჩემმა ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რამდენად ძლიერები არიან, რამდენად ძლიერი ხასიათი და პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ. დიდი ხანია „არსენალში" ვმუშაობ და შემიძლია ვთქვა, რომ ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი მყავს, რაც მახსოვს,"* - განაცხადა არსენ ვენგერმა.

## მარტო ბეილი ცოდოა

„ტოტენჰემს" ჰყავს **გარეთ ბეილი** და ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ რასაკვირველია, ბეილი არ არის ყველაფერი. მას შეუძლია ნებისმიერ გადამწყვეტ მომენტში საკუთარ თავზე აიღოს თამაში და გაიტანოს ისეთი მანძილიდანაც კი, რაც სხვას არ დასიზმრება. თუმცა ის უძლური ხდება, როცა მატჩის არბიტრი კატასტროფულ შეცდომებს უშვებს. დიახ, **ანდრე მარინერმა** ძალიან სუსტად იმსაჯა. ბირმინგემელმა არბიტრმა პირველ ტაიმში იმის ნაცვლად რომ **სებასტიან ლარსონის** მხრიდან საჯარიმოში წესების დარღვევა დაეფიქსირებინა და პენალტი დაენიშნა, ბეილს სიმულაციაში დასდო ბრალი და ყვითელი ბარათი აუფრიალა. მარინერი შეცდა მაშინაც, როცა სტუმართა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ მასპინძელს უშუალოდ თამაშიდანაც შეეძლო (ვის თუ არა ბეილს) გატანა და არ გაუმართლა. ვინ იცის, „დეზებს" ანგარიში აღნიშნული მომენტებიდან რომელიმეში რომ გაეხსნათ, იქნება „არსენალს" ცოტა მეტი ენერვიულა და... ეს უკვე წარსულზე ჰიპოთეტურ და შესაბამისად აზრს მოკლებულ მსჯელობას ჰგავს და ამით აღარ გადაგღლით. „უაით ჰართ ლეინზე" სეზონი ძალიან ეფექტურად, მაგრამ უსიხარულოდ დასრულდა. გუნდის ლიდერმა ენით აუწერელი სილამაზის გოლი გაიტანა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი გაირკვა. **ანდრე ვილაშ ბოაშის** გუნდი კიდევ ერთხელ დარჩა ჩემპიონთა ლიგის მიღმა. თამაშის დასრულების შემდეგ პორტუგალიელმა სპეციალისტმა „არსენალის" დამსახურებულ წარმატებაზე ილაპარაკა: *„რაც არ უნდა ძნელი იყოს ამის აღიარება, უნდა ითქვას: „არსენალმა" თავისი საქმე უკეთ გააკეთა. ჩემი გუნდის მიერ ჩატარებული სეზონით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მიზნის მიღწევა მაინც ვერ მოვახერხეთ. ამას მომავალ წელს შევეცდებით"*.

## მოულოდნელი ფერისცვალება

გასული წლის ნოემბრის ბოლოს „სტემფორდ ბრიჯზე" შეკრებილ გულშემატკივართა შორის ძნელად ნახავდით ადამიანს, ვინც **რაფა ბენიტესის** დანიშვნით კმაყოფილი იყო. გარდა იმისა, რომ ესპანელს სამწვრთნელო ასპარეზზე ორწლიანი პაუზა ჰქონდა, ფანები მას „ლივერპულში" გატარებული წლების გამოც იწუნებდნენ. პირველ ეტაპზე „ჩელსის" თამაშში პროგრესი ნაკლებად შეიმჩნეოდა, რის გამოც ფანკლუბებმა სტადიონზე მისვლაზეც კი უარი თქვეს. წინილების დათვლის დრო ბენიტესს გაზაფხულზე დაუდგა. ევროპის ლიგაზე გამარჯვების შემდეგ გუნდმა ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა. ეს კიდევ არაფერი. „სტემფორდ ბრიჯმა" რაფას მადლობა გადაუხადა. გვგონია, რომ შეცდომების აღიარება და ბოდიშის მოხდა „ჩელსის" გულშემატკივართა მხრიდან დიდსულოვანი ნაბიჯია. „მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ. ყველას მუშაობით კმაყოფილი ვარ ვინც კი ამ გამარჯვებაში წილი დაიდო. ეს ყველაფერი ნამდვილად დავიმსახურეთ, რადგან მთელი წელი წარმოუდგენლად ბევრს ვშრომობდით," - თქვა ბენიტესმა.

## დაუვიწყარი დასასრული

პირველ ტაიმში „ჰოუტორნსზე" ყველაფერი თითქოს იქითკენ მიდიოდა, რომ „ეშმაკებს" თავიანთი მწვრთნელი მაჟორულ ნოტზე უნდა გაეცილებინათ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა **რომელუ ლუკაკუმ** ინგლისურ კარიერაში პირველი ჰეთთრიკი შეასრულა და ამ მოვლენას სულ სხვაგვარი ელფერი მისცა. ის, რომ **ანდერს ლინდეგორმა** 5 ბურთი გაუშვა, საკუთრივ მეკარის გარდა დაცვის ხაზის დიდი „დამსახურებაც" არის. საფინალო სასტვენის შემდეგ ლეგენდარულმა მწვრთნელმა ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივარს თავი დაუკრა, მადლობა გადაუხადა და გასახდელში გაუჩინარდა. **ალექს ფერგიუსონი** ოფიციალურად გავიდა პენსიაზე. წუხელ მან გუნდს 1500-ე შეხვედრაში უხელმძღვანელა. მისმა გუნდმა კი ალბათ პირველად და უკანასკნელად დაასრულა შეხვედრა მსგავსი ანგარიშით. „იუნაიტედს" დაემშვიდობა **პოლ სქოულზიც**, ვინც კარიერის უკანასკნელ შეხვედრაში „საიუბილეო" მე-100 ყვითელი ბარათი მიიღო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### ჩელსი-ევერტონი 2:1

**გოლები:** 1:1 მატა (7), 1:1 ნეისმიტი (14), 2:1 ფ. ტორესი (76)

**ჩელსი** (4-4-2): ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, ლუისი, ე. კოული - აკე, ლამპარდი, მატა (83. ასპილიკუეტა), ოსკარი (89. ფერეირა) - ტორესი, ბა (66. მოზესი)

**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი - კოულმენი, იაგიელკა, დისტენი, ბეინსი - გიბსონი, ფელაინი, პიენაარი, ნეისმიტი (66. იელავიჩი), მირალიაში - ანიჩებე (67. ჰეიტინგა)

**გაფრთხილება:** ფ. ტორესი, ლუისი - ჰეიტინგა

**კარში დარტყმა:** 23-20 (8-7) **კუთხური:** 7-4 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 8-9 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 41 794

### ლივერპული-ქუინზ პარკი 1:0

**გოლი:** 1:0 კოუტინიო (23)

**ლივერპული** (4-2-3-1): რეინა - გ. ჯონსონი, კარაგერი (85. კოატესი), შკრტელი, ხ. ენრიკე - ლუკასი, ჰენდერსონი - იბე (64. ბორინი), კოუტინიო (75. სუსო), დაუნინგი - სტარიჯი

**ქუინზ პარკი** (4-4-2): გრინი - ჰარიმანი, ონუოჰა, ჰილი, ტრაორე - დერი, მბია (46. გრანერო), ტაუსენდი, პარკი (80. ჰოილეტი) - რემი, ზამორა (72. მაკი)

**გაფრთხილება:** ჰენდერსონი - ჰილი, დერი, ტაუსენდი

**კარში დარტყმა:** 27-10 (20-3) **კუთხური:** 14-0 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 7-3 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 44 792

### სიტი-ნორვიჩი 2:3

**გოლები:** 0:1 პიკლინგტონი (26), 1:1 როდუელი (29), 1:2 ჰოლტი (55), 2:2 როდუელი (59), 2:3 ჰოუსონი (65)

**სიტი** (4-4-1-1): ჰარტი - საბალეტა, რიჩარდსი, ლესკოტი, კოლაროვი - როდუელი (66. დ. სილვა), ი. ტურე, ნასრი, მილნერი - ტევესი (50. აგუერო) - ჯეკო

**ნორვიჩი** (4-4-1-1): რადი - უაიტეკერი, მარტინი, რ. ბენეტი, გარიდო - ბ. ჯონსონი (66. ტეტი), ჰოუსონი, სნოდგრასი, პიკლინგტონი (81. ე. ბენეტი) - ჰულაჰანი - ჰოლტი (90. ბეკიო)

**გაფრთხილება:** ლესკოტი -

**კარში დარტყმა:** 14-13 (5-8) **კუთხური:** 7-7 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 9-8 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 47 054

### ნიუკასლი-არსენალი 0:1

**გოლი:** 0:1 კოშელნი (52)

**ნიუკასლი** (4-2-3-1): ჰარპერი - დებუში, ს. ტეილორი, კოლოჩინი, იანგა-მბივა (80. ა. კემპბელი) - კაბაი (57. ანიტა), ტიოტე - გუფრანი (65. მარვო), ბენ არფა, ხონასი - სისე

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი - რემსი, არტეტა (28. ოქსლეიდ-ჩემბერლენი) - უოლკოტი, როსიცკი, კასორლა (89. უილშირი) - პოდოლსკი (77. ჟირუ)

**გაფრთხილება:** ხონასი - როსიცკი, გიბსი

**კარში დარტყმა:** 7-9 (2-3) **კუთხური:** 4-4 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 17-9 **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 52 354

### საუთჰემპტონი-სტოკი 1:1

**გოლები:** 0:1 კრაუჩი (47), 1:1 ლამბერტი (57)

**საუთჰემპტონი** (4-2-3-1): კ. დევისი - კლაინი, ჰოიველდი, ფონტე, შოუ - შნაიდერლინი, კორკი (82. მაიუკა) - ლალანა (64. პანჩეონი), ჯ. როდრიგესი, ს. დევისი (74. ვორდ-პრაუსი) - ლამბერტი

**სტოკი** (4-5-1): ბეგოვიჩი - უილსონი (20. უილკინსონი), შოუკროსი, ჰუთი, შოტონი - უაიტჰედი, კემერონი, ნზონზი, უოლტერსი (74. ოუენი), ეთერინგტონი (69. ჯერომი) - კრაუჩი

**გაფრთხილება:** - უაიტჰედი, ნზონზი

**კარში დარტყმა:** 13-7 (7-3) **კუთხური:** 3-4 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 9-7 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 31 539

### სუონსი-ფულჰემი 0:3

**გოლები:** 0:1 კაჩანიკლიჩი (22), 0:2 ბერბატოვი (77), 0:3 ემანუელსონი (90+3)

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი - რანხელი, ჩიკო, უილიამსი, ბ. დევისი (81. ნ. ტეილორი) - ბრიტონი, დე გუზმანი (81. აგუსტიენი) - პ. ერნანდესი (75. შეხტერი), რუტლეჯი, დაიერი - მიჩუ

**ფულჰემი** (4-4-1-1): შვარცერი - რიტერი, სენდეროსი, ჰანგელანდი, რიისე - ფრიმპონგი (68. კარაგუნისი), ენო, კაჩანიკლიჩი, დაფი (73. ემანუელსონი) - რუისი - ბერბატოვი (88. როდალიეგა)

**გაფრთხილება:** პ. ერნანდესი, მიჩუ - რიტერი

**კარში დარტყმა:** 19-8 (11-6) **კუთხური:** 8-0 **თამაშგარე:** 5-1 **ჯარიმა:** 12-9 **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 20 365

### ტოტენჰემი-სანდერლენდი 1:0

**გოლი:** 1:0 ბეილი (89)

**ტოტენჰემი** (4-4-1-1): ლორისი - უოლკერი, დოუსონი, ვერტონგენი, ასუ-ეკოტო (83. სიგურდსონი) - პარკერი (64. დემბელე), ჰადლსტოუნი, დემპსი (73. დეფო), ლენონი - ბეილი - ადებაიორი

**სანდერლენდი** (4-4-2): მინიოლე - ლარსონი, კუელიარი, ოში, კოლბეკი - ნდიაიე, დ. ვონი, ა. ჯონსონი, მაკლინი (75. კნოტი) - გრემი (74. მანდრონი), უიკჰემი (88. მიტჩელი)

**გაფრთხილება:** ბეილი - მაკლინი, დ. ვონი, მანდრონი

**გაძევება:** - დ. ვონი (75)

**კარში დარტყმა:** 24-5 (20-3) **კუთხური:** 13-1 **თამაშგარე:** 4-3 **ჯარიმა:** 6-11 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 36 763

### ვესტ ბრომვიჩი-იუნაიტედი 5:5

**გოლები:** 0:1 კაგავა (6), 0:2 ოლსონი (9-ს.კ-ში), 0:3 ბიუტნერი (30), 1:3 მორისონი (40), 2:3 ლუკაკუ (50), 2:4 ვან პერსი (53), 2:5 ხ. ერნანდესი (63), 3:5 ლუკაკუ (81), 4:5 მულუმბუ (81), 5:5 ლუკაკუ (86)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): ფოსტერი - ბ. ჯონსი, მაკაული, ოლსონი, რიჯუელი (46. ლუკაკუ) - იაკობი, მულუმბუ - დორანსი, მორისონი (79. ფორჩუნი), ბრანტი - ლონგი (79. როსენბერგი)

**იუნაიტედი** (4-4-2): ლინდეგორი - ვალენსია, ფ. ჯონსი, ევანსი (83. რ. ფერდინანდი), ბიუტნერი - ანდერსონი, კერიკი, კლევერლი (60. გიგზი), კაგავა (69. სქოულზი) - ხ. ერნანდესი, ვან პერსი

**გაფრთხილება:** - სქოულზი

**კარში დარტყმა:** 21-16 (6-6) **კუთხური:** 3-5 **თამაშგარე:** 4-2 **ჯარიმა:** 11-7 **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 26 438

### ვესტ ჰემი-რედინგი 4:2

**გოლები:** 1:0 ნოლანი (23), 2:0 ვას ტე (34), 2:1 მაკლირი (53), 2:2 ლე ფონდრე (55), 3:2 ნოლანი (79), 4:2 ნოლანი (87)

**ვესტ ჰემი** (4-3-2-1): იასკელაინენი - დემელი, კოლინსი, რიდი, ობრაიენი (86. მ. ტეილორი) - დიამე, ნოლანი, ნოუბლი - ვას ტე (81. მაიგა), ჯ. კოული (74. კოლისონი) - კეროლი

**რედინგი** (4-4-1-1): მაკარტი - განტერი, გორკსი, მორისონი, კელი - კარაჯანი, გატრი - მაკლირი, მაკანუფი, რობსონ-კანუ (46. ბლექმენი) - პოგრებნიაკი (46. ლე ფონდრე)

**გაფრთხილება:** ნოლანი, კოლისონი - მაკანუფი

**კარში დარტყმა:** 19-17 (12-7) **კუთხური:** 6-4 **თამაშგარე:** 5-1 **ჯარიმა:** 13-8 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 34 973

### უიგანი-ასტონ ვილა 2:2

**გოლები:** 0:1 ბენტი (5), 1:1 ბოისი (21), 2:1 ბეიკერი (45-ს.კ-ში), 2:2 ვლაარი (60)

**უიგანი** (3-4-3): ალ ჰაბსი - შარნერი, გოლობარტი, ბოისი (88. კამპაბადალი) - უოტსონი (69. ფივი), მაკარტი, ესპინოსა, მაკარტური - მელონი, კონე, გომესი (69. ა. ენრიკესი)

**ასტონ ვილა** (4-3-3): გუზანი - ლოუტონი, ვლაარი, ბეიკერი, ჯ. ბენეტი - სილა (59. დოუკინსი), ვესტვუდი (88. გ. გარდნერი), დელფი - ვაიმანი, ბენტი, აგბონლაჰორი (75. ბოუერი)

**გაფრთხილება:** მაკარტი, ბოისი - ლოუტონი

**კარში დარტყმა:** 17-9 (4-3) **კუთხური:** 4-2 **თამაშგარე:** 2-3 **ჯარიმა:** 11-13 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 22 000

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 38 | 28 | 5 | 5 | 86-43 | 89 |
| 2. სიტი | 38 | 23 | 9 | 6 | 66-34 | 78 |
| 3. ჩელსი | 38 | 22 | 9 | 7 | 75-39 | 75 |
| 4. არსენალი | 38 | 21 | 10 | 7 | 72-37 | 73 |
| 5. ტოტენჰემი | 38 | 21 | 9 | 8 | 66-46 | 72 |
| 6. ევერტონი | 38 | 16 | 15 | 7 | 55-40 | 63 |
| 7. ლივერპული | 38 | 16 | 13 | 9 | 71-43 | 61 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 38 | 14 | 7 | 17 | 53-57 | 49 |
| 9. სუონსი | 38 | 11 | 13 | 14 | 47-51 | 46 |
| 10. ვესტ ჰემი | 38 | 12 | 10 | 16 | 45-53 | 46 |
| 11. ნორვიჩი | 38 | 10 | 14 | 14 | 41-58 | 44 |
| 12. ფულჰემი | 38 | 11 | 10 | 17 | 50-60 | 43 |
| 13. სტოკ სიტი | 38 | 9 | 15 | 14 | 34-45 | 42 |
| 14. საუთჰემპტონი | 38 | 9 | 14 | 15 | 49-60 | 41 |
| 15. ასტონ ვილა | 38 | 10 | 11 | 17 | 47-69 | 41 |
| 16. ნიუკასლი | 38 | 11 | 8 | 19 | 45-68 | 41 |
| 17. სანდერლენდი | 38 | 9 | 12 | 17 | 41-54 | 39 |
| 18. უიგანი | 38 | 9 | 9 | 20 | 47-73 | 36 |
| 19. რედინგი | 38 | 6 | 10 | 22 | 43-73 | 28 |
| 20. ქუინზ პარკი | 38 | 4 | 13 | 21 | 30-60 | 25 |

**ბომბარდირები:** 26 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 23 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 21 - **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), 19 - **კრისტიან ბენტეკე** (ასტონ ვილა), 18 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), 17 - **რომელუ ლუკაკუ** (ვესტ ბრომვიჩი)



ჯეიმი კარაგერი ფეხბურთიდან წავიდა

● იტალია. სერია A. ბოლო ტური

# მილანი ბეწვის ხიდზე

## კალჩოს დრამატულ-სკანდალური ფინიში

**ბოლო ტურის ყველაზე დიდი ინტრიგა ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურს უკავშირდებოდა, რომლისთვისაც „მილანი" და „ფიორენტინა" იბრძოდნენ. გასარკვევი იყო ევროპალიგის საგზურთა ბედიც, თუმცა ეს ყველაფერი კვირას გვიან ღამით გაირკვა - იქამდე კი ჩემპიონატის ტრიუმფატორმა ითამაშა და სეზონი მარცხით დაასრულა...**

### ლაღი ბურთაობა და გაბრაზებული კონტე

„სტადიო მარისიზე" „სამპდორიამ" „იუვენტუსს" უმასპინძლა და მრისხანე მეტოქე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა, 3:2. გენუური პაექრობა არაფერს წყვეტდა და გამომდინარე აქედან, ფეხბურთელებმა თავისუფლად, ლაღად ითამაშეს. ამად იყო, რომ ორივე კართან ძომენტი მომენტზე იქმნებოდა, უპირატესობას კი ცხადია, სტუმრები ფლობდნენ. თავად განსაჯეთ, ტურინელებმა 21-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით და აქედან 12 კარის ჩარჩოში წავიდა... მოკლედ, „იუვემ" დაბომბა მეტოქე, მაგრამ საბოლოოდ, გამარჯვება სწორედ მასპინძლებს დარჩათ.

გენუელთაგან შესანიშნავად გაისარჯნენ **ედერი და მაურო იკარდი** - სეზონი ორივე შემტევმა მაღალ დონეზე ჩაატარა და დიდი ალბათობით, ტანდემი ამ ზაფხულს დაიშლება... განსაკუთრებით იკარდიზეა დიდი მოთხოვნა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მაურო გენუაში დარჩეს. თანაც, ახალგაზრდა არგენტინელმა უკვე განაცხადა, რომ რომელიმე გრანდში სურს კარიერის გაგრძელება. მოკლედ, იკარდიმაც და მთლიანად „სამპდორიამაც" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და მიუხედავად იმისა, რომ იღბალიც მათ მხარეს იყო, გამარჯვება ალალად დაიმსახურეს.

ტურინელები უკვე ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაზე ფიქრობენ, **ანტონიო კონტეც** თითქოს ბოლოჯერ აკვირდება ფეხბურთელებს და ფიქრობს, ვინ დატოვოს და ვინ გაუშვას... „სამპას" **სებასტიან ჯოვინკოსა** და **ფაბიო კვალიარელას** ტანდემი უტევდა, მეორე ნახევარში კი მინდორზე **ნიკლას ბენდტნერი** გამოჩნდა. დანიელს ნამდვილად ვერაფერი უშველის, სებას და ფაბიოს ბედი კი ჯერ კიდევ გასარკვევია. ერთ-ერთი გოლი სწორედ კვალიარელამ გაიტანა, თუმცა მასზე ნაკლებად არც ჯოვინკოს უთამაშია. ვნახოთ, ყველაფერი ანტონიო კონტეს ხელშია. ნამატჩევს, „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი ჟურნალისტებმა გააცხარეს და თუ რატომ, ამას მისი კომენტარიდან შეიტყობთ...

**ანტონიო კონტე (იუვენტუსი):** *„ვაპირებთ თუ არა კარლოს ტევესის გადაბირებას? - დღეს, სეზონის ბოლო შეხვედრა გავმართეთ და ჩემი აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს პრესკონფერენციის თემა. ჩემმა შეგირდებმა სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს, სკუდეტო მოიგეს, სწორედ ისინი იმსახურებენ ყურადღებას და არა კარლოს ტევესი. მე ვენდობი ჩემს ფეხბურთელებს და სულ რომ არავინ დავიმატოთ, ისედაც ვიბრძოლებთ უმაღლესი მიზნებისთვის. ასე რომ, ცოტა ხნით მაინც, შევეშვათ ტრანსფერებს. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ფეხბურთელს განვლილი სეზონისთვის და დამსახურებულ შვებულებაში გავუშვა. „სამპდორიამ" თავგანწირულად ითამაშა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მარცხს არ ვიმსახურებდით. ბოლო ტურშიც ისევე მოვინდომეთ, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში, რაც ცალკე აღნიშვნის ღირსია და მაიმედებს, რომ მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები არასდროს შეგვექმნება. მომდევნო სეზონში, კიდევ უფრო ძლიერები ვიქნებით".*

### მაინც მილანი...

„მილანმა" ბეწვის ხიდზე გაიარა და მაინც მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის საგზური. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი პირველივე წუთებიდან ეკვეთა მეტოქის კარს, მაგრამ 25-ე წუთზე აქეთ მიიღო გოლი და ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. „როსონერის" მთავარმა მწვრთნელმა შესვენებაზე **მბაიე ნიანგი** მოხსნა თამაშიდან და მის ნაცვლად **ჯამპაოლო პაცინი** ჩართო ბრძოლაში, მე-60 წუთზე კი **სტეფან ელ შაარავიც** გამოჩნდა მინდორზე. სტუმართა იერიშები სულ უფრო მწვავდებოდა, მაგრამ გოლი არ ჩანდა... ტოსკანელები მთელი გუნდით იცავდნენ კარს, ზონები გადაკეტილი ჰქონდათ და სწორედ ამ ზონების გახსნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 69-ე წუთზე მომხდარმა ინციდენტმა, რომლის გამოც მოედანი ერთბაშად ორმა ფეხბურთელმა დატოვა - მასპინძელთაგან **ტერლიციმ**, ხოლო სტუმართაგან **ამბროზინიმ**. შედეგად, მოედანზე მეტი თავისუფალი სივრცე გაჩნდა და სტუმრებმაც ამით ისარგებლეს. 84-ე წუთზე, **მარიო ბალოტელიმ** თერთმეტმეტრიანი მონადირა და თვითონვე გამოიყენა, სამიოდე წუთში კი **ფილიპ მექსე** შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და წლის გოლი გაიტანა, 1:2... აქვე ვთქვათ, რომ ბალოტელიზე მსაჯმა საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა და ამ ეპიზოდს აუცილებლად მოჰყვება დიდი გამოხმაურება და გნებავთ, აურზაური. ასეა თუ ისე, „მილანმა" სუპერ-დაძაბულ ბრძოლაში მოიგო და „პესკარას" გამანადგურებელი „ფიორენტინა" მეოთხეზე დატოვა.

ევროპალიგის ერთი საგზური სწორედ მეოთხეზე დარჩენილმა „ფიორენტინამ" მოიპოვა, მეორე კი „უდინეზეს" დარჩა. ფრიულელებმა დაუძლურებულ „ინტერს" გადაურბინეს და რომაული გუნდები უკან მოიტოვეს. ვროპალიგაზე გამსვლელ მესამე გუნდს იტალიის თასის ფინალი გაარკვევს, სადაც ერთმანეთის პირისპირ რომაული გუნდები წარსდგებიან - იქ ამბავი იქნება...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



მილანმა შიში ჭამა

### სამპდორია-იუვენტუსი 3:2

**გოლები:** 0:1 კვალიარელა (25), 1:1 ედერი (31-პენ.), 2:1 დე სილვესტრი (57), 3:1 იკარდი (75), 3:2 ჯაკერინი (90).

**სამპდორია (3-5-2):** და კოსტა - გასტალდელო, მუსტაფი, კასტელინი - დე სილვესტრი, პალომბო (66. მუნარი), ობიანგი, პოლი, ესტიგარიბია (84. ბერარდი) - ედერი (80. სანსონე), იკარდი.

**იუვენტუსი (3-5-2):** სტორარი (80. რუბინიო) - კასერესი, ბონუჩი, კიელინი - ისლა, პადოინი (74. ლიხტშტაინერი), პირლო, ჯაკერინი, დე ჩელიე - ჯოვინკო (74. ბენდტნერი), კვალიარელა.

**გაფრთხილება:** იკარდი (სამპდორია).

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 8-9; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 6-21(4-12); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 23 000

### ატალანტა-კიევო 2:2

**გოლები:** 1:0 სტენდარდო (8), 1:1 თერეუ (76), 2:1 ჯორჯი (84), 2:2 თერეუ (90).

**ატალანტა (3-5-2):** პოლიტო - კაპელი (73. ბელინი), ლუკინი, სტენდარდო - ჩიგარინი, ჯორჯი, კარმონა, ბიონდინი (78. ბონავენტურა), ბრივიო - დე ლუკა (36. ლივაია), დენისი.

**კიევო (3-5-2):** სკუიცი - პაპი, ფარკასი, ცეზარი (79. და სილვა) - სამპირიზი (46. სარდო), ვაჩეკი (75. სოვე), დიბი, კოფიე, დრამე - თერეუ, სტოიანი.

**გაფრთხილება:** ლუკინი, სტენდარდო, ჯორჯი, ბიონდინი, დე ლუკა, ლივაია - სარდო.

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 8-13(6-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 15 000

### ბოლონია-ჯენოა 0:0

**ბოლონია (4-2-3-1):** სტოიანოვიჩი - გარიჩი, სორენსენი (81. ნატალი), ნალდო, მორლეო (61. აბერო) - კრპინი, ტაიდერი - კონე, დიამანტი, ხრისტოდოლოპულოსი (71. მოსკარდელი) - ჯილარდინო.

**ჯენოა (4-3-3):** დონარუმა - პიზანო, მანფრედინი, პორტანოვა, მორეტი - მ. რიგონი, ტოზცერი, ბერტოლაჩი (41. ნადარევიჩი) - იანკოვიჩი (57. კასანი), ფლორო ფლორესი, ბორიელო (84. საიდი).

**გაფრთხილება:** დიამანტი - პიზანო, ბორიელო.

**კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 24-4(6-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 21 000

### რომა-ნაპოლი 2:1

**გოლები:** 1:0 მარკინიო (47), 2:0 დესტრო (58), 2:1 კავანი (84).

**რომა (4-2-3-1):** ლობონტი - ტოროსიდისი (67. პირისი), ბურდისო, კასტანი, დოდო (80. პეროტა) - პანაიოტისი, ბრედლი - პიანიჩი (76. ფლორენცი), ლამელა, მარკინიო - დესტრო.

**ნაპოლი (3-4-1-2):** როზატი - როლანდო, კანავარო (73. კალაიო), ბრიტოსი (53. არმერო) - მაჯო, ჯემაილი, ბერამი, ცუნიგა - ჰამშიკი - პანდევი (7. ელ ქადური), კავანი.

**გაფრთხილება:** დესტრო - არმერო.

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 11-22; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 11-7(8-3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 40 000

### კალიარი-ლაციო 1:0

**გოლი:** 1:0 დესენა (75).

**კალიარი (4-3-1-2):** ავრამოვი - დესენა, როსეტინი, ასტორი, აველარი - ერიკსონი, კონტი, ნაინგოლანი - რიბეირო (69. კოსუ) - პინილია (73. საუ), იბარბო (86. ნენე).

**ლაციო (4-4-2):** მარკეტი - დიასი, ცანა, ბიავა (77. ედერსონი) - კონკო (71. გონსალესი), ლედესმა, ონაზი, ლულიჩი - კანდრევა - კოზაკი (57. ფლოკარი), კლოზე.

**გაფრთხილება:** დესენა - ცანა.

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 12-10(5-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 10 000

### ინტერი-უდინეზე 2:5

**გოლები:** 0:1 პინცი (1), 0:2 დომიცი (10), 1:2 ჟუან ჟესუსი (12), 1:3 დი ნატალე (41), 1:4 გაბრიელ სილვა (52), 2:4 როკი (63), 2:5 მურიელი (66).

**ინტერი (3-4-2-1):** ჰანდანოვიჩი - ჟუან ჟესუსი, კამბიასო, პაზა - ნაგატომო, კუზმანოვიჩი (78. ბენასი), კოვაჩიჩი, პერეირა - გუარინი, ალვარესი (55. პალასიო) - როკი (69. სკელოტო).

**უდინეზე (3-5-2):** ბრკიჩი - ბენეტია (68. ანჯელა), დანილო, დომიცი - ბასტა, პინცი (89. როდრიგესი), ალანი, გაბრიელ სილვა, პერეირა - მურიელი (81. ბადუ), დი ნატალე.

**გაფრთხილება:** ჟუან ჟესუსი, პერეირა (ინტერი).

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12-11(6-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 40 000

### პალერმო-პარმა 1:3

**გოლები:** 0:1 გობი (38), 0:2 ვალდესი (41), 0:3 ბელფოდილი (45), 1:3 მიკოლი (76).

**პალერმო (3-5-2):** ბენუსი - ფონ ბერგენი, მუნიოსი, არონიკა (53. ფაურლინი) - სანსევერინო, მორგანელა, ფორმიკა (55. დიბალა), დონატი, ვიოლა (63. მანტოვანი) - ერნანდესი, მიკოლი.

**პარმა (3-5-2):** მირანტე (43. ბაუძა) - კოდა, პალეტა, ლუკარელი - როსი, პაროლო, ვალდესი, ამპუერო (77. გალოპა), გობი - ბელფოდილი, ამაური (83. სანსონე).

**გაფრთხილება:** დონატი - ბელფოდილი, გალოპა.

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 20-9(10-8); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 18 000

### პესკარა-ფიორენტინა 1:5

**გოლები:** 0:1 ლიაიჩი (16), 0:2 ლიაიჩი (24), 0:3 ფერნანდესი (28), 0:4 იოვეტიჩი (54), 0:5 ლიაიჩი (59), 1:5 ვიტილიო (76).

**პესკარა (4-2-3-1):** პერინი - ძაური, კოსიჩი (68. კატალანო), ბოკეტი, კაპუანო - ტონი, რიცო - დი ფრანჩესკო, ბარნასონი, სელიკი (67. ვიტილიო) - სფორცინი.

**ფიორენტინა (4-3-3):** ვივიანო (71. ლუპატელი) - ტომოვიჩი, გონსალო, კომპერი, პასკუალი - ფერნანდესი, პისარო, ბორხა ვალერო - კუადრადო (64. როსი), იოვეტიჩი, ლიაიჩი (60. ვოლსკი).

**კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 9-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12-11(5-8); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 10 000

### სიენა-მილანი 1:2

**გოლები:** 1:0 ტერცი (25), 1:1 ბალოტელი (84-პენ.), 1:2 მექსე (87).

**სიენა (3-5-2):** პეგოლო - ფელიპე, ტერლიცი, ტერცი - ვიტიელო, კალელო, დელა როკა, ბოლცონი, რუბინი (90. ბოგდანი) - როზინა (61. აგრა), ემეგარა (75. პაჩი).

**მილანი (4-3-3):** აბიატი - აბატე (78. კონსტანტი), მექსე, საპატა, დე შილიო - ნოჩერინო (60. ელ შაარავი), ამბროზინი, მონტოლივო - ნიანგი (46. პაცინი), რობინიო, ბალოტელი.

**გაფრთხილება:** ფელიპე, ვიტიელო, რუბინი, აგრა (სიენა).

გაძევება: ტერლიცი (69) - ამბროზინი (69).

**კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 11-26; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 4-17(2-9); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 10 000

### ტორინო-კატანია 2:2

**გოლები:** 0:1 ალმირონი (25), 1:1 ჩერჩი (53), 1:2 ბერგესიო (62), 2:2 ბიანკი (83).

**ტორინო (5-3-2):** კოპოლა - დარმიანი, ოგბონა, როდრიგესი, დი ჩეზარე, კასერესი - ბაშა, ბაკიჩი (69. გაცი), ვივესი (46. ბრიგი) - ჩერჩი, ჯონატასი (51. ბიანკი).

**კატანია (4-2-3-1):** ფრიზონი - ისკო, ბელუში, სპოლი, კაპუანო (57. აუგუსტინი) - ბიაჯანტი, ალმირონი (49. შაკა) - კასტრო, ბარიენტოსი, გომესი (88. პეტკოვიჩი) - ბერგესიო.

**გაფრთხილება:** ფრიზონი, აუგუსტინი (კატანია).

**კუთხური:** 5-0; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 13-11(5-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 18 000

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 38 | 27 | 6 | 5 | 71-24 | 87 |
| 2. ნაპოლი | 38 | 23 | 9 | 6 | 73-36 | 78 |
| 3. მილანი | 38 | 21 | 9 | 8 | 66-38 | 72 |
| 4. ფიორენტინა | 38 | 21 | 7 | 10 | 72-44 | 70 |
| 5. უდინეზე | 38 | 18 | 12 | 8 | 59-45 | 66 |
| 6. რომა | 38 | 18 | 8 | 12 | 70-56 | 62 |
| 7. ლაციო | 38 | 18 | 7 | 13 | 50-41 | 61 |
| 8. კატანია | 38 | 15 | 11 | 12 | 50-46 | 56 |
| 9. ინტერი | 38 | 16 | 6 | 16 | 54-56 | 54 |
| 10. პარმა | 38 | 13 | 10 | 15 | 45-46 | 49 |
| 11. კალიარი | 38 | 12 | 11 | 15 | 43-55 | 47 |
| 12. კიევო | 38 | 12 | 9 | 17 | 37-52 | 45 |
| 13. ბოლონია | 38 | 11 | 11 | 16 | 46-52 | 44 |
| 14. სამპდორია | 38 | 11 | 10 | 17 | 43-51 | 42 |
| 15. ატალანტა | 38 | -11 | 9 | 18 | 39-56 | 40 |
| 16. ტორინო | 38 | 8 | 16 | 14 | 46-55 | 39 |
| 17. ჯენოა | 38 | 8 | 14 | 16 | 38-51 | 38 |
| *18. პალერმო* | *38* | *6* | *14* | *18* | *34-54* | *32* |
| *19. სიენა* | *38* | *9* | *9* | *20* | *36-57* | *30* |
| *20. პესკარა* | *38* | *6* | *4* | *28* | *27-84* | *22* |

*შენიშვნა* : სიენა - 6 ქულა, ატალანტა - 2, სამპდორია - 1, ტორინო - 1.

ბომბარდირები: 29 - კავანი (ნაპოლი); 23 - დი ნატალე (უდინეზე); 16 - ელ შაარავი (მილანი), ოსვალდო (რომა).

### სერია B

### XXXXII (ბოლო) ტური

**ჩეზენა-პრო ვერჩელი** 1:1
**გოლები:** 1:0 ტონუჩი (29), 1:1 რაგაცუ (45).

**გროსეტო-ბარი** 4:3
**გოლები:** 1:0 ლუპოლი (18), 1:1 ფედატო (35), 1:2 კაპუტო (42), 1:3 ფედატო (46), 2:3 კულიბალი (49), 3:3 პიოვაკარი (65), 4:3 ფანჩული (85).

**სპეცია-მოდენა** 1:1
**გოლები:** 0:1 არდემანი (20), 1:1 სანსოვინი (89).

**ტერნანა-პადოვა** 2:1
**გოლები:** 1:0 ვიტალე (4-პენ.), 1:1 კუტოლო (50-პენ.), 2:1 ბენჩივენგა (59).

**ბრეშა-ვარეზე** 2:0
**გოლები:** 1:0 ძამბელი (50), 2:0 კარაჩოლო (67).

**ჩიტადელა-ასკოლი** 1:0
**გოლი:** 1:0 ბაზელი (90).

**ნოვარა-ლანჩანო** 1:1
**გოლები:** 0:1 ფალჩინელი (12), 1:1 რუბინო (55).

**სასუოლო-ლივორნო** 1:0
**გოლი:** 1:0 მისიროლი (90).

**ვერონა-ემპოლი** 0:0

**ვიჩენცა-რეჯინა** 0:0

**კროტონე-იუვე სტაბია** 3:3
**გოლები:** 1:0 ტორომინო (29), 1:1 იმპროტა (35), 1:2 დონინელი (42), 1:3 სუჩუ (57), 2:3 ფალკონიერი (77), 3:3 ფალკონიერი (82).

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 42 | 25 | 10 | 7 | 78-40 | 85 |
| 2. ვერონა | 42 | 23 | 13 | 6 | 67-32 | 82 |
| 3. ლივორნო | 42 | 23 | 11 | 8 | 77-47 | 80 |
| 4 ემპოლი | 42 | 20 | 13 | 9 | 69-51 | 73 |
| 5. ნოვარა | 42 | 19 | 10 | 13 | 73-46 | 64 |
| 6 ბრეშა | 42 | 15 | 17 | 10 | 58-50 | 62 |
| 7. ვარეზე | 42 | 16 | 13 | 13 | 55-53 | 60 |
| 8. მოდენა | 42 | 15 | 12 | 15 | 52-51 | 55 |
| 9. ტერნანა | 42 | 12 | 17 | 13 | 37-38 | 53 |
| 10. ბარი | 42 | 16 | 12 | 14 | 55-47 | 53 |
| 11. პადოვა | 42 | 12 | 17 | 13 | 47-51 | 53 |
| 12. კროტონე | 42 | 14 | 13 | 15 | 45-56 | 53 |
| 13. სპეცია | 42 | 12 | 15 | 15 | 52-58 | 51 |
| 14. იუვე სტაბია | 42 | 12 | 14 | 16 | 54-65 | 50 |
| 15. ჩიტადელა | 42 | 12 | 14 | 16 | 48-61 | 50 |
| 16. ჩეზენა | 42 | 12 | 14 | 16 | 46-59 | 50 |
| 17. რეჯინა | 42 | 12 | 15 | 15 | 42-51 | 49 |
| 18. ლანჩანო | 42 | 9 | 21 | 12 | 50-60 | 48 |
| 19. ვიჩენცა | 42 | 10 | 12 | 20 | 41-58 | 42 |
| 20. ასკოლი | 42 | 11 | 9 | 22 | 48-67 | 41 |
| 21. პრო ვერჩელი | 42 | 8 | 9 | 25 | 37-67 | 33 |
| 22. გროსეტო | 42 | 7 | 13 | 22 | 44-67 | 28 |

**შენიშვნა:** ბარი - 7 ქულა, გროსეტო - 6, ნოვარა - 3, რეჯინა - 2, მოდენა - 2, კროტონე - 2, ასკოლი - 1, ვარეზე - 1 ქულა.

ბომბარდირები: 24 - კაჩა (ვერონა); 23 - არდემანი (მოდენა); 21 - ტავანო (ემპოლი); 20 - პაულინიო (ლივორნო), სანსოვინი (სპეცია).

## ინგლისი

### I ლიგა

პლეი ოფი. ფინალი

| | |
|---|---|
| ბრენტფორდი-იეოვილი | 1:2 |

### II ლიგა

პლეი ოფი. ფინალი

| | |
|---|---|
| ბრედფორდი-ნორთჰემპტონი | 3:0 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ვაიხი-ვიქტორია | 1:2 |
| კილი-ჰაველსე | 2:1 |
| ობერნოილანდი-ნოიმიუნსტერი | 4:2 |
| ოლდენბურგი-გოსლარერი | 4:1 |
| სტ. პაული II-რედენი | 3:5 |
| ვოლფსბურგი II-ჰანოვერი II | 1:0 |
| ჰამბურგი II-ვილჰელმსჰავენი | 2:2 |
| გოსლარერი-კლოპენბურგი | დღეს |

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბერლინერი-ტორგელოვერი | 2:0 |
| კარლ ცაისი-ლაიფციგი | 4:5 |
| ცვიკაუ-კოტბუსი II | 0:0 |
| გერმანია-მაგდებურგი | 2:2 |
| რატენოვი-აუერბახი | 3:1 |
| ნოიშტრელიცი-პლაუენი | 4:2 |
| უნიონი II-ჰერტა II | 0:1 |
| ლოკ ლაიფციგი-მოისელვიტცი | 2:2 |

### რეგიონალლიგა (დას)

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| ბოხუმი II-ვერლი | 2:2 |
| დუისბურგი II-ფორტუნა | 0:4 |
| კრაი-ლევერკუზენი II | 5:1 |
| გლადბახი II-კიოლნი II | 1:0 |
| ვიდენბრუკი-ბერგიში | 3:2 |
| შალკე II-ჰულსი | 3:3 |
| ზიგენი-ობერჰაუზენი | 0:0 |
| ლოტე-ესენი | 1:0 |
| ვიქტორია-ფორტუნა II | 2:3 |
| ვუპერტალერი-ველბერტი | 2:3 |

### რეგიონალლიგა (ს-დ)

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| ბაიერნი (ა)-აინტრახტი II | 2:4 |
| ტრირი-ეშბორნი | 1:1 |
| ელვერსბერგი-ფრანკფურტი II | 2:0 |
| კასელი-ვორმატია | 3:2 |
| ჰოფენჰაიმი II-პფულენდორფი | 1:2 |
| კაიზერი II-ჰომბურგი | 4:0 |
| კობლენცი-ობერშტაინი | 5:2 |
| ზონენჰოფი-მაინცი II | 3:1 |
| ულმი-ფრაიბურგი II | 0:3 |

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| მიუნხენი II-როზენჰაიმი | 1:0 |
| აუგსბურგი II-ფრონლახი | 5:1 |
| მემინგენი-ილერტისენი | 1:2 |
| ელტერსდორფი-ინგოლშტადტი II | 0:1 |
| ბაიერნ ჰოფი-ბუხბახი | 1:1 |
| ზელიგენპორტენი-ბაიერნი II | 0:3 |
| რაინი-ისმანინგი | 2:0 |
| ვიქტორია-ფიურტი II | 3:0 |
| ვიურცბურგერი-ბამბერგი | 0:2 |

## ჰოლანდია

### ევროპის ლიგა. პლეი ოფი

II მატჩები

| | |
|---|---|
| ტვენტე-გრონინგენი | 3:2 (1:0) |
| უტრეხტი-ჰერენვენი | 2:1 (1:0) |

### პლეი ოფი

II მატჩები

| | |
|---|---|
| ვოლენდამი-მაასტრიხტი | 3:1 (1:0) |
| სპარტა-ჰელმონდი | 1:1 (4:2) |
| ვენლო-იგლზი | 0:3 (0:1) |
| როდა-გრააფსხაპი | 6:1 (1:1) |

## ბელგია

### საჩემპიონო პლეი ოფი

X ტური

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ვარეგემი | 1:1 |
| ბრიუგე-გენკი | 1:0 |
| სტანდარდი-ლოკერენი | 4:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-11 | 49 |
| 2. ვარეგემი | 10 | 4 | 3 | 3 | 20-20 | 47 |
| 3. ბრიუგე | 10 | 6 | 1 | 3 | 21-17 | 46 |
| 4. სტანდარდი | 10 | 5 | 2 | 3 | 18-17 | 42 |
| 5. გენკი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-12 | 40 |
| 6. ლოკერენი | 10 | 1 | 2 | 7 | 15-24 | 31 |

### უეფას პლეი ოფი

ფინალი. II მატჩი

| | |
|---|---|
| გენტი-ვესტერლო | 4:1 (4:1) |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XLII ტური

| | |
|---|---|
| ნავალი-პორტუ B | 0:0 |
| ავეში-მარიტიმუ B | 0:2 |
| ბელენენსეში-ფრეამუნდე | 2:1 |
| ბენფიკა B-სტ. კლარა | 2:2 |
| ფეირენსე-ბრაგა B | 3:0 |
| ლეიქსოეში-კოვილია | 0:1 |
| პენაფიელი-სპორტინგი B | 2:1 |
| პორტიმონენსე-ატლეტიკო | 2:1 |
| ტონდელა-აროუკა | 4:2 |
| უნიაო-ტროფენსე | 5:3 |
| გიმარაეში B-ოლივეირენსე | 1:0 |

## შოტლანდია

XXXVIII ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-ჰართსი | 1:1 |
| ჰიბერნიანი-დანდი | 1:0 |
| კილმარნოკი-სტ. მირენი | 1:3 |
| დანდი იუნ-სელტიკი | 0:4 |
| როსი-ინვერნესი | 1:0 |
| სტ. ჯონსტონი-მოზერველი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 38 | 24 | 7 | 7 | 92-35 | 79 |
| 2. მოზერველი | 38 | 18 | 9 | 11 | 67-51 | 63 |
| 3. სტ. ჯონსტონი | 38 | 14 | 14 | 10 | 45-44 | 56 |
| 4. ინვერნესი | 38 | 13 | 15 | 10 | 64-60 | 54 |
| 5. როსი | 38 | 13 | 14 | 11 | 47-48 | 53 |
| 6. დანდი იუნ | 38 | 11 | 14 | 13 | 51-62 | 47 |
| 7. ჰიბერნიანი | 38 | 13 | 12 | 13 | 49-52 | 51 |
| 8. აბერდინი | 38 | 11 | 15 | 12 | 41-43 | 48 |
| 9. კილმარნოკი | 38 | 11 | 12 | 15 | 52-53 | 45 |
| 10. ჰართსი | 38 | 11 | 11 | 16 | 40-49 | 44 |
| 11. სტ. მირენი | 38 | 9 | 14 | 15 | 47-60 | 41 |
| 12. დანდი | 38 | 7 | 9 | 22 | 28-66 | 30 |

### I დივიზიონი

პლეი ოფი. II მატჩი

| | |
|---|---|
| დანფერმლაინი-ალოა | 1:0 (0:3) |

### II დივიზიონი

პლეი ოფი. II მატჩი

| | |
|---|---|
| პიტერჰედი-ისტ ფაიფი | 0:1 (0:0) |

## ავსტრია

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ვოლფსი-ადმირა | 0:0 |
| აუსტრია-ვინერი | 3:1 |
| მატერსბურგი-რაპიდი | 2:0 |
| ზალცბურგი-ტიროლი | 3:1 |
| შტურმი-რიდი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუსტრია | 34 | 24 | 7 | 3 | 80-28 | 79 |
| 2. ზალცბურგი | 34 | 21 | 10 | 3 | 86-37 | 73 |
| 3. რაპიდი | 34 | 14 | 9 | 11 | 52-39 | 51 |
| 4. შტურმი | 34 | 13 | 9 | 12 | 46-51 | 48 |
| 5. ვოლფსი | 34 | 12 | 11 | 11 | 51-51 | 47 |
| 6. რიდი | 34 | 13 | 6 | 15 | 58-54 | 45 |
| 7. მატერსბურგი | 34 | 9 | 8 | 17 | 36-62 | 35 |
| 8. ადმირა | 34 | 8 | 8 | 18 | 46-66 | 32 |
| 9. ვინერი | 34 | 7 | 9 | 18 | 27-60 | 30 |
| 10. ტიროლი | 34 | 9 | 3 | 22 | 36-70 | 30 |

## ფინეთი

### II დივიზიონი

IV ტური

| | |
|---|---|
| ოულუ-სეინაიოენი | 2:1 |
| კოტევე-კაიაანი | 1:0 |
| ვიიკინგიტი-იიპო | 1:1 |
| პკ 35-ოპს | დღეს |

## საბერძნეთი

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| პაოკ-იანინა | 0:1 |
| ასტერასი-ატრომიტოსი | 2:1 |

### II დივიზიონი

XL ტური

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი-ირაკლისი (პ) | 1:1 |
| ფოკიკოსი-ლარისა | 0:0 |
| ირაკლისი (ს)-ანაგენისი (თ) | 3:1 |
| კალონი-ანაგენისი (ე) | 3:1 |
| კავალა-პანსერაიკოსი | 0:1 |
| ნიკი ვოლუ-დოქსა | 0:0 |
| პანახაიკი-ერგოტელისი | 1:3 |
| პანაიტოლიკოსი-აპოლონი | 0:0 |
| პიერიკოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:2 |
| ვისასი-კალითეა | 2:1 |

## ირლანდია

XIV ტური

| | |
|---|---|
| სლაიგო-დანდალკი | გადაიდო |

### II დივიზიონი

XI ტური

| | |
|---|---|
| ლონგფორდი-კობ რამბლერსი | 5:1 |

## შვედეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-სირიანსკა | 1:1 |
| ჰაკენი-გეფლე | 2:2 |
| ოსტერი-აიკ | 2:3 |
| იურგორდენი-ჰალმსტადი | 1:0 |
| გიოტებორგი-კალმარი | 2:0 |
| ნორჩეპინგი-ატვიდაბერგი | 2:1 |
| ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გიოტებორგი | 9 | 6 | 2 | 1 | 14-5 | 20 |
| 2. ჰელსინგბორგ | 8 | 6 | 1 | 1 | 22-5 | 19 |
| 3. მიალბიუ | 9 | 5 | 1 | 3 | 18-12 | 16 |
| 4. ელფსბორგი | 8 | 4 | 4 | 0 | 13-7 | 16 |
| 5. მალმიო | 9 | 4 | 4 | 1 | 14-9 | 16 |
| 6. კალმარი | 9 | 3 | 4 | 2 | 9-7 | 13 |
| 7. ნორჩეპინგი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-16 | 13 |
| 8. აიკ | 9 | 3 | 3 | 3 | 14-13 | 12 |
| 9. ატვიდაბერგი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-9 | 11 |
| 10. ჰაკენი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-16 | 11 |
| 11. ბრომაპოიკარ | 9 | 2 | 3 | 4 | 11-14 | 9 |
| 12. ოსტერსი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 13. გეფლე | 9 | 2 | 2 | 5 | 10-17 | 8 |
| 14. სირიანსკა | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| 15. ჰალმსტადი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-11 | 7 |
| 16. იურგორდენ | 9 | 2 | 1 | 6 | 6-21 | 7 |

### II დივიზიონი

VII ტური

ოსტერსუნდი-ვარბერგსი 1:3; ანგელჰოლმი-დეგერფორსი 2:2; იორგრიტე-სუნდსვალი 0:0; ასირისკა-ერებრო 1:1; ვარნამო-გაის 1:2; ლიუნგსკილე-იონჩოპინგი 1:0; ჰამარბიუ-ლანდსკრონა დღეს.

## კვიპროსი

### საჩემპიონო ჯგუფი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ანორთოსისი-აპოელი | 2:1 |
| ომონია-აეკ | 3:1 |

### პლეი ოფი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| აპოლონი-აელ | 1:3 |
| ენოსისი-დოქსა | 2:4 |

### გასავარდნი ჯგუფი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი-ნეა სალამისი | 2:2 |
| ოლიმპიაკოსი-ალკი | 4:2 |

## შვეიცარია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| სერვეტი-იანგ ბოიზი | 0:1 |
| ციურიხი-ლუცერნი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 33 | 19 | 9 | 5 | 59-30 | 66 |
| 2. გრასჰოპერსი | 33 | 17 | 9 | 7 | 41-30 | 60 |
| 3. სტ. გალენი | 33 | 16 | 8 | 9 | 49-32 | 56 |
| 4. ციურიხი | 33 | 14 | 7 | 12 | 54-42 | 49 |
| 5. სიონი | 32 | 12 | 9 | 11 | 36-45 | 45 |
| 6. თუნი | 33 | 12 | 8 | 13 | 41-42 | 44 |
| 7. იანგ ბოიზი | 33 | 11 | 9 | 13 | 44-43 | 42 |
| 8. ლუცერნი | 33 | 8 | 12 | 13 | 35-46 | 36 |
| 9. ლოზანა | 33 | 6 | 9 | 18 | 25-47 | 27 |
| 10. სერვეტი | 32 | 5 | 8 | 19 | 24-51 | 23 |

### ჩელენჯლიგა

XXXIII ტური

ბილი-ბელინცონა 0:1; ლოკარნო-კიასო 1:2; ვოლენი-ვადუცი 1:3.

## უელსი

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| პორტ ტელბოტი-ბალა | 0:1 |

## ბულგარეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ბოტევი (ვ)-ბოტევი (პ) | 5:0 |
| ჩერნო მორე-ლოკომოტივი (პ) | 3:0 |
| მონტანა-მინიორი | 2:0 |
| სლავია-ეტარი | 3:0 |
| ჩერნომორეცი-ლოკომოტივი (ს) | 3:1 |
| ლევსკი-ლუდოგორეცი | 1:0 |
| ბეროე-ცსკა | 0:1 |
| პირინი-ლიტექსი | 0:2 |

## ხორვატია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-ინტერი | 1:0 |
| სპლიტი-ისტრა | 0:1 |
| სლავენი-ზაგრები | 0:3 |
| რიეკა-ზადარი | 2:3 |

## უნგრეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ფერენცვაროში-მტკ | 2:0 |
| შიოფოკი-პეჩი | 1:0 |
| ეგერი-უიპეშტი | 1:2 |
| ვიდეოტონი-კაპოშვარი | 2:1 |
| დიოშდიორი-კეჩკემეტი | 2:1 |
| პონვედი-დიორი | 2:0 |

## ისრაელი

### საჩემპიონო ზონა

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ირონი (რ-შ)-ირონი (ქ-შ) | 0:1 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (თ-ა) | 3:2 |
| მაკაბი (თ-ა)-ბნეი იეჰუდა | დღეს |

## ლატვია

VIII ტური

| | |
|---|---|
| მეტა-დაუგავა | 1:2 |

## ჩერნოგორია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-ლოვჩენი | 1:2 შეწყდა |
| ჩელიკი-სუტიესკა | 1:0 |
| გრბალი-იედინსტვო | 4:1 |
| მლადოსტი-პეტროვაცი | 1:1 |
| მოგრენი-ზეტა | 1:4 |
| რუდარი-მორნარი | 3:1 |

## პოლონეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ლეგია-ლეხი | 1:0 |
| პოდბესკიძე-პიასტი | 1:2 |
| გურნიკი-პოლონია | 0:4 |
| ბელხატოვი-ზაგლებე | 3:2 |
| კორონა-იაგელონია | 5:0 |
| ვიძევი-ლეჩია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 27 | 19 | 5 | 3 | 53-21 | 62 |
| 2. ლეხი | 27 | 18 | 3 | 6 | 43-19 | 57 |
| 3. პიასტი | 27 | 13 | 5 | 9 | 37-36 | 44 |
| 4. შლიონსკი | 27 | 12 | 7 | 8 | 40-36 | 43 |
| 5. პოლონია | 27 | 11 | 7 | 9 | 43-30 | 40 |
| 6. გურნიკი | 27 | 11 | 7 | 9 | 33-29 | 40 |
| 7. ვისლა | 27 | 9 | 7 | 11 | 26-33 | 34 |
| 8. კორონა | 27 | 9 | 7 | 11 | 31-34 | 34 |
| 9. ზაგლებე | 27 | 10 | 6 | 11 | 37-34 | 33 |
| 10. იაგელონია | 27 | 7 | 12 | 8 | 29-41 | 33 |
| 11. ლეჩია | 26 | 8 | 7 | 11 | 36-39 | 31 |
| 12. ვიძევი | 26 | 8 | 7 | 11 | 27-36 | 31 |
| 13. რუხი | 27 | 8 | 5 | 14 | 34-46 | 29 |
| 14. პოგონი | 27 | 8 | 5 | 14 | 24-36 | 29 |
| 15. ბელხატოვი | 27 | 6 | 8 | 13 | 19-34 | 26 |
| 16. პოდბესკიძე | 27 | 5 | 8 | 14 | 33-41 | 23 |

## თურქეთი

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| კონია-ბუკა | 0:1 |
| ადანა-მანისა | 0:2 |

## ბელარუსი

IX ტური

| | |
|---|---|
| დნეპრი-ბრესტი | 0:0 |
| ნაფტანი-მინსკი | 1:1 |

## ბოსნია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-ტრავნიკი | 2:2 |
| ჩელიკი-გრადინა | 2:1 |
| ზვიეზდა-შიროკი ბრიეგი | 2:1 |
| რადნიკი-ოლიმპიკი | 0:0 |
| რუდარი-გაბელა | 1:1 |
| სლავია-ველეჟი | 2:0 |
| ჟელეზნიჩარი-ლეოტარი | 4:0 |
| ზრინსკი-სარაევო | 2:2 |

## რუმინეთი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| პანდური-ბრაშოვი | 2:3 |
| პეტროლული-ასტრა | 1:1 |
| ვასლუი-დინამო | 4:1 |
| სტიაუა-კონსტანცა | 2:5 |
| გლორია-ტურნუ | დღეს |
| რაპიდი-უნივერსიტატეა | დღეს |
| იაში-გაზ მეთანი | დღეს |

## რუსეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-ყუბანი | 0:0 |
| მორდოვია-ტერეკი | 1:1 |
| კრასნოდარი-სპარტაკი | 0:1 |
| ალანია-დინამო | 1:0 |
| კრ. სოვეტოვი-რუბინი | 3:1 |
| ზენიტი-ვოლგა | 3:1 |
| ანჟი-ლოკომოტივი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 29 | 20 | 4 | 5 | 49-22 | 64 |
| 2. ზენიტი | 29 | 18 | 7 | 4 | 53-25 | 61 |
| 3. ანჟი | 28 | 14 | 8 | 6 | 43-32 | 50 |
| 4. სპარტაკი | 29 | 14 | 6 | 9 | 49-39 | 48 |
| 5. ყუბანი | 29 | 13 | 9 | 7 | 47-28 | 48 |
| 6. რუბინი | 29 | 14 | 5 | 10 | 37-27 | 47 |
| 7. დინამო | 29 | 14 | 5 | 10 | 41-34 | 47 |
| 8. ტერეკი | 29 | 13 | 6 | 10 | 34-39 | 45 |
| 9. კრასნოდარი | 29 | 12 | 6 | 11 | 45-37 | 42 |
| 10. ლოკომოტივი | 28 | 11 | 7 | 10 | 36-33 | 40 |
| 11. ამკარი | 29 | 7 | 7 | 15 | 34-51 | 28 |
| 12. ვოლგა | 29 | 7 | 7 | 15 | 28-46 | 28 |
| 13. კრილია | 29 | 7 | 7 | 15 | 30-48 | 28 |
| 14. როსტოვი | 29 | 6 | 8 | 15 | 27-41 | 26 |
| 15. მორდოვია | 29 | 5 | 5 | 19 | 29-55 | 20 |
| 16. ალანია | 29 | 4 | 7 | 18 | 26-51 | 19 |

## სერბეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| სლობოდა-რადნიჩკი 1923 | 0:2 |
| ჰაიდუკი-რადი | 2:0 |
| იაგოდინა-სპარტაკი | 1:1 |
| იავორი-ნოვი პაზარი | 3:2 |
| ოფკ-სმედერევო | 4:3 |
| ვოივოდინა-რადნიჩკი | 3:2 |
| პარტიზანი-ცრვენა ზვეზდა | 1:0 |

## სლოვაკეთი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ჟილინა | 1:2 |
| მიავა-ტრენჩინი | 0:2 |
| ნიტრა-ტრნავა | 3:3 |
| რუჟომბეროკი-შენიცა | 3:1 |
| პრეშოვი-კოშიცე | 0:0 |
| მორავცე-სლოვანი | 1:0 |

## სლოვენია

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| მურა-კოპერი | 3:0 |
| გორიცა-ტრიგლავი | 0:0 |
| მარიბორი-პუბლიკუმი | 5:1 |
| ოლიმპია-ალუმინი | 2:0 |
| რუდარი-დომჟალე | 0:1 |

## არგენტინა

XIV ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-რასინგი | 1:0 |
| ატ. რაფაელა-ესტუდიანტესი | 0:2 |
| გოდოი-ველესი | 3:1 |
| კილმესი-ნიუელსი | 1:1 |
| ბოკა ხუნიორსი-კოლონი | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-სან მარტინი | 3:1 |
| სანტა ფე-რივერ პლეიტი | 2:2 |
| ოლ ბოისი-ს ლორენსო | გვ. დასრულდა |
| არგ. ხუნიორსი-ბელგრანო | დღეს |
| ტიგრე-ლანუსი | დღეს |

## ბრაზილია

### პაულისტა

ფინალი. II მატჩი

| | |
|---|---|
| სანტოსი-კორინთიანსი | 1:1 (1:2) |

## პერუ

XVI ტური

| | |
|---|---|
| ალიანსა ლიმა-კახამარკა | 1:0 |
| სპორტი-რეალი | 1:1 |
| ხოსე გალვესი-კომერსიო | 4:1 |
| სან მარტინი-სპ. კრისტალი | 0:3 |
| ლეონი-ინტი გასი | 0:0 |
| სესიანო-მელგარი | 0:0 |
| ს. ვალიეხო-უნივერსიტ. | გვ. დასრულდა |
| ხუან აურიჩი-პასიფიკო | გვ. დასრულდა |

## უკრაინა

XXIX ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-ვორსკლა | 2:1 |
| გოვერლა-ვოლინი | 1:1 |
| კრივბასი-კარპატი | 3:2 |
| მეტალურგი (ზ)-შახტარი | 3:3 |
| ილიჩივეცი-ზორია | 1:2 |
| მეტალურგი (დ)-ჩერნომორეცი | 2:0 |
| მეტალისტი-დნიპრო | 2:1 |
| ტავრია-დინამო | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 29 | 24 | 4 | 1 | 78-18 | 76 |
| 2. მეტალისტი | 29 | 20 | 5 | 4 | 58-24 | 65 |
| 3. დინამო | 29 | 19 | 2 | 8 | 52-23 | 59 |
| 4. დნიპრო | 29 | 15 | 8 | 6 | 47-27 | 53 |
| 5. მეტალურ (დ) | 29 | 14 | 7 | 8 | 45-31 | 49 |
| 6. კრივბასი | 29 | 12 | 7 | 10 | 36-38 | 43 |
| 7. ჩერნომორეცი | 29 | 12 | 6 | 11 | 32-36 | 42 |
| 8. ილიჩივეცი | 29 | 10 | 8 | 11 | 30-25 | 38 |
| 9. არსენალი | 29 | 10 | 8 | 11 | 34-41 | 38 |
| 10. ტავრია | 29 | 10 | 5 | 14 | 27-43 | 35 |
| 11. ზორია | 29 | 9 | 7 | 13 | 29-43 | 34 |
| 12. ვორსკლა | 29 | 7 | 7 | 15 | 28-36 | 28 |
| 13. კარპატი | 29 | 7 | 5 | 17 | 36-51 | 26 |
| 14. ვოლინი | 29 | 6 | 8 | 15 | 23-45 | 26 |
| 15. გოვერლა | 29 | 5 | 7 | 17 | 29-54 | 22 |
| 16. მეტალურ (ზ) | 29 | 1 | 8 | 20 | 12-61 | 11 |

## ჩილე

XVI ტური

| | |
|---|---|
| აუდაქსი-ევერტონი | 1:3 |
| პალესტინო-უნ. ესპანიოლა | 1:2 |
| ლა კალერა-კობრელოა | 1:2 |
| ანტოფაგასტა-სან მარკოსი | 3:1 |
| კოლო კოლო-კობრესალი | 2:0 |
| ს. უონდერერსი-ნუბლენსე | 3:1 |
| უნ. კატოლიკა-უნ. ჩილე | 3:0 |
| დეპ. იკიკე-ო'ჰიგინსი | 2:1 |
| რეინჯერსი-უაჩიპატო | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ენვიგადო-დეპ. კინდიო | 0:1 |
| დეპ. კუკუტა-ატ. უილა | 1:1 |
| ლა ეკვიდადი-დეპ. კალი | 1:1 |
| ჩიკო-ატ. ნასიონალი | 2:3 |
| მილიონარიოსი-ხუნიორი | 3:0 |
| დეპ. ტოლიმა-ა. პეტროლერა | 2:1 |
| მედელინი-პატრიოტასი | 2:1 |
| ონსე კალდასი-იტაგუი | გვ. დასრულდა |
| დეპ. პასტო-სანტა ფე | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ლიგა დე ლოხა-დეპ. კუენკა | 1:3 |
| ინდეპენდიენტე-უნ. კატოლიკა | 1:0 |
| დეპ. კიტო-დეპ. მაკარა | 0:0 |
| მანტა-ლდუ დე კიტო | 1:1 |
| დეპ. კევედო-ელ ნასიონალი | 1:1 |
| ბარსელონა-ემელეკი | გვ. დასრულდა |

## პარაგვაი

XIV ტური

| | |
|---|---|
| პრეზიდენტე-სერო პორტენიო | 1:3 |
| დეპ. კაპიატა-რუბიო ნუ | 3:4 |
| ლუკენიო-ხენერალ დიასი | 0:0 |
| ლიბერტადი-ნასიონალი | 0:1 |
| დეპ. კარაპეგუა-სოლ დე ამერიკა | 1:1 |
| ოლიმპია-გუარანი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ამერიკა-მონტერეი | 2:1 |
| კრუს ასული-სანტოსი | გვ. დასრულდა |

## აშშ

XIII ტური

| | |
|---|---|
| ტორონტო-კოლამბუსი | 0:1 |
| ვანკუვერი-პორტლენდი | 2:2 |
| ფილადელფია-ჩიკაგო | 1:0 |
| ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი | 0:2 |
| სან ხოსე-კოლორადო | 1:1 |
| სიეტლი-დალასი | 4:2 |
| ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი | 1:0 |
| დი სი იუნაიტ-კანზასი | გვ. დასრულდა |
| ჩივასი-სოლტ ლეიკი | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XII ტური

| | |
|---|---|
| კაშიმა-ნაგოია | 3:1 |
| ნიიგატა-ოიტა | 2:3 |
| ივატა-კავასაკი | 2:4 |
| ჰიროშიმა-კოფუ | 5:1 |
| კაშივა-სერეზო | 1:3 |
| იოკოჰამა-ვეგალტა | 0:0 |
| ომია-შონანი | 2:1 |
| ურავა-ტოსუ | 6:2 |
| ტოკიო-შიმიცუ | 2:0 |

## კორეა

XII ტური

| | |
|---|---|
| პოჰანგი-ულსანი | 1:2 |
| სუვონი-ჯეჯუ | 1:2 |
| ინჩონი-განგვონი | 1:0 |
| დაეგუ-დაეჯეონი | 1:1 |
| სეონგნამი-გიეონგნამი | 2:0 |

● ნაცუ ბაშო 12-26 მაისი

# ანტირეკორდი

აქამდე 25 წლის **ლევან გორგაძისთვის** ბაშოს სტარტზე 6 მარცხი იყო ანტირეკორდი. სამწუხაროდ, ქართველმა სუმოისტმა, რომელიც პროფესიონალებში **ტოჩინოშინის** საბრძოლო სახელით გამოდის, ანტირეკორდი 8-მდე გაზარდა. 0-8 ასეთია მე-2 მაეგაშირას ბალანსი და მან უკვე „დაიბევა" უკუსვლა რეიტინგში. შაბათ-კვირას მან ორ ოძეკისთან წააგო: **კაკურიუსთან** და **კოტოშოგიკუსთან**.

გაცილებით კარგად ასპარეზობს **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, მას 5-3 ბალანსი აქვს და დადებითის დაბევებამდე დარჩენილ 7 ორთაბრძოლაში 3 მოგებაც ჰყოფნის. შაბათს ჩვენებურმა **აზუმარიუს** მოუგო, მაგრამ კვირას **კიოკუშუჰოსთან** დამარცხდა.

ზაფხულის ბაშოს ისევ სამი დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს, მონღოლი დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და ორი ჩემპიონი, **კაკურიუ** და **კისენოსატო**.

### VII დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტაკარაფუჯი (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-აოიამა (უვატედაშინაგე), კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი (იორიკირი), ოკინოუმი-კოტოოშუ (იორიკირი), კისენოსატო-ბარუტო (იორიტაოში), კაკურიუ-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), **გაგამარუ**-აზუმარიუ (ოშიდაში).

### VIII დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა (ოშიტაოში), ჰაკუჰო-არანი (იორიტაოში), კოტოოშუ-ტოჩიოძანი (იორიკირი), კისენოსატო-გოეიდო (ოშიდაში), კაკურიუ-ოკინოუმი (უვატედაშინაგე), კოტოშოგიკუ-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), კიოკუშუჰო-**გაგამარუ** (შიტატენაგე).

### სატურნირო მდგომარეობა

8-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი), კაკურიუ (ოძეკი)... 5-3: **გაგამარუ** (მაეგაშირა 11)... 0-8: **ტოჩინოშინი** (მ 2).

### IX დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-აოიამა, ჰარუმაფუჯი-გოეიდო, კისენოსატო-ტოიონოშიმა, კაკურიუ-კოტოშოგიკუ, **ტოჩინოშინი**-ტაკარაფუჯი, **გაგამარუ**-კაისეი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის თასი ჭაბუკებში



# ქართველებს გოგო გვეზრდება

## ჯანაშვილის მორიგი წარმატება

პოლონურ ბიელსკო ბიალაში დასრულებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასზე საქართველოს დელეგაციის მონაგარი თითო-თითო ოქრო-ვერცხლია. აქედან ოქრო ბიჭების გუნდზე მოდის, რომელსაც **ჯაბა მუმლაძე** (+90) დაეუფლა, ვერცხლი კი გოგოებში **მარიამ ჯანაშვილმა** (52) მოიპოვა. ტურნირში ორივე გუნდი არასრული შემადგენლობით გამოდიოდა, თუმცა გოგოების ნაკრებისთვის ეს ერთი მედალიც თუ წარმატებაა, ბიჭებზე ამას ვერ ვიტყვით - მათგან ბევრად მეტს ველოდით იმის მიუხედავად, რომ მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი ცირეკიძემ** ლიდერთა უმეტესობა დაასვენა.

ჯანაშვილმა ფინალამდე ხუთი პაექრობა მოიგო იპონით - ებრაელ **დარ ავისართან**, ფრანგ **გვენელ პატინთან**, ჰოლანდიელ **ლარისა ვან კრეველთან**, უნგრელ **დარია იურინასთან** და ნახევარფინალში რუს **ელიზავეტა სტეპანოვასთან**. ცხადია, ასეთი სტატისტიკა მისი სიძლიერის მაჩვენებელია და უთუოდ სასიამოვნოა, რომ, როგორც იქნა, გვყავს ძიუდოისტი გოგო, რომელიც ამდენ ილეთს აკეთებს. საყურადღებოა, რომ მას არც ერთი ქულა არ დაუკარგავს, ხოლო ჰოლანდიელს იპონამდე ვაზარიც აართვა. თავის ასაკში ჯანაშვილს გარკვეული წარმატებები უკვე მოეპოვება და, იმედია, ასეთი სტატისტიკა მალე ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზეც აისახება. მართალია, ამჯერად, ის ფინალში წმინდად დამარცხდა ფრანგ **ასტრიდე ჟენოსთან**, მაგრამ ილეთი არ გაუშვია, მეტოქემ ოთხი გაფრთხილება მიაღებინა (თვითონ ორი გაფრთხილება მიითვალა). ამის მიუხედავად, პოლონეთში მისი გამოსვლა მაინც დადებითად მიგვაჩნია.

ამავე წონაში **გურანდა შოთაძეც** ჭიდაობდა და ერთი შეხვედრაც მოიგო - უნგრელი **ნიკოლ ნაგი-ივანი** იპონით დაამარცხა, მაგრამ მერვედფინალში აზერბაიჯანელ **ნაზაკატ ხალილისთან** წააგო და გავარდა. ასევე ერთი მოგებით დაასრულა გამოსვლა **მზია ბებოშვილმა** (48) - ბელარუს **ვალერია პალოუკინას** სუფთად აჯობა, მაგრამ იქვე რუს **დანა ნაგუჩევასთან** წააგო და ვერც დამამშვიდებელში გადავიდა. ზუსტად ასეთივე შედეგით - თითო მოგება-წაგებით დაასრულა ტურნირში გამოსვლა მარიამ ჯანაშვილის უმცროსმა დამ, **ხატია ჯანაშვილმა** - შოთაძისა და ბებოშვილის დარად, პირველ წრეში ისიც ისვენებდა, მეორეში იმანაც წმინდად მოუგო ბელგიელ **მარინე ფალმაგეს**, მაგრამ ისიც მერვედფინალში დამარცხდა ჩეხ **საბინა მერკლოვასთან** ანუ სანუგეშომდე მასაც ერთი მოგება დააკლდა.

ბიჭებში ის ერთადერთი მედალიც ტურნირის სულ ბოლო პაექრობაში მოვიპოვეთ. მუმლაძემ პირველ წრეში საკმაოდ რთული ბრძოლა მოიგო - უნგრელ **აკოშ იოოს** მხოლოდ იუკოთი აჯობა. სამაგიეროდ, მერე აიწყვიტა და მეთოდურად უმატებდა ქულებს - ბელარუს **ალეჰ ჰრუნტოუს** ვაზარით მოუგო, რუს **ალექსანდრ გოკოევსა** და გერმანელ **ლუკაშ როლვაგეს** - იპონებით, ფინალში კი ისევ რუს **ტამერლან ბაშაევს** დააყრევინა ფარ-ხმალი კვლავაც იპონით, თუმცა მანამდე ორ იუკოს აგებდა.

ჩვენი გუნდის სხვა მონაწილეებიდან ყველაზე უკეთ **რობიზონ ბეგლარიშვილი** (50), **გიორგი გველესიანი** და **დავით რამაზაშვილი** (ორივე - 90) გამოვიდნენ - დამამშვიდებლის ფინალამდე მიაღწიეს, მაგრამ წააგეს და მეხუთე ადგილებზე დარჩნენ. ამათგან რამაზაშვილი ძირითად ბადეში მომავალ ჩემპიონთან, რუს **კარლენ პალიანთან** დამარცხდა, გველესიანი - ლატვიელთა მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, **როკას ნენარტავიჩიუსთან**. ძირითად ბადეში ბეგლარიშვილი ამათზე შორს წავიდა - ორი წმინდად და ერთიც ქულებით მოგებით ნახევარფინალში გავიდა, იქ კი აზერბაიჯანელთა მომავალ ჩემპიონ **ნატიკ გურბანლისთან** ვერაფერს გახდა. სხვათა შორის, წინა წრეში გურბანლიმ **ირაკლი კუპატაძეც** დაგვიმარცხა, რომელიც მანამდე საკმაოდ დამაჯერებლად მიდიოდა. დამამშვიდებლის ფინალში ბეგლარიშვილმა ვერც უკრაინელ **არტემ მარტიროსიანთან** გააწყო რამე, კუპატაძე კი რუს **სამველ ბაბინიანთან** დამარცხდა და მეშვიდეზე დარჩა, ვისაც ბეგლარიშვილმა მეოთხედფინალში დამაჯერებლად აჯობა. მეშვიდეზე გავიდა **თორნიკე ნაგლიაშვილიც** (50), ხოლო **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (50), **ერეკლე არხოზაშვილი** (55), **ზურაბ ლომიძე** (73) და **ბაქარ კუხიანიძე** (+90) ადრევე გავარდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# მართვეს ოქროს კამარა

1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს პირველობაში 12 გუნდი მონაწილეობდა. სამი წრის შემდეგ შეირჩა რვა საუკეთესო, რომლებიც ასპარეზობის ორგანიზატორებმა ორ ჯგუფში გაანაწილეს, სადაც საუკეთესოების გამოსავლენად წრიული შეხვედრები გაიმართა:

**I ტური.** „მორკინალი“ - „ფოთი“ 3:23, სტუ - „კორიდა“ 9:4, „მართვე“ - „ბათუმი“ 26:5.

**II ტური.** „ფოთი“ - „ოლიმპი“ 24:6, „ყვარელი“ - „მორკინალი“ 22:7, „კორიდა“ - „მართვე“ 8:14.

**III ტური.** სტუ - „ბათუმი“ 20:15, „ოლიმპი“ - „მორკინალი“ 8:13, „ფოთი“ - „ყვარელი“ 15:12.

**IV ტური.** „კორიდა“ - „ბათუმი“ 12:13, „მართვე“ - სტუ 15:13, „ყვარელი“ - „ოლიმპი“ 17:6.

ჯგუფური ასპარეზობის შემდეგ პირველ-მერვე ადგილების მფლობელები პლეი ოფმა გამოავლინა: ოქროს მედლებისთვის პაექრობაში „მართვემ“ დაძაბული შეხვედრა მოუგო „ფოთს“ 25:24. ვერცხლის მედლები ზღვისპირელებს ერგოთ. მესამე ადგილზე გავიდა „ყვარელი“, რომელმაც სტუ-ს სძლია 15:9.

**V ადგილი.** „მორკინალი“ - „კორიდა“ 21:1.

**VII ადგილი.** „ოლიმპი“ - „კორიდა“ 21:11.

გამარჯვებული და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და თასებით დაჯილდოვნენ.

**ვაჟა დანელია**



ჩემპიონი „მართვე“

ველოსპორტი

# სამი მედალი და კარგი პერსპექტივა

ერევანში გაიმართა სომხეთის ღია პირველობა საგზატკეცილო ველოსპორტში სამ ასაკობრივ ჯგუფში. საქართველოდან მხოლოდ იუნიორები და კადეტები (1997-98 წ.წ. დაბადებულნი) ჩაებნენ ასპარეზობაში.

ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **ომარ ფხაკაძე**, რომელსაც მეზობელი ქვეყნიდან დაბრუნებისთანავე გავესაუბრეთ.

– იუნიორებიდან სამი სპორტსმენი გვყავდა წაყვანილი, კადეტებიდან კი სომხეთში რვა ჩვენიანი ასპარეზობდა. მაგრამ ამ რვიდან ხუთნი 1999-2000 წლებში დაბადებულნი იყვნენ, რომლებიც „თბილისი-2015“-სთვის ემზადებიან. – ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი. – შეჯიბრება საკმაოდ რთული და, ამდენად, საინტერესო გამოდგა. ჩვენმა დიმიტრი ხოსიაურმა იუნიორების ინდივიდუალურ რბოლაში მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ჯგუფურ რბოლაში ყველას აჯობა.

კადეტებიდან ათეულში ყველა შევიდა, თუმცა საპრიზო ადგილზე კრიტერიუმში ამ ასაკობრივი ჯგუფის ლიდერმა გიორგი პეტრინმა იმარჯვა. იგი 1999 წელსაა დაბადებული და ორი წლით უფროსებთან ჭიდილში მესამე ადგილის დაკავება ძალიან კარგი შედეგია.

**– ასე რომ, ბოლო ტურნირებიდან უმედლოდ არ ბრუნდებით...**

– ეს სპორტსმენებთან ერთად მწვრთნელების დიდი დამსახურებაცაა, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა მაღალ შედეგებს მიაღწიონ. სომხეთში ისიც იყო თვალსაჩინო, რომ ჩვენს ბიჭებში გუნდური სულისკვეთება იგრძნობოდა, რაც თავისთავად მწვრთნელების დამსახურებაა. ბიჭები სწავლობენ ერთმანეთის დახმარებას, მხარში დგომას. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ნელ-ნელა ყალიბდება სპორტული კულტურა.

**– მწვრთნელები ვინ არიან?**

– იუნიორთა ნაკრების მწვრთნელია კობა აბაიშვილი, კადეტებისა – ანატოლი სტაშევსკი.

**– ამ შეჯიბრებამდე ჟენევაში ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ასამბლეაზე იყავით მიწვეული. ორი სიტყვით ამ ფორუმზეც გვითხარით.**

– ორმოცზე მეტი ფედერაციის წარმომადგენელი შევიკრიბეთ. ორდღიანი სემინარები გვქონდა. ოთხი საკითხი განვიხილეთ: მენეჯმენტი ველოსპორტში, პრესასთან ურთიერთობა, მასობრიობის განვითარება და სპონსორების მოძიება. მთავარი ის არის, რომ, კარგი ურთიერთობები დავამყარე როგორც საერთაშორისო ფედერაციის მესვეურებთან, ისე ცალკეულ ქვეყნებთან. არის დაპირებები დახმარებაზე, ინვენტარსაც შეგვპირდნენ. უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულებში საქართველოს არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია საერთაშორისო ფედერაციებთან, რამაც საგრძნობლად ჩამოგვაქვეითა. როცა ურთიერთობა არა გაქვს, ბუნებრივია, ყურადღებაც თითქმის არ გექნება. ახლა თავიდან ვცდილობ ამ ურთიერთობების აღდგენას. თითქმის ყოველდღიური კონტაქტი თუ არ გექნა საერთაშორისო ფედერაციებთან, ძალიან გაგიჭირდება წინსვლა. ჩვენისთანა ფედერაციისთვის ძალიან სასარგებლოა მოწინავე ქვეყნებთან ურთიერთობა, მათგან უნდა ვისწავლოთ ის, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებებს.

**– ახლო მომავალში რა შეჯიბრებები გელით?**

– 26-29 მაისს მოსკოვში ლესნიკოვის მემორიალი ტარდება, სადაც იასპარეზებენ მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები გერმანიიდან საფრანგეთიდან, ინგლისიდან... ჩვენგან მხოლოდ სატრეკო ველოსპორტის ლიდერი დავით ასკურავა გაემგზავრება. გარდა ამისა, ზაფხულში რამდენიმე ტურნირი გველოდება. მოგეხსენებათ, გამოცდილების მისაღებად და სპორტული დონის ასაწევად აუცილებელია მაღალი რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობა. ჩვენც ყოველნაირად ვეცდებით, სამივე დისციპლინის მიმდევრებს მივაღებინოთ მონაწილეობა ასეთი დონის ტურნირებში. ყოველი წარმომადგენლობითი ტურნირი თითო ნაბიჯით წინ გწევს და გვინდა მომავალი წლისთვის უფრო დახვეწილი და ძლიერი გუნდი გვყავდეს. რაც მთავარია, მონდომება არის როგორც სპორტსმენთა, ისე მწვრნელთა მხრიდან.

**დავით ქელიძე**




დავით ასკურავა

თარიღები და მოვლენები

**20-21-22 მაისი**

**20.05.1974 წ.** საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში უკანასკნელი 49-ე მატჩი ჩაატარა **რევაზ ძოძუაშვილმა**.

**20.05.1980 წ.** სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში **ვიტალი დარასელია** და **რამაზ შენგელია** გახდნენ ევროპის ჩემპიონები იუნიორთა შორის.

**20.05.2006.** საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი, თბილისის **„ავიამშენმა“** მოიგო, რომელმაც ტურნირის ფინალურ სერიაში, რუსთავის **„აზოტი“** დაამარცხა (სერიაში 3:2).

**20.05. 2007.** საქართველოს ჩემპიონატი საფეხბურთო კლუბმა, რუსთავის **„ოლიმპმა“** მოიგო. ბოლო ტურის მატჩში, რუსთაველებმა ქუთაისში ადგილობრივი **„ტორპედო“** დაამარცხეს (3:2).

**20.05.2007.** ბუქარესტში ჩატარებულ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასის გათამაშებაზე, **საბა გავაშელიშვილმა** (81 კგ), **გიორგი ბაინდურაშვილმა** (81 კგ) და **ირაკლი ცირეკიძემ** (90 კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

**21.05.2005.** როტერდამში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე, **გრიგოლ მამრიკიშვილმა** (81 კგ) ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

**21.05.2011.** ქუთაისში გამართულ ევროპის ჩემპიონატში სწრაფ ჭადრაკში **სალომე მელიამ** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**22.05.1940.** დაიბადა **ვალერი ლომაძე** — კალათბურთი

**22.05.1990 წ.** დაფუძნდა საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.

**22.05.2011. წყალბურთი.** საქართველოს ჩემპიონი **„ლიგამუსი“** გახდა, რომელმაც ფინალური სერიის ორი შეხვედრა მოუგო „თბილისს“.

**22.05.2011. სუმო. ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**) მაისის ბაშოზე ვიცე-ჩემპიონობა და „მებრძოლი სულის“ პრიზი დაიმსახურა.

ქართველი იტალიაში

# ვიქტორის 23-ე დუბლი

## ...და 2:3



შაბათს იტალიის ჩემპიონატში ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკიმ" მეოთხედფინალური სერიის მეხუთე მატჩი ჩაატარა. სიენელებმა სტუმრად „მილანთან" ითამაშეს და 67:82 დამარცხდნენ.

ერთადერთი მონტეპასკელი, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 10-ს გადააჭარბა ვიქტორი იყო - 17. მას 11 მარტის შემდეგ ქულათა გრაფაში ორნიშნა რიცხვი დაფიქსირებული არ ჰქონდა, „მილანთან" კი 9 ქულასაც გადააჭარბა და 9 მოხსნასაც და ორმაგი დუბლი გაიფორმა - 12 ქულა, 10 მოხსნა. ეს გახლდათ სანიკიძის 23-ე დაბლ-დაბლი იტალიის ჩემპიონატში. მას მიმდინარე სეზონში მსგავსი მაჩვენებელი მხოლოდ ერთხელ ჰქონდა - „მონტეგრანაროსთან" 13 ქულა, 12 მოხსნა მოაგროვა. ყველაზე მეტი, 14 დუბლი სანიკიძემ 2011-12 წლების სეზონში ჩაიწერა.

დავუბრუნდეთ შაბათის შეხვედრას: ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 25 წუთში 2-2 ორქულიანი-სამიანი-საჯარიმოა. ამისთვის 6 ორიანის, 4 სამიანისა და 2 თავისუფალი ტყორცნის შესრულებამ მოუწია. გამოცემა OKsiena-ში ვიქტორის თამაში სტუმართაგან ყველაზე მაღალი, 7 ბალითაა შეფასებული. იქვე ვკითხულობთ: „სანიკიძე საუკეთესო სიენელი იყო. ქართველის გარჯა საშინელი დღის ერთადერთი ნათელი წერტილი გამოდგა."

მეოთხედფინალური სერია 4 მოგებამდეა. მომდევნო შეხვედრა სიენაში 20 მაისს გაიმართება, ხოლო თუ სანიკიძის გუნდი დღეს მოიგებს, გადამწყვეტი, მეშვიდე მატჩის სათამაშოდ 22 მაისს მილანში ჩავა. ვნახოთ, შეძლებს თუ არა „მონტეპასკი" 2:3 ჩამორჩენის 4:3-ად ქცევას.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# ანა – სტრასბურგში, ოქსანა – ბრიუსელში

ბელგიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 690.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა,** რომელმაც პირველ წრეში ამერიკელი ჯილ კრეიბასი კი დაამარცხა (6:2, 6:4), მაგრამ მეორეში პორტუგალიელ მარია ჟოაო კოელერს დანებდა - 1:6, 3:6. წყვილებში კალაშნიკოვა ლატვიელ ლიგა დეკმეირთან ერთად ჰუკო აოიამას (იაპონია) და თამარუნ თანასუკარნის (ტაილანდი) ტანდემს დაუპირისპირდება.

სტრასბურგის ტურნირზე (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) იმყოფება **ანა ტატიშვილი.** იგი ძირითად ბადეშია დაშვებული. სტარტზე „უაილდ ქარდით" მიწვეულ კაროლინ გარსიასთან (საფრანგეთი) გაარკვევს ურთიერთობას. ამ ეტაპის გადალახვისთვის 30 ქულას დაიმსახურებს. ტურნირზე პირველ ნომრადაა განთესილი მასპინძელი მარიო ბარტოლი. წყვილებში ტატიშვილი ვესნა დოლონჩს (სერბეთი) შეუამხანაგდა. ასპარეზობის სტარტზე ისინი გარა ბლექსა (ზიმბაბვე) და მარინა ერაკოვიჩს (ახალი ზელანდია) შეხვდებიან.

ვაჟა დანელია

ქართველი თურქეთში



# ცხრიანის ცხრიანი

## აცილებული სენსაცია

თურქეთის ჩემპიონატში მეოთხედფინალური ეტაპი დაიწყო. **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ" შაბათს „თოფაზთან" ითამაშა. ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაციების ძიებისას თვალში მომხვდა სათაური - „სენსაციებით აღსავსე მეოთხედფინალი". „გალათასარაი" „თოფაზთან" ფავორიტი იყო... თუმცა საბედნიეროდ, სენსაციები სხვა მატჩებში დაფიქსირდა, მარკოიშვილის თანაგუნდლებმა კი თოფაზელები, როგორც მოსალოდნელი იყო, მშვიდად დაამარცხეს - 92:64.

ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში „გალას" კონკურენტებმა „ფენერბაჰჩემ" და „ეფესმა" საშინაო შეხვედრები სენსაციურად დათმეს. პირველმა „კარშიაკასთან", მეორემ - „ტედ კოლეჯთან". მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ „ფენერმა" და „ეფესმა" ნახევარფინალში ვერ გააღწიონ, მაგრამ ყურადსაღებია, რომ სერია სულ ორ მოგებამდეა... რაც შეეხება „გალათასარაის", 21 მაისს „თოფაზთან" სტუმრად გასამართ მატჩში შეუძლია ნახევარფინალის საგზურის განაღდება.

არაფერი გვითქვამს მანუჩარ მარკოიშვილზე, რომელმაც 18 წუთში სწორედ იმდენი ქულა ჩააგდო, რა ნომერიც ზურგზე აწერია - 9. მანუს ორქულიანი არ უსვრია, ორი სამქულიანი კი 100 პროცენტის სიზუსტით სტყორცნა, რასაც 4-დან 3 საჯარიმო მიამატა. 9 ქულის გარდა მის ანგარიშზე თითო მოხსნა-პასი-ჩაჭრა იყო. მატჩის ბომბარდირი „გალას" პუერტორიკოელი გამთამაშებელი **კარლოს აროიო** გახდა - 21 ქულა.

ვაჟა სიმონიშვილი

# შვილიშვილმა ბაბუას სახელობის თასი მოიპოვა



გურამ თოხაძე აჯილდოებს სანდრო მეფარიძეს და ესთერ სარქისიანს

ნახევარ საუკუნეზე მეტია, ნორჩ ჩოგბურთელთა დაფრთიანებას ემსახურება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის მწვრნელთა საბჭოს თავმჯდომარე **გურამ თოხაძე.** მის აღზრდილთა შორის არიან ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ლეილა მესხი, სახელოვანი ჩოგბურთელები - დავით კაჭარავა, ეკა თოხაძე, მარგალიტა ჩახნაშვილი, ნიაზ ჟორდანია, ვლადიმერ და ნუკრი ასათიანები, თათია მიქაძე, გიორგი რევაზიშვილი, ირაკლი უშანგიშვილი და სხვები. ჭაბუკობისას თავადაც კარგი სპორტსმენი გახლდათ (ქართულ ჩოგბურთელ მამაკაცთაგან პირველებმა ბატონმა გურამმა და გიორგი ღარიბაშვილმა მოსინჯეს ძალები საერთაშორისო სარბიელზე). დიდ სპორტთან განშორების შემდეგ 42 წლის განმავლობაში სხვადასხვა სასპორტო სკოლას ხელმძღვანელობდა. წელთა სიმრავლით მხრებდახუნძლული ამჟამადაც საყვარელ საქმეს ემსახურება - ნიჭიერ ჩოგბურთელებს უზრდის ქვეყნის ნაკრებ გუნდებს. ამაგდარი მწვრთნელის ღვაწლის აღსანიშნავად 13 წლის წინათ დაარსდა გურამ თოხაძის თასი, რომლის გათამაშებაშიც მოზარდები მონაწილეობენ. წლევანდელ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელიც შაბათს დასრულდა, თბილისის, თელავის, ბათუმისა და გორის 100-მდე წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის.

განსაკუთრებით დაძაბული და საინტერესო გამოდგა 18-წლამდელთა პაექრობები. ვაჟებში შესანიშნავად იასპარეზა 16 წლის თბილისელმა **სანდრო მეფარიძემ,** რომელიც მძიმე ტრავმის გამო ორწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა კორტებს. ნახევარფინალში მან დედაქალაქელ **გრიგოლ კობახიძეს** სძლია - 6:2, 2:6, 7:4, ფინალში კი ბათუმელი არტიომ კუშნერიოვი დაამარცხა - 6:1, 4:6, 7:4. საგულისხმოა, რომ გამარჯვებული გურამ თოხაძის შვილიშვილია.

გოგონებში კვარცხლბეკზე თბილისელები ავიდნენ. 18 წლის **ესთერ სარქისიანმა** ნახევარფინალში **ნატალია სიმონიშვილს** აჯობა - 6:2, 6:3, გადამწყვეტ პაექრობაში კი შორენა თათულიშვილს დააყრევინა ფარ-ხმალი - 7:5, 6:0. 14-წლიანებში პირველები იყვნენ: **სვეტლანა ავსაჯანიშვილი** და **სანდრო ჭადაშვილი** (ორივე - თბილისი), 12-წლიანებში - **ელენე იმნაიშვილი** (ბათუმი) და **ნიკა ქავთარაძე** (თბილისი), 10-წლიანებში - **ანა ბეკურიშვილი** (თბილისი) და **ნიკა ჟორდანია** (ბათუმი).

წამახალისებელი პრიზებით დაჯილდოვდნენ პირველ-მეორე ადგილებზე გასული 5-8 წლის გოგო-ბიჭებიც. ხოლო სანდრო მეფარიძესა და ესთერ სარქისიანს გურამ თოხაძის სახელობის თასები თავად საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გადასცა.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

დრამა

# გიორგი შერმადინი: კუნთი გამიწყდა

ლონდონიდან ევროლიგის თასით დაბრუნებულმა „ოლიმპიაკოსმა" საბერძნეთის ჩემპიონატში რეგულარული ეტაპის ბოლო შეხვედრა ჩაატარა - პეტრას „აპოლონს" უმასპინძლა და 80:53 დაამარცხა.

მატჩის განაცხადში არ იყო ქართველი ცენტრი **გიორგი შერმადინი.** მიზეზი სასიამოვნო ნამდვილად არ არის - იგი ტრავმირებულია. აი, რა გვითხრა თავად შერმადინმა:



- კუნთი მაქვს გაწყვეტილი და ვმკურნალობ.

**- როდის დაგიზიანდა?**

- ლონდონში წასვლამდე ვარჯიშისას ფეხი გამიცურდა და ევროლიგის ფინალური ოთხეულის მატჩები ტრავმირებულმა ჩავატარე. შეხვედრების წინ ნემსებს ვიკეთებდი...

**- ექიმები რას გეუბნებიან?**

- ვმკურნალობ და თერაპიის კურსებს გავდივარ, ზუსტად არ ვიცი, როდის შევძლებ თამაშს. მინდა „ოლიმპიაკოსს" პლეი ოფში დავეხმარო.

რეგულარული ეტაპის ბოლო შეხვედრა „ოლიმპიაკოსისთვის" მეოთხედფინალის რეპეტიცია იყო, რადგან სწორედ „აპოლონს" შეხვდება პლეი ოფში. ამ უკანასკნელმა მერვე ადგილი დაიკავა, პირეოსელებმა კი 25 შეხვედრა მოიგეს (1 მარცხი) და რეგულარულის ჩემპიონები გახდნენ.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი ესპანეთში

## მეთხუთმეტე

სეზონი დაასრულა ახალგაზრდა ქართველმა **ბექა ბურჯანაძემ,** რომლის „კახასოლმა" ესპანეთის ჩემპიონატის პლეი ოფში ვერ გააღწია. სევილიელებმა გუშინ მადრიდის „ფუენლაბრადას" უმასპინძლეს და 68:76 დამარცხდნენ.

„კახასოლს" საბოლოოდ 12 მოგების წილ 22 წაგება მოუგროვდა და პირველობა მე-15 ადგილზე დაასრულა. ლიგიდან გავარდნენ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ადგილზე გასულები „ლაგუნ არო" და „მანრესა".

„ფუენლაბრადასთან" მატჩში ბურჯანაძემ 3 წუთი ითამაშა, 2 ორქულიანი ისროლა, მაგრამ მიზანში ვერც ერთი მოარტყა.

ვაჟა სიმონიშვილი

# სან მარინოში – დევისის თასზე

თურქეთის, საბერძნეთის, ირლანდიის, ნორვეგიის, საქართველოს, ლიხტენშტეინის, სან მარინოს, მაკედონიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ალბანეთის, მალტისა და ჩერნოგორიის ჩოგბურთელი ვაჟები იასპარეზებენ დევისის თასზე ევროაფრიკულ მე-3 ზონაში. შეჯიბრების მონაწილეებს ხვალინდელი წილისყრა სამ სამგუნდა და ერთ ოთხგუნდა ჯგუფში გადაანაწილებს.

საქართველოს ნაკრებში **ვიქტორ ბაკშის** ხელმძღვანელობით სამი ჩოგბურთელია - **სანდრო მეტრეველი, გიორგი ცივაძე** და **შოთა მეფარიძე.** გუნდში არ იქნებიან საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (მიზეზი გაურკვეველია) და **გიორგი ჯავახიშვილი,** რომელსაც ეროვნული გამოცდები აქვს ჩასაბარებელი და ჩოგბურთისთვის არ სცხელა.

სან მარინოში იმ ორი გუნდის ვინაობა გაირკვევა, რომლებიც გაისად მე-2 ზონაში იასპარეზებენ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო



## შეკრებას მორჩნენ – შეჯიბრებისთვის მზად არიან

შიდა ქართლის ახალგაზრდა ძიუდოისტთა გუნდმა 1-2 ივნისს საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად მოსამზადებელი შეკრება დაასრულა. გორის ჭიდაობის დარბაზში ჯერ რეგიონის შესარჩევი შეჯიბრება ჩატარდა, შემდეგ ერთკვირიანი შეკრება ადგილობრივი მწვრთნელების ხელმძღვანელობით. ამ რეგიონის გუნდები ჩვენი ქვეყნის ყველა ასაკობრივ პირველობებზე ყოველთვის ფავორიტად მიიჩნეოდნენ და ასეა ამჯერადაც. თუმცა მოახლოებულ ახალგაზრდულ პირველობაზე შიდაქართლელებს ორი წამყვანი ფალავანი **ვაჟა მარგველაშვილი** (60 კგ) და **ბექა ღვინიაშვილი** (90 კგ) არ ეყოლებათ. ისინი საქართველოს პირველი ნაკრების წევრებიც არიან და შესაბამისად, მათ ადგილი ახალგაზრდულ გუნდში შეიძლება ითქვას, რომ დაჯავშნილი აქვთ. კიდევ ერთი ფავორიტთაგანი **ანდრო ბერუაშვილი** (66 კგ), რომელმაც ამას წინათ სალონიკში ევროპის თასზე ოქროს მედალი მოიპოვა, ახალგაზრდულ პირველობაზე სამაჩაბლოს სახელით გამოვა. მიუხედავად ამისა, შიდა ქართლის გუნდის ამჟამინდელ შემადგენლობაშიცაა ოქროს მედლის და საზოგადოდ, კვარცხლბეკზე ადგილის დაკავებაზე საფუძვლიანი პრეტენზიის მქონე რამდენიმე ძიუდოისტი. ამ რეგიონს ქვეყნის პირველობაზე ძიუდოს ფედერაციისაგან მაქსიმალური კვოტის - თითოეულ წონაში ოთხი მონაწილის გამოყვანის უფლება აქვს. სპორტსმენთა სიმცირის გამო ოთხეული სრულად არ დაკომპლექტებულა 100 კგ-სა და + 100 კგ-ში. მთლიანი შემადგენლობა კი ძირითადად გორელი სპორტსმენებითაა წარმოდგენილი. გაგაცნობთ სრულად რეგიონის გუნდის შემადგენლობას:

**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** ვანო ჯავახიშვილი, მინდია ღოლიჯაშვილი, გიორგი სადალაშვილი, გიორგი შავდათუაშვილი (ყველა - გორი);

**60 კგ.** ბექა შავდათუაშვილი, გიორგი გიუნაშვილი, გიორგი ზუბაშვილი, არჩილ ზუბიაშვილი (ყველა - გორი);

**66 კგ.** გიორგი გუგულაშვილი (კასპი), ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), ირაკლი ლომიძე, გიორგი მუზაშვილი (ორივე - გორი);

**73 კგ.** ვალიკო იაშვილი (კასპი), თორნიკე ხუბულური, გიორგი ხუბულური, ნიკა გუსოშვილი (სამივე – გორი);

**81 კგ.** გელა გასიტაშვილი, ჯუბა ჯანეზაშვილი, ავთო აბრამიშვილი, იესო კვირიკაშვილი (ყველა - გორი);

**90 კგ.** უშანგი გასიტაშვილი (გორი), დავით ხუციშვილი, შოთა მასურაშვილი (ორივე - ქარელი), შალვა ჯანანაშვილი (კასპი);

**100 კგ.** გიგა თაყაძე (გორი);

**+ 100 კგ.** გიგა გელაშვილი, სერგო ბალიაშვილი (ორივე - გორი), დიმიტრი გუგულაშვილი (კასპი).

**ვასილ ბალახაძე**

რაგბი. ლეგიონრები

# ჰაინეკენის თასი ქუბრიაშვილს, მიქაუტაძეს და ჩილაჩავას

ევროპის თასების წლევანდელ გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა გუნდებმა წარმატებით იასპარეზეს. ყველაზე პრესტიჟული, „ჰაინეკენის თასის" გათამაშების ფინალში ორმა „ქართულმა გუნდმა" ითამაშა. „ტულონისა" და „კლერმონის" დაპირისპირება მინიმალური სხვაობით 16:15 დასრულდა და „ჰაინეკენის თასი" ტულონელთა საკუთრება გახდა.

**დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა" „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში წლეულს შესანიშნავად იასპარეზა. კლუბის მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** სეზონის დაწყების წინ დაიქადნა, ყველა ტიტული უნდა მოვიგოთო. ცხადია, საფრანგეთის ჩემპიონობას და „ჰაინეკენის თასის" გათამაშებას გულისხმობდა. დანაპირების ნახევარი შესრულებულია.

თამაში დუბლინის „ავივა სთედიუმზე" დაძაბულად დაიწყო. გუნდები ზედმეტ რისკს ერიდებოდნენ და დაცვაში გაასკეცებული ყურადღებით ირჯებოდნენ. პირველი ტაიმი სწორედ ამიტომ დასრულდა უჩვეულო ანგარიშით- 3:3. **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი" მცირე სათამაშო უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ მისი ანგარიშში ასახვა ვერ მოახერხა. ცხრა ნომერ **მორგან პარას** საჯარიმოს, ტულონელთა ინგლისელმა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** არეკნით უპასუხა.

შესვენების შემდეგ „ვულკანები" საგრძნობლად გააქტიურდნენ და საწყის რვა წუთში ორი ლელოს გატანა შეძლეს. თითო ლელო **ნაპოლიონი ნალაგამ** და **ბრუკ ჯეიმზმა** მიითვალეს, პარამ მხოლოდ ერთი გარდასახა, რაზეც ვილკინსონმა ამჯერად საჯარიმოთი გასცა პასუხი - 15:6.

ეს ანგარიში მე-60 წუთამდე შენარჩუნდა. ვილკინსონმა ისევ საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა. ხუთ წუთში კი „ტულონის" ფულბეკმა **დელონ არმითიჯმა**, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა, ვილკინსონმა გარდასახა - 16:15.

მატჩის დასრულებამდე 15 წუთი იყო დარჩენილი. ეს აბსოლუტურად საკმარისი დროა საიმისოდ, რათა ერთქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და თამაში გადაარჩინო, მაგრამ ტულონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის უშეცდომოდ ითამაშეს და „ჰაინეკენის თასი" დამსახურებულად ირგუნეს.

უცნაურია, მაგრამ მატჩის შემდეგ ჯონი ვილკინსონმა „ჰაინეკენის თასზე" გამარჯვება 2003 წელს მსოფლიოს თასის მოპოვებას ამჯობინა. ეს გამარჯვება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყოო - თქვა მან. აღსანიშნავია, რომ ის 2013 წლის ევროპის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს. ამ ტიტულის ნომინანტებს შორის საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძეც** იყო, თუმცა მისი „მონპელიე" გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა.

ფინალურ მატჩში დავით ზირაქაშვილი „კლერმონის" ძირითად შემადგენლობაში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს, დავით ქუბრიაშვილი კი, ტულონელთა რიგებში 76-ე წუთიდან გამოჩნდა, მიქაუტაძე, ჩილაჩავა და კოლელიშვილი განაცხადში არ იყვნენ.

„ემლინ ჩელენჯ კაპი" წლეულს ბინას ირლანდიაში დაიდებს. ფინალურ მატჩში ირლანდიურმა „ლენსტერმა" **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს" იოლად მოუგო - 34:13. შერკინების ქართველ ბურჯს არ უთამაშია.

| ჰაინეკენის თასი | |
|---|---|
| **ფინალი** | |
| ტულონი-კლერმონი | 16:15 |
| **ემლინ ჩელენჯ კაპი** | |
| **ფინალი** | |
| ლენსტერი-სტად ფრანსე | 34:13 |

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში თამაშის უფლება **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივმა" მოიპოვა. ჩვენებურთა ამ გუნდმა მეორე დივიზიონის გათამაშების ფინალში **მამუკა მაგრაქველიძის** „პო" დაამარცხა - 30:10.

ბრიველებმა მატჩის პირველ ნახევარში საგრძნობი სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს და შეხვედრის ბედიც, ფაქტობრივად, მაშინ გადაწყდა. „ბრივმა". მეტოქეს ორი გარდასახული ლელო და ერთი საჯარიმო გაუტანა, რაზეც „პომ" მხოლოდ ერთი საჯარიმოთი უპასუხა - 17:3.

'შესვენების შემდეგ „პო" საგრძნობლად გააქტიურდა, მაგრამ 14-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მაგრაქველიძის თანაგუნდელებისთვის შეუსრულებელი მისია აღმოჩნდა. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს, ნატრიაშვილი თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო, ხინჩაგიშვილი და მაგრაქველიძე განაცხადში არ იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ ხინჩაგიშვილი მომავალი სეზონიდან პარიზული „მეტრო რასინგის" ღირსებას დაიცავს. მის ადგილს კი შერკინების ბურჯი **კარლენ ასეიშვილი** დაიკავებს, რომელიც წლეულს „ორიაკში" თამაშობდა.

| II დივიზიონი | |
|---|---|
| **ფინალი** | |
| ბრივი-პო | 30:10 |

**ბესიკ ჯანგავაძე**



თასთან ახლოს დავით ქუბრიაშვილი

რაგბი. U-19

# მხოლოდ ბოლომდე ბრძოლა არ კმარა

**საქართველო U-19-ინგლისი U-20 13:25**

**საქართველო:** 15. გიორგი ტალახაძე (გიორგი აფციაური 41), 14. დავით გულიტაშვილი, 13. გიორგი ნათელაშვილი, 12. რეზო ბროძელი, 11. გიორგი ფრუიძე, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. ლაშა ნადირაძე (თემურ თუთბერიძე 41). 1. დავით ფხაკაძე, 2. გიორგი ტორაძე, 3. გიორგი მარგველანი, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. ნიკა გიგაური (თორნიკე ბუბუტეიშვილი 50), 6. ბადრი დანგაძე, 7. საბა შუბითიძე, 8. დავით პაპავაძე.

**ლ:** თორნიკე ბუბუტეიშვილი. **გ,2ს:** რევაზ ჯინჭველაშვილი.

**ინგლისი:** 15. ჯიმი უიგლსოურთი, 14. ჯეკ როსიტერი, 13. ეიდენ მოსი, 12. დევიდ მეისი, 11. ბენ რეთი, 10. რობ ევერ-რაითი, 9. ნიკ ფოსტერი. 1. რიკი კანო, 2. უილ რობერთსი, 3. დევიდ ქოუნდსი, 4. ჯოშ ფეთი, 5. გარეთ ბაქსთერი, 6. ჯორჯ ორემი, 7. ედვარდ ვებსტერი, 8. დევიდ ჯოუნსი.

**3ლ:** კანო, ფოსტერი, ორემი. **2ს,2გ:** რობ ევერ-რაითი

**სინბინი:** ფრუიძე, გულიტაშვილი.

**მსაჯი:** გიორგი ამირხანაშვილი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ინგლისის ოთხი საგრაფოს 20-წლამდელთა გუნდთან მეორე მატჩი გამართა და 13:25 წააგო. ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, ახალგაზრდა მორაგბეებმა შესანიშნავი სანახაობა შემოგვთავაზეს.

მთლიანობაში, ჩვენი გუნდის ორივე თამაში დადებითად შეიძლება შეფასდეს. ცხადია, ხარვეზი ბევრია. ორივე შეხვედრაში განცდილი მარცხი კი ქართველი მორაგბეების მიერ დაშვებულმა წვრილ-წვრილმა შეცდომებმა გამოიწვია.

ცხადია, მეტოქეს, რომელიც ასაკითაც უფროსია და, შესაბამისად, ფიზიკური კონდიციებიც მეტად აქვს განვითარებული, ძნელია წინააღმდეგობა გაუწიო. მეორე მატჩში თითქმის პირწმინდად წავაგეთ დერეფანი. ტაიმნახევრის განმავლობაში მეტოქეს სტატიკურ მდგომარეობაში უდიდესი უპირატესობა ჰქონდა. ამას დაუმატეთ ჩვენი მორაგბეების, რბილად რომ ვთქვათ, სუსტი თამაში დაკიდებულ ბურთებზე. ზორბა მოწინააღმდეგის შეჩერებას სამი-ოთხი ჩვენებურის ძალისხმევა სჭირდებოდა, რის გამოც, რაკის ახლოს ზონა ხშირად დაუცველი რჩებოდა.

ყოველივე ეს ინგლისელებმა კარგად გამოიყენეს და ამჯერად უფრო მეტი, 12 ქულის სხვაობით მოგვიგეს. ცხადია, ჩვენი გუნდის თამაშში მარტო შეცდომები არ ყოფილა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა", როგორც სჩვევიათ, თავდადებით ითამაშეს, მრავალფაზიანი შეტევებიც აკინძეს და მეტოქეს არაერთხელ გაუჩინეს თავსატეხი.

მეორე მატჩი პირველის იდენტურად დაიწყო. ინგლისელებმა თავიდანვე აგრესიულად შემოგვიტიეს, ხაზის გაჭრაც შეძლეს და საბოლოოდ საჯარიმოს დარტყმის უფლებაც გამოიმუშავეს. ასე რომ, სტუმრებს პირველივე შეტევა შედეგიანი გამოუვიდათ და ანგარიში მე-2 წუთზე გახსნეს. საჯარიმო მათმა მგეზავმა **რობ ევერ-რაითმა** გაიტანა - 3:0. წინა მატჩისგან განსხვავებით, „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ამჯერად მეტოქეს ინიციატივის დაუფლება არ დაანებეს და მრავალფაზიანი იერიში წამოიწყეს. მალე ჩვენმა მორაგბეებმა ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს. მე-9 წუთზე საჯარიმო საქართველოს ნაკრების მგეზავმა **რევაზ ჯინჭველაშვილმა** გაიტანა - 3:3.

ამის შემდეგ თამაში თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა, თუმცა რამდენიმე ელემენტარული შეცდომა საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ ინგლისელები რვა ქულით დაწინაურებულიყვნენ. ევერ-რაითმა 23-ე წუთზე საჯარიმოთი დააწინაურა თავისიანები. რვა წუთში კი სტუმრებმა ლელოს გატანაც მოახერხეს. ინგლისელებმა დერეფანი ჩვენი ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში მოიგეს, მოლი შეკრეს, დაიძრნენ, თუმცა ჩვენმა მორაგბეებმა მისი შეჩერება შეძლეს. თამაში რაკში გადავიდა. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ, ბურთი შერკინების ბურჯმა **რიკი კანომ** აიტაცა და ლელოში შეაღწია. ევერ-რაითმა ვერ გარდასახა - 11:3.

ტაიმის დასრულებამდე ალარაფერი რჩებოდა, როცა ჩვენმა მორაგბეებმა სახიფათო შეტევის განხორციელება შეძლეს, რომელიც მეტოქემ წესის დარღვევით შეაჩერა - 6:11. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ, ორივე გუნდის დიდი მცდელობის მიუხედავად, ანგარიში 20 წუთის განმავლობაში უცვლელი იყო. ინგლისელებმა, ხელდახელ ბურთაობით რომ ვერას გახდნენ, აქცენტი ძალისმიერ თამაშზე გადაიტანეს და მე-60 წუთზე პირველ ტაიმში განხორციელებული შედეგიანი შეტევის მსგავსი იერიში წამოიწყეს. აუტის მოგების შემდეგ სტუმრებმა ისევ მოლის დაძვრა სცადეს, წარმოქმნილი რაკიდან ბურთი პირველხაზელმა **დევიდ ქოუნთსმა** იატაცა და ფარული გადაცემით გარღვევაზე ცხრა ნომერი **ნიკ ფოსტერი** გაიყვანა. ევერ-რაითმა ამჯერად გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 18:6.

საპასუხო ლელო ჩვენმა გუნდმა ოთხი წუთის შემდეგ გაიტანა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" აუტი ინგლისელთა ლელოდან ხუთ მეტრში გაჭირვებით მოიგეს, შედეგად მოლის აგორება ვერ შეძლეს და თამაში რაკში გადავიდა. იქ კი შეცვლაზე შესულმა **თორნიკე ბუბუტეიშვილმა** იყოჩაღა, მოწინააღმდეგის მიერ დაუცველი სივრცე დროულად შენიშნა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ჯინჭველაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 13:18.

აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენები მაშინ განვითარდა, როცა სქართველოს ნაკრები რიცხობრივ უმცირესობაში იმყოფებოდა. მატჩის არბიტრმა ერთმანეთის მიყოლებით ორი მორაგბე გაგვისინბინა და რამდენიმე წუთი, სულაც 13 მოთამაშით ვერაგბებოდით მოწინააღმდეგეს.

თამაშის დასრულებამდე დარჩენილ დროში მატჩის გადარჩენა, ცხადია, შესაძლებელი იყო, თუმცა საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე, ინგლისელებმა კიდევ ერთი ლელო მიითვალეს და საბოლოოდ 12-ქულიანი სხვაობით გაიმარჯვეს - 12:25.



საქართველო U19 - ინგლისი U20

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჰოკეი. NHL პლეი ოფი



კროსბი მილოცვებს იღებს

# მხოლოდ პიტსბურგი დომინირებს

აღმოსავლეთის პირველი გუნდი ჯერჯერობით ინარჩუნებს საკუთარი მოედნის უპირატესობას „ოტავასთან" სერიაში. „პინგვინებმა" შინ მეორე მატჩიც მოუგეს „სენატორებს", ამჯერად, ბრწყინვალე **სიდნი კროსბის** ფანტასტიკური თამაშის წყალობით. კანადური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა ამ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა. გარდა ამისა, მან 100 ქულამდე აიყვანა პლეი ოფში თავისი მონაგარი. ის მეხუთე მოთამაშეა ლიგის ისტორიაში, ვისაც ამ ზღვარის მისაღწევად 75 მატჩის ჩატარება დასჭირდა. კროსბიზე უფრო სწრაფად, პლეი ოფში 100 ქულა დააგროვეს: **უეინ გრეტცკიმ** (46 მატჩი), **მარიო ლემიემ** (50), **იარი კურიმ** (67) და **მაიკ ბოსიმ** (74).

„პიტსბურგი" სრულ უპირატესობას ფლობდა ამ მატჩში, რაც დარტყმების რაოდენობაშიც გამოიხატა - 42:22 მასპინძლების სასარგებლოდ. ახლა, სერია ოტავაში გადაინაცვლებს და „სენატორები" ეცდებიან მდგომარეობის გამოსწორებას, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ოტავას" 0:2-ის შემდეგ სერია არ მოუგია.

■ ■ ■

უფრო რთულად აქვს საქმე დასავლეთის პირველ გუნდს „ჩიკაგოს", რომელსაც, როგორც ჩანს, რთული სერია ელის „დეტროიტის" წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა უკვე გამოთიშა ბრძოლას დასავლეთის მეორე გუნდი „ანაჰაიმი", ახლა, კი საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა.

სტუმრებმა, პირველ რიგში, დაცვაში კარგი თამაშით მიაღწიეს წარმატებას, მხოლოდ 20-ჯერ დაარტყმევინეს მეტოქეს კარში, საკუთარი შანსები კი კარგად გამოიყენეს და 4:1 მოიგეს.

■ ■ ■

„ლოს ანჯელესისა" და „სან ხოსეს" სერიაში ჯერჯერობით მხოლოდ მასპინძლები იმარჯვებენ. „კინგზმა" საკუთარ არენაზე ორი მატჩი მოიგო, ახლა კი „სან ხოსემ" შინ შეძლო სერიაში ანგარიშის შემცირება.

კალიფორნიელები გუშინდელ შეხვედრას ექვსმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდნენ და ამჯერადაც შეეძლოთ წარმატების მიღწევა, მაგრამ ოვერტაიმში არ გაუმართლათ - დამატებითი დროის მეორე წუთზე **ლოგან კუტურმა** გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა. ეს სავსებით ლოგიკური იყო, რადგან ოვერტაიმის სტარტზე „ზვიგენებს" ორი კაცით მეტი ჰყავდა მოედანზე და „კინგზის" მეკარე **ჯონათან კუიკმა** ველარ გაძლო, არადა, მანამდე 38 დარტყმა მოიგერია.

სხვათა შორის, გამარჯვების გოლის ავტორმა კუტურმა ნახევარი მატჩი გამოტოვა ტრავმის გამო, მაგრამ მეორე პერიოდის ბოლოს დაბრუნდა მოედანზე და საბოლოოდ, სერიას ინტრიგა დაუბრუნა.

**პიტსბურგი-ოტავა 4:3**

2:1, 2:1, 0:1

**გოლები**: 1:0 კროსბი-4 (პ. მარტინი-6, ნისკანენი-2), 1:1 ტარისი-4 (ალფრედსონი-5, გონჩარი-5), 2:1 კროსბი-5 (კუნიტცი-5, ლეტანგი-6), 3:1 კროსბი-6 (ლეტანგი-7, მალკინი-11), 3:2 გრინინგი-2 (ზ. სმიტი-1, კ. ნილი-3), 4:2 მოროუ-1 (ჯ. ნილი-2, პ. მარტინი-7), 4:3 პაგო-4 (ლატენდრესი-1, კონდრა-5).

**სერია**: 2-0

**ჩიკაგო-დეტროიტი 1:4**

1:0, 0:2, 0:2

**გოლები**: 1:0 პ. კეინი-1 (ჰანზუში-3, შარპი-4), 1:1 ბრუნერი-4 (კინდლი-3, ჟ. ანდერსონი-3), 1:2 ბ. სმიტი-2 (ზეტერბერგი-6, ქლირი-4), 1:3 ფრანცენი-4 (ჯ. ერიქსონი-3, კრონვალი-2), 1:4 ფილპულა-2 (ზეტერბერგი-7).

**სერია**: 1-1

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:1 (ო)**

1:1, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები**: 1:0 დ. ბოილი-2 (მარლო-2, პაველსკი-5), 1:1 ტოფოლი-1, 2:1 კუტური-4 (მარლო-3, ჯ. ტორნტონი-7).

**სერია**: 1-2

კალათბურთი

## დანილოვიჩი ბელგრადში დაჭრეს

გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა, იუგოსლაველმა **პრედრაგ დანილოვიჩმა** დანით სერიოზული ჭრილობები მიიღო ბელგრადის კაფეში მომხდარი ჩხუბის დროს.

40 წლის ექსკალათბურთელმა დანით ჭრილობა მიიღო მუცლის, თავისა და ხელის არეში. მას ოპერაცია გაუკეთეს. ამჟამად, მისი მდგომარეობა სტაბილურია. დანილოვიჩი ბელგრადის „პარტიზანის" პრეზიდენტი გახლავთ.

## კშიშევსკი ისევ აშშ-ის მწვრთნელად?

დიუკის უნივერსიტეტის მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კშიშევსკიმ** განაცხადა, რომ შეიძლება გააგრძელოს მუშაობა აშშ-ის ნაკრებში და გუნდს 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე უხელმძღვანელოს.

*„ასეთი ალბათობა არსებობს. ეს სიმართლეა"*, - განაცხადა კშიშევსკიმ Sports Illustrated-თან კომენტარში.

რვა თვის განმავლობაში ეს სპეციალისტი ამტკიცებდა, რომ არ დაბრუნდებოდა ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ ახლა აღიარა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

## შარლოტი ისევ ჰორნესტი იქნება

NBA-ის კლუბმა „შარლოტ ბობკეტსმა" დაიწყო კლუბისთვის სახელის შეცვლის პროცესი, - იტყობინება CBS Sports. ეს გუნდი დაიბრუნებს ძველ სახელს - „ჰორნეტს", რომლითაც ის 1988-2002 წლებში გამოდიოდა, სანამ ნიუ ორლეანში გადავიდოდა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისრის ასისტენტმა **ადამ სილვერმა** განაცხადა, რომ ეს პროცესი დაახლოებით 18 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

მსოფლიოს ჩემპიონატი

# მასპინძლების წყევლა მოიხსნა

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ფინალისტი გახდა შვედეთის ნაკრები, რომელმაც თავის ძველ მეტოქეს - ფინეთს შანსი არ დაუტოვა. ასე რომ, „ტრე კრუნურმა" მიიღო შანსი, 1986 წლის შემდეგ გამხდარიყო პირველი მასპინძელი ქვეყანა, რომელიც პლანეტის საუკეთესო გუნდის ტიტულს მოიპოვებდა.

შვედებს კარგად ახსოვდათ ორი წლის წინანდელი ამბავი, როცა ფინელებმა გაანადგურეს ფინალში და ამ მარცხისთვის რევანში იყო ასაღები. შარშან, ასევე საშინაო ჩემპიონატზე, გუნდებმა მედლები ვერ მოიპოვეს: ფინეთმა მეოთხე ადგილი დაიკავა, შვედეთი კი საერთოდ ვერ გავიდა ნახევარფინალში.

ფინეთმა ფინალი უხეშობით დაიწყო და პირველ ათ წუთში შვედებმა ორჯერ მიიღეს რიცხობრივი უპირატესობა. მეორე ცდაზე მათ შეძლეს ანგარიშის გახსნა - **ჰენრიკ სედინის** დარტყმას მიმართულება შეუცვალა **ლუი ერიქსონმა** - 1:0.

„სუომი" შესვენების შემდეგ გააქტიურდა და დიდი დრო მეტოქის ზონაში გაატარა, მაგრამ იმ დღეს არ მისდიოდა თამაში **კონტიოლასა** და მის პარტნიორებს. თანაც, მეორე პერიოდში სწორედ კონტიოლას გაძევება გახდა საბედისწერო, რადგან შვედებმა ისევ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა - ერიქსონმა დუბლი შეასრულა, საგოლე პასი კი მას ისევ ჰენრიკ სედინმა მისცა - 2:0.

ვერ ვიტყვით, რომ ფინეთის ნაკრები ცუდად თამაშობდა, მაგრამ უფრო კარგი იყო იმ დღეს შვედეთის დაცვა და მეკარე **ენროტი**. მათ მოახერხეს ნახევარფინალში საკუთარი კარის „მშრალად" შენახვა. მატჩს წერტილი ჰენრიკ სედინმა დაუსვა, რომელმაც ცარიელ კარში გაიტანა. ძმებმა სედინებმა დროულად უშველეს შვედეთს - „ტრე კრუნურმა" პლეი ოფში ხუთი გოლი გაიტანა და ხუთივეში მიიღეს მონაწილეობა „ვანკუვერის" ფორვარდებმა.

**შვედეთი-ფინეთი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

1:0 ლ. ერიქსონი-3 (ჰ. სედინი-3, დ. სედინი-4), 2:0 ლ. ერიქსონი-4 (ჰ. სედინი-4, დ. სედინი-5), 3:0 ჰ. სედინი-2 (ლ. ერიქსონი-5, ტალინდერი-2).

■ ■ ■

შვეიცარიის ნაკრებმა ისტორიაში მეორედ მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება. პირველად ეს 1935 წელს მოხდა, როცა ამ გუნდმა ვერცხლის მედლები მოიპოვა. ახლა, შვეიცარიელებს მეტის მიღწევის ამბიცია ჰქონდათ, რადგან ფინალამდე ისე მივიდნენ, რომ ზედიზედ ცხრა (!) მატჩი მოიგეს, თან ორჯერ დაამარცხეს ჩეხეთი, მოუგეს შვედეთს, კანადას და აშშ-ის ნაკრებს, რომელმაც მეოთხედფინალში რვა გოლი გაუტანა რუსეთს.

რაც შეეხება ამერიკას, მან 1933 წელს მოიგო ოქრო, ბოლო 21 წლის განმავლობაში კი მხოლოდ ხუთჯერ მიაღწია ნახევარფინალამდე, მაგრამ უფრო შორს წასვლა ვერ შეძლო, 1996 და 2004 წლებში კი ბრინჯაოს მედლები მოიგო.

ამჯერადაც, ამერიკას მე-3 ადგილისთვის მატჩით მოუწია დაკმაყოფილება. როგორც ჩანს, შვეიცარიამ კარგად შეისწავლა რუსეთისა და აშშ-ს შეხვედრის ჩანაწერი და არ დაუშვა შაიბის ხშირი დაკარგვა. თან ევროპელებმა ძალიან აქტიურად დაიწყეს მატჩი და რომ არა ამერიკელთა 19 წლის მეკარე **გიბსონი**, შეხვედრა დიდი ანგარიშით დასრულდებოდა. პირველივე შეტევაში **უოკერმა** ძელს გაარტყა შაიბა, **ნიდერაიტერმა** კი მეკარე მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარში ველარ დაარტყმა... საერთო ჯამში, შვეიცარიამ პირველ პერიოდში 18 (!) ზუსტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ ვერ გაიტანა. ამერიკელებმა კი ამ დროის განმავლობაში ცხრაჯერ შეაწუხეს **რეტო ბარტა**.

მეორე პერიოდში ამერიკელებმა ოდნავ დააცხრეს მეტოქის ტემპი, თუმცა, საერთო ჯამში, კვლავაც სწრაფი თითქმის უპაუზო თამაში მიდიოდა, რომელსაც მხოლოდ გოლი აკლდა. და პირველი შაიბა ზუსტად მატჩის ეკვატორზე გავიდა - ცენტრალურ ზონაში **პალუშაიმ** შაიბა დაკარგა და **პლუსმა** და **ნიდერაიტერმა** კარგად გამოიყენეს „ორი ერთზე" გასვლა.

მესამე პერიოდში შვეიცარიამ სამჯერ ვერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა, სამაგიეროდ, თანაბარი შემადგენლობებისას უოკერი გაიქცა კონტრშეტევაზე და უძლიერესი დარტყმით 2:0 დააფიქსირა.

რეტო ბერამ ბოლომდე „მშრალად" შეინახა საკუთარი კარი, **რეტო სურიმ** კი ბოლოს ცარიელ კარში გაიტანა - 3:0.

**შვეიცარია-აშშ 3:0**

0:0, 1:0, 2:0

**გოლები**: 1:0 ნინო ნიდერაიტერი-5 (პლუსი-6), 2:0 უოკერი-3 (მოზერი-2, ფურერი-1), 3:0 სური-3 (ნიდერაიტერი-3).

## შვედეთმა ნავსი გატეხა

შვეიცარიამ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და წააგო ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი. არადა, ფინალში პირველი სწორედ შვეიცარიელებმა გაიტანეს - მეხუთე წუთზე გუნდი დააწინაურა ერთადერთმა ლეგიონერმა **რომან იოზიმ**. სხვათა შორის, შვეიცარიამ ათი მატჩიდან მეცხრედ მოახერხა დაწინაურება, მაგრამ წინა შეხვედრებიდან განსხვავებით, ამჯერად უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

შვედეთმა მხოლოდ მეცხრე წუთზე შეასრულა პირველი ზუსტი დარტყმა და ის გოლით დასრულდა, რის შემდეგაც, მასპინძლები დომინირებდნენ მოედანზე. ბრწყინვალე იყო ამ მატჩში შვედების მეკარე **იონას ენროტი**, რომელმაც 27-დან 26 დარტყმა მოიგერია და ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი მოიპოვა.

პირველ პერიოდში შვეიცარია ზედმეტად უხეშობდა. ერთ ეპიზოდში **ამბულმა** „2+10" ჯარიმა მიიღო და ჰენრიკ სედინმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა. მეორე პერიოდში შვედები ზედმეტად ფრთხილობდნენ და წინ წასვლით თავს არ იკლავდნენ. გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პერიოდის შუაში საკუთარ ზონასთან ახლოს შვეიცარიელების შეცდომა, რითაც **ლანდესკოგმა** და **ჰიალმარსონმა** კარგად ისარგებლეს - 3:1. შვედებმა კლასის ხარჯზე გამარჯვებამდე მიიყვანეს საქმე, თანაც დარჩენილ დროში კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი.

შვედეთი თავისი არსებობის ისტორიაში მეცხრედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. რაც მთავარია, 1986 წლის შემდეგ პირველად, პლანეტის საუკეთესო გუნდი მასპინძელთა ნაკრები გახდა.

**მე-3 ადგილისთვის**

**აშშ-ფინეთი 3:2 (ბ)**

0:2, 0:0, 2:0, 0:0

**გოლები**: 1:0 კ. სმიტი-4 (შჩასტნი-8, მოსი-3), 2:0 შჩასტნი-7 (ტროუბა-2, კ. სმიტი-10), 1:2 კორპიკოსკი-2 (ვაანანენი-3, გრანდლუნდი-1), 2:2 კორპიკოსკი-3 (გრანლუნდი-2, კონტიოლა-8).

**გადამწყვეტი ბულიტი**: გალჩენიუკი (აშშ).

**ფინალი**

**შვეიცარია-შვედეთი 1:5**

1:2, 0:0, 0:3

**გოლები**: 1:0 იოზი-4 (უოკერი-4), 1:1 გუსტაფსონი-1 (პეტერსონი-4, ლუნდკვისტი-3), 1:2 ჰ. სედინი-3 ), 1:3 ჰიალმარსონი-2 (ლანდესკოგი-4), 1:4 ლ. ერიქსონი-5 (ჰ. სედინი-5), 1:5 ჰ. სედინი-4.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| პეტრი კონტიოლა (ფინ) | 16 (8+8) |
| პოლ შჩასტნი (აშშ) | 15 (7+8) |
| კრეიგ სმიტი (აშშ) | 14 (4+10) |
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 13 (8+5) |
| სტივენ სტემკოსი (კან) | 12 (7+5) |
| იუჰამატი აალონენი (ფინ) | 11 (4+7) |
| ალექსანდრ რადულოვი (რუს) | 10 (5+5) |
| ლუი ერიქსონი (შვედ) | 10 (5+5) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| პეტრი კონტიოლა (ფინ) | 8 |
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 8 |
| პოლ შჩასტნი (აშშ) | 7 |
| სტივენ სტემკოსი (კან) | 7 |
| ლაურის დარძინსი (ლატ) | 5 |
| ალექსანდრ რადულოვი (რუს) | 5 |
| ლუი ერიქსონი (შვედ) | 5 |
| ნინო ნიდერაიტერი (შვეიც) | 5 |
| რეტო სური (შვეიც) | 5 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| კრეიგ სმიტი (აშშ) | 10 |
| პოლ შჩასტნი (აშშ) | 8 |
| პეტრი კონტიოლა (ფინ) | 8 |
| რომან კუკუმბერგი (სლოვაკ) | 7 |
| იუჰამატი აალონენი (ფინ) | 7 |

**სიმბოლური ნაკრები**

**მეკარე**: იონას ენროტი (შვედეთი).

**მცველები**: რომან იოზი (შვეიცარია), იულენ უოკერი (შვეიცარია).

**თავდამსხმელები**: პეტრი კონტიოლა (ფინეთი), პოლ შჩასტნი (აშშ), ჰენრიკ სედინი (შვედეთი).

**ტურნირის MVP**: რომან იოზი (შვეიცარია).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



შვედეთი ჩემპიონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ეს ის კლასიკა აღარ არის


რაფაელ ნადალი

რომში დასრულდა ბოლო რეპეტიცია როლან გაროსის წინ, რომელიც მომავალ ორშაბათს დაიწყება. გუშინდელი ტრიუმფატორები გახდნენ **რაფაელ ნადალი და სერენა უილიამსი**, რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით მოიგეს ფინალური შეხვედრები. გარდა ამისა, მათ ერთგვარი დუბლი შეასრულეს - ზედიზედ მოიგეს მადრიდისა და რომის ტურნირები და საფრანგეთის ღია პირველობას აშკარა ფავორიტის რანგში ხვდებიან.

სანამ გუშინდელ ფინალებზე ვიტყოდეთ, შაბათს გამართული ნახევარფინალები გავიხსენოთ.

**ნოვაკ ჯოკოვიჩთან** წაგებათა სერიის შეწყვეტის შემდეგ, **ტომაშ ბერდიხმა** ვერ შეძლო იგივეს გაკეთება რაფაელ ნადალთან მიმართებაში და ესპანელთან ზედიზედ მეცამეტედ წააგო. რაფა დამაჯერებლად ამარცხებდა მეტოქეს უკანა ხაზზე თამაშისას და უდიდეს წნეხში მოაქცია ის. პირველ სეტში ჩეხს არანაირი შანსი არ ჰქონდა, რის შედეგადაც, ნადალმა იოლად გააკეთა ორი ბრეიკი.

მეორე სეტში ჩეხს ოდნავ უკეთესი თამაში გამოუვიდა. მან ერთხელ მეტოქის გეიმშიც გაიბრძოლა და მატჩში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ მისმა რისკიანმა შეტევამ არ გაამართლა. ამის შემდეგ, ჩოგბურთელები დამაჯერებლად იღებდნენ საკუთარ მოწოდებებს იქამდე, სანამ რაფამ მეცხრე გეიმი მილებაზე „მშრალი" ანგარიშით არ მოიგო. შემდეგ მატჩზეც ჩაანოდა და ფინალში გავიდა.

რომის მასტერსის გადამწყვეტ მატჩში რიგით 30-ე საჩოგბურთო „კლასიკას" ვნახავთ - ნადალს **როჯერ ფედერერი** დაუპირისპირდება. ფრანგმა **ბენუა პერმა**, წინა ეტაპების მსგავსად, ნახევარფინალიც კარგად ჩაატარა, მაგრამ შვეიცარიელის კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. პერი უფრო აქტიურად თამაშობდა და შეცდომებსაც იმდენს უშვებდა, რამდენსაც ფედერერი, მაგრამ ფრანგმა ეს მომენტი ვერ გამოიყენა. ბენუამ პირველ სეტში ბრეიკით წაიყვანა ანგარიში, თუმცა მალე დაკარგა ეს უპირატესობა და ბოლოს ტაი-ბრეიკი წააგო. მეორე სეტშიც პერს ჰქონდა მეტოქის მოწოდების აღების შანსი - ფედერერს ორმაგი ბრეიკ-პოინტიდან მოუწია საკუთარი გეიმის გადარჩენა, რის შემდეგაც ბრეიკი გააკეთა და მატჩი მოგებამდე მიიყვანა.

■ ■ ■

გუშინ, თანამედროვე ჩოგბურთის „კლასიკამ" არ გაამართლა იმედები. ფედერერი თითქოს გრძნობდა რომ განწირული იყო ფინალში, ამიტომაც მატჩის წინ განაცხადა - ნადალი აშკარა ფავორიტია, მე კი უკვე ჩავატარე აქ კარგი ტურნირიო.

ფინალში ნადალმა თავიდანვე დაანახა ყველას, რომ უკეთ იყო მომზადებული. როჯერმა მხოლოდ პირველი გეიმი ჩაატარა მაღალ დონეზე, რის შემდეგაც, ესპანელი ყველა კომპონენტში ჯაბნიდა შვეიცარიელს და შეცდომას თითქმის არ უშვებდა - ორი უნებლიე შეცდომა სეტში. პირველი პარტია მხოლოდ 23 წუთი გაგრძელდა.

როჯერმა კარგად დაიწყო მეორე სეტი და მაშინვე ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ესპანელმა მალე დაიბრუნა სათამაშო უპირატესობა. მან წაიყვანა ანგარიში 3:0 და შემდეგ საკუთარი მოწოდებების შენარჩუნებით, მშვიდად მიიყვანა საქმე ტრიუმფამდე.

ნადალმა ტურში დაბრუნების შემდეგ, მერვე ტურნირი ითამაშა, რვაჯერ გავიდა ფინალში და მეექვსე ტიტული მოიგო. მან აგრეთვე გაიმყარა უპირატესობა „მასტერსებზე" მოპოვებული ტიტულების რაოდენობით - მას 24 გამარჯვება აქვს, ფედერერს კი 21.

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 5)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6) 6:2, 6:4; **როჯერ ფედერერი** (შვეიც, 2)-ბენუა პერი (საფ) 7:6(5), 6:4.

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 5)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 2) 6:1, 6:3.

# ამას ვერავინ გააჩერებს

სერენა უილიამსმა როლან გაროსის წინ ბრწყინვალე ფორმა აკრიფა. თუ მადრიდის ტურნირზე მას რამდენიმე რთული მატჩი ჰქონდა (მაგალითად, ესპანელ **ანაბელ მედინა გარიგესს** ორი ბურთი აკლდა გამარჯვებამდე), რომში მან ფინალამდე ოთხ მეტოქეს ძალიან დიდი უპირატესობით აჯობა.

ნახევარფინალში ამერიკელს უპირისპირდებოდა **სიმონა ჰალეპი**, რომელმაც მანამდე **კუზნეცოვა, აგნიეშკა რადვანსკა, ვინჩი** და **იანკოვიჩი** გამოთიშა ბრძოლას. რუმინელმა სერენასთან მატჩიც კარგად დაიწყო - პირველ გეიმში ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მეორე „მშრალი" ანგარიშით მოიგო და 1:1-ზე ბრეიკით დაწინაურდა. მოკლედ, ჰალეპი ჯობნიდა ამერიკელს იქამდე, სანამ ეს უკანასკნელი მოწოდების დაკარგვამ არ გამოაფხიზლა. კორტზე სურათი კარდინალურად შეიცვალა, სერენამ ინიციატივა მოიპოვა და ზედიზედ 11 ქულის აღება მოახერხა. მცირე პრობლემა ამერიკელს სეტი ბოლოს შეექმნა, როცა ჰალეპმა ჯერ თავის გეიმი აიღო, შემდეგ კი ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში სერენამ კარგად ითამაშა და სეტი მოიგო. რაც შეეხება მეორე პარტიას, აქ მსოფლიოს პირველი ნომრის უპირატესობა აშკარა იყო. ის 20 წუთში ჩაეტია და 6:0 გაანადგურა რუმინელი.

ეს იყო ამერიკელის ზედიზედ 23-ე გამარჯვება. ფინალში მისი შეჩერება უნდა ეცადა ბელარუს **ვიქტორია აზარენკას**. სწორედ მასთან წააგო სერენამ ბოლო მატჩი - თებერვალში დოჰას ტურნირის ფინალში, თუმცა მას შემდეგ, უილიამსს ეს ბრწყინვალე მოგებათა სერია დაუგროვდა, აზარენკამ კი ვერ დაიცვა ქულები ინდიან უელსის ფინალისთვის, მაიამის მეოთხედფინალისთვის და შტუტგარტისა და მადრიდის ფინალებისთვის.

აზარენკა ნახევარფინალში იტალიელ **სარა ერანის** ხვდებოდა. აპენინელმა ორი განსხვავებული სეტი ჩაატარა - პირველი ისე წააგო, რომ ერთი ბრეიკ-პოინტი და გეიმბოლი არ ჰქონია, მეორე სეტში კი 5:4-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ იოლად წააგო ეს გეიმი და ტაი-ბრეიკამდეც ვერ მიაღწია.


აზარენკა და უილიამსი

■ ■ ■

ფინალი აზარენკას მოწოდებით დაიწყო და სერენამ პირველივე გეიმში ბრეიკი შეასრულა - ამისთვის მას ოთხი გეიმბოლის მოგერიება მოუწია. საერთოდ, საწყისი გეიმები ბრძოლაში წარიმართა, თუმცა ოთხი თანაბარი გეიმიდან აზარენკამ მხოლოდ ერთი აიღო, რაც ერთადერთი წარმატება აღმოჩნდა სეტში ბელარუსისთვის.

მეორე პარტიაში ბელარუსმა უფრო მეტი იბრძოლა, ერთხელ დაკარგული ბრეიკიც დაიბრუნა და საკუთარი მოწოდების აღების შემდეგ, წინ გასვლაც მოახერხა, მაგრამ 2:3-დან უილიამსმა ისევ მოუმატა და ბოლო ოთხი გეიმი მატჩში თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:1, 6:3.

41 „ვინერსი" და 19 უნებლიე შეცდომა - ასეთი იყო ფინალში ამერიკელის სტატისტიკა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სერენა ბრწყინვალე ფორმაშია და კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. რომში მსოფლიოს პირველმა ნომერმა მხოლოდ 14 გეიმი წააგო.

უილიამსმა წელს მეხუთე და კარიერაში 51-ე ტიტული მოიგო. მას 24-მატჩიანი მოგებათა სერია დაუგროვდა, თანაც, ამ გამარჯვებათა დიდი ნაწილი წითელ გრუნტზე მოდის, რომელზეც ამ სეზონამდე 11 წელი არ ჰქონდა მოგებული ტიტული.

**1/2 ფინალი**

**სერენა უილიამსი** (აშშ, 1)-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:3, 6:0; **ვიქტორია აზარენკა** (ბლრ, 3)-სარა ერანი (იტა, 7) 6:0, 7:5.

**ფინალი**

**სერენა უილიამსი** (აშშ, 1)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3) 6:1, 6:3.

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| სან ანტონიო-მემფისი | 105:83 |
| **საბერძნეთი** | |
| პერისტერი-ილისიაკოსი | 83:82 (ო) |
| **იტალია** | |
| კანტუ-სასარი | 87:84 |
| რეჯო ემილია-რომა | 91:82 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-უნიკახა | 57:50 |
| გრან კანარია-ვალიადოლიდი | 78:62 |
| ობრადოირო-ბილბაო | 79:73 |
| ვალენსია-მანრესა | 90:59 |
| კახასოლი-ფუენლარბადა | 68:76 |
| კსტუდიანტესი-ხუვენტუდი | 75:112 |
| სარაგოსა-მურსია | 108:74 |
| კანარიასი-კახა ლაბორალი | 99:94 |
| რეალი-ლაგუნ არო | 100:67 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| აშშ-ფინეთი | 3:2 (ბ) |
| შვედეთი-შვეიცარია | 5:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. რომი** | |
| ნადალი-ფედერერი | 6:1, 6:3 |
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| კავჩიჩი-დოდიგი | 5:7, 4:6 |
| როსოლი-ბრანდსი | 4:6, 3:6 |
| ჰაიეკი-დონსკოი | 6:2, 6:2 |
| **ATP. ნიცა** | |
| ბერანკისი-ისტომინი | 6:2, 6:2 |
| როჟე ვასელენი-ფალა | 7:5 უარი |
| **WTA. რომი** | |
| ს. უილიამსი-აზარენკა | 6:1, 6:3 |

**TV** პროგრამა

**20 მაისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პლეი ოფი. ფინალი. სანტოსი-კორინთიანსი. საპასუხო მატჩი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ტოტენჰემი-სანდერლენდი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. აუგსბურგი-ფიურტი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტური. კილმესი-ნიუელსი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტურის მიმოხილვა.
22:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
23:00 გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
00:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დორტმუნდი-აიაქსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ჰანოვერი-ფორტუნა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. I ტური.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-კოლონი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რაფაელ ნადალი-როჯერ ფედერერი. რომი; იტალია.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჩემპიონის გზა. ჟალგირისი-ოლიმპიაკოსი.
22:00 NBA ACTION.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. I ტური.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რაფაელ ნადალი-როჯერ ფედერერი. რომი. იტალია.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია. მიმოხილვა.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ბარსელონა-რეალი.
16:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. კლერმონი-მონპელიე.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ნიცა. ინგლისი.
19:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ჩიკაგო.
21:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 14 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 21 | (მზე) |
| ფოთი | 15 | 23 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 23 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 12 | 22 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 13 | 18 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 13 | 18 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 5 | 16 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 6 | 21 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 7 | 18 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1049 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6360 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4938 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2113 |

მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა

# ისინბაევამ მოგებით დაიწყო

ჩინეთის ქალაქ შანხაიში გაიმართა „ბრილიანტის ლიგის" სერიის მეორე ტურნირი. წინა წლებთან შედარებით, ამჯერად, ორგანიზატორებმა ძლიერი შემადგენლობის შეკრება შეძლეს და ყოველ დისციპლინაში მინიმუმ ერთი ვარსკვლავი გამოდიოდა.

ასე იყო, მაგალითად, ქალებს შორის ჭოკით ხტომაში, სადაც რუსი ლეგენდა **ელენა ისინბაევა** გამოდიოდა. სერიოზული კონკურენტებიდან მას მხოლოდ **სილკე შპიგელბურგი** ეპაექრებოდა. ელენამ, ტრადიციულად, 5 მეტრი და 70 სანტიმეტრი შეუკვეთა და კარგა ხანი მოუწია ლოდინმა, რადგან მისი კონკურენტები დაბალ სიმაღლეებს ებრძოდნენ. საბოლოოდ, ვერც ერთმა 5.70-მდე ვერ მიაღწია და ისინბაევა მარტო დარჩა სექტორში. მან მეორე ცდიდან აიღო შეკვეთილი სიმაღლე და შემდეგ, 5.85-ზე მიიტანა იერიში, მაგრამ პირველი ცდა ვერ გამოიყენა, მეორე ჯერზე კი გარბენისას ჭოკი გადააგდო და ფეხზე მოიკიდა ხელი. ისინბაევამ ტრავმის გამო ვერ შეძლო ტურნირის გაგრძელება.

100 მეტრზე ქალებს შორის, ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა **კარმელიტა ჯეტერს**, რომელიც სარბენ ბილიკზე **შელი-ენ ფრეიზერ-პრაისს** ებრძოდა, მაგრამ მასთანაც წააგო და **ბლესინგ ოკაგბარესთანაც**. კარმელიტამ ფინიშამდე 15 მეტრით ადრე დაიწყო კოჭლობა, შემდეგ კი ექიმების დახმარება დასჭირდა. გამარჯვება კი ფრეიზერ-პრაისმა მოიპოვა სეზონის საუკეთესო დროით - 10.93 წამი.

ჩინეთის ეტაპზე კიდევ ერთი ტრავმირებული ვარსკვლავი ვიხილეთ. კაცები შორის 110 მეტრ თარჯრბენში დისტანციას ჩამოშორდა მსოფლიოს რეკორდსმენი **ერიეს მერიტი**, რომელმაც პირველი ბარიერიც ვერ გადალახა. ამერიკელი ფეხის ტრავმამ დაალალატა. საუკეთესო იყო **ჯეისონ რიჩარდსონი** - 13.23 წამი.

ამ ეტაპზე თავიანთი გმირი ჰყავდათ ჩინელებს. კაცებს შორის სიგრძეზე ხტომის სექტორში გამოდიოდნენ ლონდონისა და პეკინის ოლიმპიადების გამარჯვებულები, **გრეგ რუტერფორდი** და **ირვინგ სალადინო**, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი **დუაიტ ფილიპსი**, გამარჯვება კი ადგილობრივმა **ლი ჟენჟემ** მოიპოვა, რომელიც 8.34 მეტრზე გადახტა.

400 მეტრზე სირბილში **კირანი ჯეიმსმა** დამაჯერებლად აჯობა **ლაშოუნ მერიტს**. უფრო მეტიც, გრენადელმა გაიმეორა ტურნირის რეკორდი, რომელიც **ჯერემი უორინერს** ეკუთვნოდა - 44.02. 200 მეტრზე სეზონის ვერც ერთი ფავორიტი ვერ ვიხილეთ, რითაც ისარგებლა იამაიკელმა **უორენ ვეირმა** - მან სამი მეასედი წამით აჯობა **ჯასტინ გეტლინს**.

ახლა, „ბრილიანტის ლიგა აშშ-ში გადაინაცვლებს. შემდეგი ეტაპი 25 მაისს, ნიუ იორკში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი. NBA პლეი ოფი



ინდიანა ფინალშია

# ინდიანამ დააკომპლექტა

ჯერჯერობით, 2013 წლის პლეი ოფი ისე მიმდინარეობს, რომ არც სერიაში შვიდ მატჩამდე საქმე არ მისულა. ასეთი შანსი არსებობდა „ინდიანასა“ და „ნიუ იორკის“ დაპირისპირებაში - თუ „ნიქსი“ შეძლებდა ინდიანაპოლისში მოგებას, კონფერენციის ფინალისტი ნიუიორკში მეშვიდე მატჩში გაირკვეოდა. მაგრამ „ინდიანამ“ არ დაუშვა მოვლენათა ამგვარი განვითარება და ბოლო ნახევარფინალისტი გახდა.

გუშინდელი მატჩის მთავარი მომენტი იყო **როი ჰიბერტის** დაფარება. სირენამდე 5.05 წუთით ადრე, როცა სტუმრები 92:90-ს იგებდნენ, „პეისერსის“ ცენტრმა **კარმელო ენტონის** არ ჩააგდებინა ბურთი, რითაც სათავე დაუდო თავისიანების გადამწყვეტ შტურმს. მასპინძლები 11:2 გაიქცნენ და ამ 11 ქულიდან ცხრა ნიუიორკში დაბადებულ **ლენს სტივენსონს** ეკუთვნოდა. მან კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა - 25 ქულა (თამაშიდან - 9/13), 10 მოხსნა და 3 პასი დააგროვა.

სანამ ეს გაქცევა იქნებოდა, სტუმრებს მესამე და მეოთხე მეოთხედების მიჯნაზე სამქულიანების ფანტასტიკური სერია გამოუვიდათ. ისინი პერიმეტრიდან 43.3-პროცენტიანი სიზუსტით ისროდნენ, მაგრამ თამაშიდან ეს მაჩვენებელი მხოლოდ 40 პროცენტი იყო. ასევე, **ვუდსონის** შეგირდებმა წააგეს ფარქვეშ ბრძოლა (მოხსნები: 36-43), ხოლო სამწამიანიდან დაგროვილი ქულების რაოდენობის შეფარდება „ნიქსისთვის“ კატასტროფული იყო - 52:20.

გმირობის ტოლფასი იყო **ჯორჯ ჰილის** საქციელი. მასპინძლების ძირითადი გამთამაშებელი ტვინის შერყევით თამაშობდა, რომელიც მან წინა შეხვედრაში მიიღო. მართალია, მისი სტატისტიკა იდეალური არ ყოფილა, მაგრამ 42 წუთი სათამაშო დროში, მან ბევრი სარგებლობა მოუტანა თავის გუნდს.

„ინდიანა“ ბოლო რვა წლის განმავლობაში პირველად გავიდა აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში და ბევრი ექსპერტის აზრით, შეუძლია იქ ბრძოლა მოახვიოს თავს „მაიამის“.

**ინდიანა–ნიუ იორკი 106:99**

29:27, 26:20, 26:34, 25:18

**ი:** სტივენსონი (25+10 მოხსნა+3 პასი), ჯორჯი (23+5 მოხსნა+4 პასი), ჰიბერტი (21+12 მოხსნა+5 დაფარება), უესტი (17+5 მოხსნა+4 პასი), ჰილი (12+5 მოხსნა+4 პასი).

**ნ-ი:** ენტონი (39+7 მოხსნა), შამპერტი (19), სმიტი (15+10 მოხსნა+3 პასი).

**სერია:** 4-2

## 1/2 ფინალი. კალენდარი

### აღმოსავლეთი

| მაიამი-ინდიანა | სან ანტონიო-მემფისი |
|---|---|
| 22 მაისი. მაიამი-ინდიანა | 19 მაისი. სან ანტონიო-მემფისი |
| 24 მაისი. მაიამი-ინდიანა | 21 მაისი. სან ანტონიო-მემფისი |
| 26 მაისი. ინდიანა-მაიამი | 25 მაისი. მემფისი-სან ანტონიო |
| 28 მაისი. ინდიანა-მაიამი | 27 მაისი. მემფისი-სან ანტონიო |
| 30 მაისი. მაიამი-ინდიანა* | 29 მაისი. სან ანტონიო-მემფისი* |
| 1 ივნისი. ინდიანა-მაიამი* | 31 მაისი. მემფისი-სან ანტონიო* |
| 3 ივნისი. მაიამი-ინდიანა* | 2 ივნისი. სან ანტონიო-მემფისი* |

** - საჭიროების შემთხვევაში*

● კრივი

# ჩემპიონი თითქმის დააბრმავეს

გასულ უქმეებზე მთავარი საკრივო საღამო მოსკოვში გაიმართა, სადაც ძირითად ბრძოლაში რუსი **დენის ლებედევი** პირველ მძიმე წონაში WBA-ის ტიტულს იცავდა პანამელი **გილერმო ჯონსის** წინააღმდეგ.

ორივე მოკრივემ აქტიურად დაიწყო ბრძოლა და პრაქტიკულად, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე „დააყარეს“ ერთმანეთს მუშტები საშუალო და შორი დისტანციიდან. უკვე პირველ რაუნდში, მასპინძელმა მარჯვენა თვალის არეში ჭრილობა და ჰემატომა მიიღო. დაზიანება ყოველი რაუნდის შემდეგ მძიმდებოდა და ლებედევი მარჯვენა თვალიდან პრაქტიკულად ველარ ხედავდა. მიუხედავად ამისა, რუსი აქტიურობდა და დარტყმების რაოდენობით აღემატებოდა კიდეც მეტოქეს.

მაგრამ ჯონსისთვის მოწინააღმდეგის აქტიურობა პრობლემა არ ყოფილა - პანამელი ჯიუტად მიყვებოდა თავის ტაქტიკას, წინ მიდიოდა და იშვიათ, მაგრამ ძლიერ დარტყმებს ასრულებდა. ბრძოლის ბოლოს, ჰემატომამ მთლიანად დაუფარა ლებედევს მარჯვენა თვალი. მე-11 რაუნდში, ჯონსმა მეტოქის ნოკდაუნში გაგზავნა შეძლო. რუსი წამოდგა, მაგრამ რეფერიმ არ მისცა ბრძოლის გაგრძელების უფლება.

■ ■ ■

ლებედევისა და ჯონსის ბრძოლის წინ, მოსკოვის რინგზე სუპერმძიმე წონით კატეგორიაში გაიმართა შეხვედრა. WBA-ის „რეგულარული“ ჩემპიონი **ალექსანდრ პოვეტკინი** პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ პოლონელს **ანდჟეი ვავჟიკს** ხვდებოდა.

მშვიდი პირველი რაუნდის შემდეგ, პოვეტკინმა საქმეში ჩართო მარჯვენა დარტყმა, რამაც ვავჟიკი ნოკდაუნში ჩააგდო. პოლონელმა შეძლო წამოდგომა და ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ ინიციატივას პოვეტკინი ფლობდა, რომელმაც მომდევნო რაუნდში კიდევ ერთხელ დააწვინა რინგზე მოწინააღმდეგე. ბრძოლა მასპინძლის შეტევებით გაგრძელდა და მალე რეფერი იძულებული გახდა შეხვედრა შეეჩერებინა და პოვეტკინის ტექნიკური გამარჯვება დაეფიქსირებინა.

■ ■ ■

რამდენიმე ბრძოლა ჩატარდა ოკეანის გაღმა. ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში პირველ ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს დროებითმა ჩემპიონმა, 30 წლის არგენტინელმა **ლუკას მატისემ** მესამე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ამავე წონაში IBF-ის ჩემპიონი, 29 წლის ამერიკელი **ლამონტ პიტერსონი**.

პირველი რაუნდი ფრთხილ ბრძოლაში წარიმართა, მეორეში კი მატისემ მარცხნიდან დარტყმით პირველად გაუშვა მეტოქე ნოკდაუნში. მესამე რაუნდში ასეთი რამ კიდევ ორჯერ განმეორდა, რის შემდეგაც, რეფერიმ ბრძოლის გაგრძელება უაზრობად ჩათვალა.

აღსანიშნავია, ამ ბრძოლაში არანაირი ტიტული არ თამაშდებოდა და შესაბამისად, პიტერსონმა, წაგების მიუხედავად, შეინარჩუნა IBF-ის ტიტული.

■ ■ ■

დაბოლოს, მექსიკის ქალაქ კანკუნში, სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, 41 წლის ამერიკელმა **შეინ მოზლიმ** მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა 23 წლის მექსიკელი **პაბლო სეზარ კანო**. სამივე მსაჯმა ერთნაირი ანგარიში დააფიქსირა - 115:113.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო მოზლის პირველი მოგება 2009 წლის შემდეგ, როცა ამერიკელმა **ანტონიო მარგარიტო** დაამარცხა.



დენის ლებედევი

● მოტოგრანპრი

# პედროსამ მოიგო და გალიდერდა

მოტოგრანპრიში საფრანგეთის გრანპრიმ წვიმიან ამინდში ჩაიარა. სწორედ ამან შეუშალა ხელი სტარტზე პოულის მფლობელ **მარკ მარკესს**, რომელიც შეყოვნდა და პელოტონის შუაში მოექცა. მისი შეცდომით კარგად ისარგებლა **ანდრეა დოვიციოზომ** - მან მესამე პოზიციიდან აიღო სტარტი და ლიდერი გახდა. ჩაგდებული კვალიფიკაციის გამო შეძლეს რეაბილიტაცია **პედროსამ** და **როსიმ**. პირველი წრე პილოტებმა ასეთი თანმიმდევრობით დაასრულეს: დოვიციოზო, **ლორენსო**, პედროსა, **ბრადლი**, როსი, **ჰეიდენი**, მარკესი, **კრატჩლოუ**, **ბაუტისტა**, **სმიტი**...

მეორე წრეზე როსიმ გაუსწრო ბრადლს, ერთი წრით გვიან კი პედროსამ წარმატებით შეუტია ლორენსოს და მეორე ადგილზე გადავიდა. „ჰონდას“ პილოტი კვალში ჩაუდგა დოვიციოზოს და შეტევისთვის ხელსაყრელ მომენტს დაელოდა. და ეს მომენტი მან მეხუთე წრეზე იპოვნა. პედროსას ლიდერობა მერვე წრემდე გაგრძელდა, როცა ესპანელმა შეცდომა დაუშვა და კინაღამ ტრასიდან გადავარდა, საბოლოო ჯამში კი, ერთი პოზიციის დაკარგვით გამოვიდა რთული მდგომარეობიდან. დოვიციოზომ ლიდერობა დაიბრუნა.

ამასობაში, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ლორენსომ ტემპის დაკარგვა დაიწყო და თანდათან პელოტონის შუაში მოექცა. პედროსა და დოვიციოზო შესანიშნავი ბრძოლით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს პირველ ადგილზე. საბოლოო სიტყვა პედროსას დარჩა, რომელიც რბოლის გამარჯვებული გახდა, დოვიციოზომ კი ბოლოს არა მხოლოდ კრატჩლოუ გაატარა, არამედ მარკესიც, რომელიც პოდიუმის მესამე საფეხურზე აღმოჩნდა.

პედროსამ მოგებით პირველი ადგილი მოიპოვა გენერალურ კლასიფიკაციაში. მან ექვსი ქულით გაუსწრო წინა ლიდერს მარკ მარკესს.

**საფრანგეთის გრანპრი**

1. **დანი პედროსა** (ჰონდა) - 28 წრე; 2. **კელ კრატჩლოუ** (იამაჰა) - +4,863; 3. **მარკ მარკესი** (ჰონდა) - +6,949; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (დუკატი) - +10,087; 5. **ნიკი ჰეიდენი** (დუკატი) - +18,471; 6. **ალვარო ბაუტისტა** (ჰონდა) - +23,561...

**საერთო ჩათვლა**

1. **დანი პედროსა** (ჰონდა) - 83 ქულა; 2. **მარკ მარკესი** (ჰონდა) - 77; 33. **ხორხე ლორენსო** (იამაჰა) - 66; 4. **კელ კრატჩლოუ** (იამაჰა) - 55; 5. **ვალენტინო როსი** (იამაჰა) - 47; 6. **ანდრეა დოვიციოზო** (დუკატი) - 39...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**